K $\frac{77711}{2}$

[illegible]

# [illegible]

## [illegible]

რუსულისა ენასა ზედა განხილული და დამტკიცებული უწმინდესისა მმართებელისა სინოდისაგან და გამოცემული უმაღლესისა ბრძანებითა მისის

ი მ პ ე რ ა ტ ო რ ე ბ ი თ ი ს
დ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ი ს ა თ ა.

სლავურ ქართულისა ენასა ზედა გარდამოთარგმნილი [illegible] იოანე [illegible].

[illegible]

216

# ႥႰႺႤႪႨ,

# ႵႰႨႱႲႨႠႬႤႡႰႨႥႨ

## ႩႠႲႤႾႨႦႨႱႨ

ႫႠႰႧႪႫႠႣႨႣႤႡႤႪႨႱႠ ႩႠႧႭႪႨႩႤ ႠႶႫႭႱႠႥႪႤႧႨႱ ႤႩႩႪႤႱႨႱႠ:

როსსიულისა ენასა ზედა განხილული და განკვეთილებული უწმინდესისა უმმართებელესისა სინოდისაგან და გამოცემული უმაღლესისა ბრძანებითა მისის იმპერატორებითის დიდებულებისათა.

ხოლო ქართულისა ენასა ზედა გარდამოთარგმნილი კოლლეჟსკის სეკრეტარის იოანე მოძღვაროვისა-მიერ.

ႫႭႱႩႭႥႱ.
ႱႨႬႭႣႨႱ ႱႲႠႫႡႠႱ.
ႼႪႨႱႠ ႹႸႫႠ.

[illegible]

ქრისტიანობრივი

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

წელსა 1846

სახეჲ გაქუნდინ ცოცხლებისა სიტყუა იგი, რომელი გესმა ჩემგან სარწმუნოებითა და სიყუარულითა ქრისტე იესოსითა.

ბ. ტიმოთ. 1. გ.

# ႸႤႥႡႠႬႨႪႤႨႠ

## ႫႠႰႧႪ ႫႠႣႨႣႤႡႪႨႱႠ ႩႠႲႤႾႨႦ-ႫႭႱႠ ႸႨႬႠ.

### წინათ-საცნობელნი ცნობანი.

კითხვა. რაჲ არს მართლ-მადიდებლობითი კატეხიზმო?

მიგება. მართლ-მადიდებლობითი კატეხიზმო არს მოძღჳრებ: მართლმადიდებელსა ქრისტიანე-ბრივსა სარწმუნოებასა შინა, გარდამოცემული ყოვლისა ქრისტიანისადმი სათნო-ყოფისათჳს ღჳთისა და ცხოვნებისათჳს სულისა.

კით. რასა ნიშნავს ლექსი კატეხიზმო?

მიგ. კატეხიზმო ბერძულისა ენისაგან თარ-გმანებით ნიშნავს კათაკმევლობასა, ზეპირ-სიტ-ყჳაობითსა მოძღჳრებასა; ხოლო ხმარებისამებრ დროითგან მოციქულთათ სახელითა ამით აღინი-შნების პირველ-დაწყობითი სწავლა მართლმადი-დებელისა ქრისტიანებრივისა სარწმუნოებისა,

ყოვლისა

ყოვლისა ქრისტიანისათჳს სახმარი. იხილ. ლუკა: ა. დ. საქ. მოციქ: იზ. კე.

კით. რაჲ საჭირო არს სათნო-ყოფისათჳს ღმრთისა და ცხოვნებისათჳს სულისა?

მიგ. პირველად, ცნობა ჭეშმარიტისა ღმრთისა და მართალი სარწმუნოება მისა მიმართ; მეორედ ცხოვრება სარწმუნოებისა მებრ და კეთილნი საქმენი.

კით. რაჲსათჳს საჭირო არს პირველად სარწმუნოება?

მიგ. ამისთჳს რომელ, ვითარ იგი ჴსწამებს სიტყუა ღმრთისა, „თჳნიერ სარწმუნოებისა ვერ „შესაძლებელ-არს სათნო-ყოფა ღმრთისა„. (ებრ: ია. ვ.

კით. რაჲსათჳს სარწმუნოებისათანა ჯერ-არს ყოფად განუშორებელი ცხოვრება სარწმუნოები-საებრ და კეთილნი საქმენი?

მიგ. ამისთჳს რომელ, ვითარცა ჴსწამებს სიტყუა ღმრთისა, „სარწმუნოება თჳნიერ საქმე-„თასა მკუდარ არს„. იაკ: ბ. კ.

კით. რაჲ არს სარწმუნოება?

მიგ. განმარტებისაებრ წმინდისა პავლესა, ,,სარწმუნოება არს მოსავთა მათ ძალი, საქმეთა მამხილებელი არა ხილულთა,,. ებრ: ია. ა. ესე იგი არს, რწმუნება უხილავისა, ვითარცა რა ხილულისა, სურვებადისა და მოსალოდებელისა, ვითარცა რა აწინდელისა.

კით. ვითარი განრჩევაჲ არს ცნობისა და სარწმუნოებისა შორის?

მიგ. ცნობასა აქუს საგანად ხილული და მისაწდომელი; ხოლო სარწმუნოებასა უხილავი და კნინღა მიუწთომელი.

ცნობა დაემყარების გამოცდილებასა ანუ გამოძიებასა ზედა საგანისასა; ხოლო სარწმუნოება დარწმუნებასა ზედა, საწამებელსად ჭეშმარიტებისა.

ცნობა ეთჳსების საკუთრად გონებასა, დალათუ ძალ-უძს მოქმედებად გულსაცა ზედა; სარწმუნოება ეთჳსების უაღრესადრე გულსა, დალაცათუ დაიწყების ჴზროთ შინა.

კით. რაჲსათჳს ჴსწავლასა შინა კეთილმსახურებისასა მოითხოვების არა მხოლოდ ცნობაჲ,

არამედ

არამედ სარწმუნოებაცა?

მიგ. ამისთჳს, რომელ პირველი საგანი ჴს-
წავლისა ამის არს ღმერთი უხილავი და მიუწთო-
მელი, და სიბრძნე ღჳთისა საიდუმლოდ დაფარუ-
ლი. ამისგამო მრავალნი ნაწილნი ამის ჴსწავლი-
სანი არა შეიძლებიან შეცნად გონებითა; არამედ
სარწმუნოებით მიღებად შესაძლებელ იქმნებიან.

სარწმუნოება, იტყვის წმინდა კირილე იერუ-
სალიმელი, არს თუალი განმაცისკროვნებელი ყო-
ვლისა სინიდისისა, იგი მოსცემს კაცსა ცნობასა.
რამეთუ იტყჳს წინასწარმეტყუელი, უკეთუ არა
ირწმუნოთ, არცა გულის-ჴმა-ჰყოთ. ისაი: ზ.
დ. საკ. მოძღ: 5.

კით. ვითარ შესაძლებელ-არს კუალად გან-
მარტებად საჭიროება სარწმუნოებისა?

მიგ. წმინდა კირილე განმარტებს ამას ესრეთა
არათუ მხოლოდ ჩვენ შორის, რომელთაცა გვი-
ტკრთავს სახელი ქრისტესი, დიდად შეირაცხების
სარწმუნოებაჲ, არამედ ყოველიცა იგი, რაჲცა
აღესრულების სოფელსა შინა, ვიდრელა კაცთა

მიერცა

მიერცა ეკკლესიისაგან ყუცხოთა, აღესრულების სარწმუნოებითა.

სარწმუნოებასა ზედა დაემტკიცების მიწის მუ-შაკობაჲ, რამეთუ რომელსა არა ჰსწამს ესე, რომელი შეჰკრებს აღმოცენებულთა ნაყოფთა, იგი არა თავს იღებს შრომათა. სარწმუნოებით იყვა-ნებიან ზღჳასა შინა მოგზაურნი, ოდესცა მიან-დობენ რა ხჳედრსა თჳსსა მცირესა ხესა, დაუდგ-რომელსა სიმძაფრესა ღელვათასა შერაცხვენ უმტკი-ცეს სტიხიონად ქვეყანად, შეჳედრებენ თავთა თჳსთა უჩინოთა იმედთა, და აქჳსთ თჳსთანა მხო-ლოდ სარწმუნოებაჲ, რომელიცა არს მათ თჳს უსასოეს ყოვლისა ღუზისა. საკათაკ. მოძღ. ჰსწავ. ე.

## საღმრთოსა აღმრცჳლებისათჳს, ანუ განცხადებისა.

კით. სადეთ აღმოივსების ჰსწავლა მართლ-მადიდებელისა სარწმუნოებისა?

მიგ. საღმრთოსა აღმრცჳლებისა მიერ.

კით.

კით. რაჲ იგულისხმების სახელითა საღმრ-
თოჲსა აღმრცვლებისათა?

მიგ. იგი, რაჲცა თჳთ ღმერთმან განუცხადა
კაცთა, რათამცა ეძლოსთ მათ მართლ და მაცხოვ-
რად რწმუნება მისი და ღირსად პატივსცემდენ მას.

კით. ყოველთა კაცთა მოსცაა ღმერთმან ესე-
ვითარი განცხადებულებაჲ?

მიგ. მან მოსცა იგი ყოველთა კაცთათჳს,
ვითარცა ყოველთა საჭირო და მაცხოვრებითი;
არამედ ვინაჲთგან არა ყოველნი კაცნი შემძლე-
ბელ-არიან უსაშუალოდ შეწყნარებად საღმრთო-
სა განცხადებისა; ამისთჳს იხმარნა მან საკუთარნი
წინათ-მაუწყებელნი თჳსისა განცხადებისანი, რო-
მელთამცა გარდასცენ იგი ყოველთა კაცთა ზედა,
მოსურნეთა შეწყნარებისა მისისათა.

კით. რაჲსათჳს არა ყოველნი კაცნი შემძლე-
ბელ-არიან უსაშუალოდ შეწყნარებად საღმრთო-
სა განცხადებისა?

მიგ. ცოდვითისა არაწმინდებისა გამო და
უძლურებისა სულიერისა და ხორციელისა.

კით.

კით. ვინ იყვნენ წინათ-მაუწყებელნი საღმ-რთოსა განცხადებისანი ?

მიგ. ადამმან, ნოემ, აბრაამმან, მოსემ და სხვათა წინასწარმეტყუელთა შეიწყნარეს და ჰქადა-გეს დაწყებანი საღმრთოსა განცხადებისანი. ხოლო სავსებით და სრულებით მიმოიღო ქუეყანასა ზედა საღმრთო განცხადებაჲ განხორციელებულმან ძემან ღუთისამან უფალმან ჩვენმან იესო ქრისტემან, და განავრცო იგი ყოველსა სოფელსა შინა თჳსთა მოწაფეთა და მოციქულთა მიერ.

მოციქული პავლე იტყჳს დაწყებასა შინა თჳსისა ეპისტოლისასა ებრაელთა მიმართ: ,,მრა-,,ვლით კერძო და მრავლით სახით, მაშინვე ღმერთი ,,ეტყოდა მამათა წინასწარმეტყველთა მიერ, ხოლო ,,უკანასკნელთა ამათ დღეთა მეტყოდა ჩუენ ძისა ,,მიერ თჳსისა, რომელი იგი დაადგინა მკვიდრად ,,ყოველთა, რომლისაგანცა შეჰქმნა ღმერთმან სა-,,უკუნენი,,.

იგივე მოციქული ჰსწერს კორინთელთა მი-მართ: ,,ვიტყვი სიბრძნესა ღუთისასა საიდუმლოდ

,,დაფარულსა

,,დაფარულსა მას, რომელი იგი პირველადვე გა-
,,ნაჩინა ღმერთმან უწინარეს საუკუნეთა სადიდე-
,,ბელად ჩვენდა, რომელი იგი არავინ მთავართა-
,,განმან ამის სოფლისამან იცნა. ხოლო ჩვენ
,,ღმერთმან გამოგვიცხადა სულისა მიერ თჳსისა.
,,რამეთუ სული ყოველთავე გამოეძიებს, და სი-
,,ღრმესაცა ღუთისასა,,. ა კორ: ბ. ზ, ჱ, ი.

მახარებელი იოანე ჰსწერს სახარებასა შინა:
,,ღმერთი არავინ სადა იხილა, მხოლოდ შობილ-
,,მან ძემან, რომელი იყო წიაღთა მამისათა, მან
,,გამოსთქუა,,. ა. იჱ.

თჳთ იესო ქრისტე იტყჳს: ,,არა ვინ იცის
,,ძე, გარნა მამამან, არცა მამა ვინ იცის, გარნა
,,ძემან, და რომლისა უნდეს ძესა გამოსცხადნე-
,,ბის,,. მათ: ია. კზ.

კით. ნუ თუ კაცი ვერ შემძლებელ-არს ქო-
ნებად ცნობისა ღუთისა თჳნიერ საკუთარისა გა-
მოცხადებისა ღუთისა?

მიგ. კაცი შემძლებელ-არს ცნობად ღმრთისა-
სა განხილვითა ღუთისაგან ქმნულთა ნივთთასა;

არამედ

არამედ ცნობა ესე იქმნების უსრული და ნაკლუ-
ლევან, მხოლოდ სახმარ იქმნების განსამზადებე-
ლად სარწმუნოებისა მიმართ, ანუთუ ღონედ რადმე
საცნობელად ღმრთისა განცხადებისა მისისა მიერ.

,,რამეთუ უხილავი იგი მისი დაბადებითგან
,,სოფლისათ ქმნულითა მათ შინა საცნაურად იხი-
,,ლვების, და სამარადისო იგი ძალი მისი და
,,ღმრთაება. რომ: ა. კ.

,,და შექმნა ერთისაგან სისხლისა ყოველნი
,,ნათესავნი კაცთანი, დამკვდრებად ყოველსავე
,,ზედა პირსა ქუეყანისასა, განაჩინნა დაწესებულ-
,,ნი ჟამნი და საზღვრის დადებანი დამკვიდრებისა
,,მათისანი, მოძიებად ღმრთისა, და უკეთუმცა ვინ
,,ეძიებდა, ჰპოვამცა იგი, და რამეთუ არცა შორ-
,,-არს კაცადკაცადისაგან ჩვენისა. რამეთუ მის
,,მიერ ცხოველ-ვართ, და ვიქცევით და ვართ,,.
საქ. მოციქ: იზ. კვ, კზ, კჱ.

სჯულსა შინა სარწმუნოებისა ღმრთისასა წინა-
-უძღვს გულის-სიტყუა ესე, ვითარმედ არს ღმერ-
თი, რომელსაცა გულის-სიტყუასა მოვიპოებთ


ჩვენ

ჩვენ შექმნილთა ნივთთა მიერ. გულის-მოდგინედ განმხილველნი სოფლის ქმნულებისანი, ვსცნობთ, ვითარმედ ღმერთი არს ყოვლად ბრძენი, ყოვლისა-შემძლებელი, სახიერი; ვსცნობთ ეგრეთვე ყოველთავე უხილავთა თჳსებათა მისთა. ესრეთითა სახითა მას ვითარცა უჩვენებსსა მმართველსა შევიწყნარებთ, ვინაჲთგან ყოვლისა სოფლისა შემოქმედი არს ღმერთი, და ჩვენ შევადგენთ ნაწილსა სოფლისასა, მაშა სადამე შემოქმედი ჩუენიცა ღმერთი არს. ამას ცნობასა შეუდგების სარწმუნოებაჲ, და სარწმუნოებასა ამას თაყუანის-ცემაჲ. ვასილ. დიდ. ეპისტ. 232.

## სამღვთოსა მოძღვრებისა და საღმრთოსა წერილისა თჳს.

კით. ვითარითა სახითა განვრცელდების კაცთა შორის საღმრთო განცხადებაჲ და დაცულ-იქმნების ჭეშმარიტსა ეკკლესიასა შინა?

მიგ. ორითა ღონეთა მიერ: საშუალობითა

საღმრთოსა მოძღურებისა და საღმრთოსა წერი-
ლისათა.

კით. რაჲ იგულისჴმების სახელითა საღმრ-
თოსა მოძღურებისათა?

მიგ. სახელითა საღმრთოსა მოძღურებისათა
იგულისჴმების იგი, რომელსცა ჭეშმარიტნი მორ-
წმუნენი და პატივის-მცემელნი ღუთისანი სიტყჳთ
და მაგალითით გარდასცემენ ერთი მეორესა, და
წინაპარნი შთამომავლობათა, ჳსწავლასა სარწმუ-
ნოებისასა, ჳს ჯულსა ღუთისასა, საიდუმლოთა
და საღმრთოთა წესთა.

კით. არსა სარწმუნო საცავი საღმრთოჲსა
მოძღურებისა?

მიგ. ყოველნი ჭეშმარიტნი მორწმუნენი
შეერთებულნი საღმრთოჲთა მოძღურებითა სარ-
წმუნოებისათა, შეერთებით და მემკჳდრეობით,
განმგეობითა ღუთისათა, შეადგენენ თავისა მიერ
თჳსისა ეკკლესიასა, რომელი არსცა სარწმუნო
საცავი საღმრთოჲსა მოძღურებისა, ანუ გამოთ-
ქმისაებრ წმიდისა პავლესა: „ეკკლესია ღუთისა

„ცხოველისა

„ცხოველისა სვეტი და სიმტკიცე ჭეშმარიტები-
სა„. ა ტიმო: გ. იე.

დაჰსწერს წმინდა ირინეოს: არა ჯერ-არს სხჳათა შორის ძიება ჭეშმარიტებისა, რომელიცა ადვილად ივასხების ეკკლესიისაგან: რამეთუ მას შინა, ვითარცა მდიდარსა საუნჯესა შინა მოციქულთა სრულებით დასდვეს ყოველი, რაჲცა ეკუთვნის ჭეშმარიტებასა, ესრეთ რომელ, თჳთოეული მსურველი შემძლებელ არს მოღებად მისგან სასმელსა ცხოვრებისასა. იგი არს კარი ცხოვრებისა. პირისპ. წვალებ. წიგ. 3. თავი 4.

კით. რაჲ იწოდების საღმრთო წერილად?

მიგ. წიგნნი დაწერილნი სულითა ღმრთისათა, ღმრთისაგან განათლებულთა კაცთა მიერ, წოდებულთა წინასწარმეტყუელებად და მოციქულებად. ჩვეულებრივ წიგნნი ესე იწოდებიან ბიბლიად.

კით. რასა ნიშნავს ლექსი ესე, ბიბლია?

მიგ. ლექსი, ბიბლია, არს ბერძული, რომელიცა ნიშნავს, წიგნთა: ამით წოდებითა გამოიხატვის ესე, რომელ საღმრთონი წიგნნი ხსჳათა

ყოველთა

ყოველთა ზედა უაღრესად ღირს არიან ყურად-
-ღებისა.

კით. რომელი არს უმჯობესი საღმრთო მო-
ძღჳრება, ანუ საღმრთო წერილი?

მიგ. უმჯობესი და პირველ-დაწყებითი სა-
შუალობა ღმრთივგანცხადების განვრცელებისა არს
საღმრთო მოძღჳრებაჲ. ადამისითგან ვიდრე მო-
სესამდე არა იყვნენ საღმრთონი წიგნნი. თჳთ
უფალმან ჩუენმან იესო ქრისტემან ღმრთაებრივი-
ჰსწავლა თჳსი და დაწესებულებანი მოსცა თჳსთა
მოწაფეთა სიტყჳთ და სახისმიცემით და არა წი-
გნით. მითვე სახითა დასაბამსა შინა მოციქულ-
ნიცა განავრცელებდეს სარწმუნოებასა და დაამტკი-
ცებდეს ეკკლესიასა ქრისტესსა. საჭიროება მო-
ძღჳრებისა ჰსჩანს მისგანაცა, რომელ წიგნთა მიერ
შესაძლო არს რათა ისარგებლოს მცირემან ნაწილმან
კაცთამან. ხოლო მოძღჳრებისა მიერ ყოველთა.

კით. მაშა რაჲსათჳს მოცემულ-არს საღმრთო
წერილი?

მიგ. ამისთჳს, რათამცა განცხადება ღმრთისა

დაცულ

დაცულ იქმნას უმეტეს ნამდვილ და უცვალებელად. საღმრთოსა წერილსა შინა წარვიკითხავთ ჩუენ სიტყუათა წინასწარმეტყუელთა და მოციქულთასა ნამდვილ ეგრეთ, რეცათუ მათთანა ცხოვრებულ ვიყვენით ჩვენ და გვესმინა მათი, არა მიმხედველნი მას ზედა, რომელ საღმრთონი წიგნნი დაწერილ არიან უწინარეს რაოდენთამე საუკუნეთა და ათასეულთა წელთასა ვიდრე ჩუენისა დროჲსადმდე.

კით. ჯერ-არსა დაცუად საღმრთოჲსა მოძღურებისა მაშინაცა, ოდესცა გუაქუს ჩუენ საღმრთო წერილი?

მიგ. ჯერ-არს დაცუად მოძღურებისა, საღმრთოსა განცხადებისა და საღმრთოსა წერილისადმი თანახმისა, ვითარცა გუასწავებს ამას თჳთ საღმრთო წერილი. დაჰსწერს მოციქული პავლე:
,,ამიერითგან ძმანო მტკიცეთ ჰსდეგით, და შეიკ-
,,რძალეთ მოძღურებაჲ ესე, რომელიცა გისწა-
,,ვიეს, გინა სიტყვითა, გინა წიგნითა ჩუენითა.
ბ თესალონიკ: ბ. იე.

კით. რაჲსათჳს აწცა საჭირო არს მოძღურება?

მიგ. კანონიერად გულის-ხმის-ყოფისათჳს საღმრთოჲსა წერილისა, წესიერად აღსრულებისათჳს საიდუმლოთასა და დაცვისათჳს საღმრთოთა წესდებულებათა სიწმინდითა პირველ-დაწყებულისა დაწესებისა მათისათა.

იტყჳს წმინდა დიდი ვასილი ამისთჳს შემდგომსა ამას: ეკკლესიასა შინა დაცულთა დოღმატთა და ქადაგებათაგან, გუქონან ჩუენ რომელნიმე წერილობითნი მოძღურებანი, ხოლო რომელნიმე მოგჳღებიეს მოციქულთა მოძღურებისაგან საიდუმლოჲსა შინა მონაცვლეობით. ამათ და მეორეთა აქუსთ ერთი და იგივე ძალი კეთილ-მსახურებისათჳს, და ამას ზედა არვინ იქმნების მოცილე, დაღათუ მცირედ მცოდნე ეკკლესიისა წესდებულებათა. რამეთუ უკეთუ ვიკადრებთ უარის-ყოფად უწერელთა ჩუეულებათა, რეცათუ არა დიდისა საჩინოებისა მქონებელთა, მაშინ უგრძნულად ვავნებთ სახარებასა თჳთ თავსა შინა, ანუ უფროსღა ქადაგებისაგან მოციქულთასა დაუტევებთ ცარიელსა სახელსა. მაგალითებრ: პირველ

ყოვლისა მოვიხსენოთ პირველისათჳს და თჳთ საზოგადოებისა ; რათამცა მსასოებელნი სახელსა ზედა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესსა გამოიხატვიდენ სახესა ჯუარისასა , ვინ ასწავა ესე წერილით? აღმოსავლეთად მიქცევა ლოცვისათჳს, რომელმან წერილმან გუასწავა ჩუენ ? სიტყუანი გარდამოწვევისანი ევხარისტად შეცუალებისა შინა პურისა და ბარძიმის კურთხევისანი , ვინ წმინდათაგანმან დაგვიტევა ჩუენ წერილით? რამეთუ არა კმა ვიქმნებით ჩუენ სიტყუათა მათ მიერ , რომელთაცა მოციქული , ანუ სახარება მოიხსენებს ; არამედ უწინარეს მათსა და შემდგომადცა წარმოვსთქუამთ სხუათაცა , ვითარცა მქონებელთა დიდისა ძალისათა საიდუმლოებისათჳს, მიმღებელნი მათნი უწერილისა ჴსწავლისაგან? ეგრეთვე ვითარითა წერილითა ვაკურთხევთ წყალსაცა ნათლის-ღებისასა , და ზეთსა ცხებისასა , და თჳთ მას ნათელღებადსაცა ? არამე დადუმებულითა და საიდუმლოებითა მოძღურებითა . რაჲ კუალად , თჳთ ცხებაჲ ზეთისა ვითარმან დაწერილმან სიტყუამან

გუასწავა

გვასწავა ჩუჱნ? სადითგან არს სამგზის დაფლვაცა კაცისა? და სხჳაჲ შესახებელი ნათლის-ღებისა მიმართ, უარის-ყოფა სატანისა და ანგელოზთა მისთა, რომლისა წერილისაგან მოღებულ არს? არა ამისგანმცა, საანჟმნოდ გამოუცხადებელისა და გამოუთქმელისა ჴსწავლისაგან, რომელიცა დაჰმალეს მამათა ჩუჱნთა მიუწთომელსა გამოძიებისა და გამოკვლევისა მდუმარებასა შინა, იყვნენ რა დაფუძნებით განსწავლულ დუმილით დაცჳად სიწმიდისა საიდუმლოთა? რამეთუ ვითარ შესაბამ იყომცა წერილით განთქმა ჴსწავლისა მის, რომელსა ზედა უნათლავთა თჳალთ შეჯგმადცა არა ეუფლებოდათ? კანო: ქზ. სულ. წმინ: თავ. კზ.

## საღმრთოჲსა წერილისათჳს საკუთრებით.

კით. ოდეს დაწერილ-არიან საღმრთონი წიგნნი?

მიგ. სხჳა და სხჳათა დროთა შინა: ერთნი უწინარეს ქრისტეს შობისა, ხოლო მეორენი შემდგომად.

კით. ამათ ორთა განყოფილებათა საღმრთო-თა წერილთასა არა ჰქონანა საკუთარნი სახელ-წოდებანი ?

მიგ. ჰქონან: საღმრთონი იგი წიგნნი, რომელნიცა დაწერილ არიან უწინარეს ქრისტეს შობისა, იწოდებიან წიგნებად ,,ძველისა აღთქმისად,,; ხოლო იგინი, რომელნიცა დაწერილ არიან შემდგომად ქრისტეს შობისად, იწოდებიან წიგნებად ,,ახლისა აღთქმისად,,.

კით. რაჲ არს ,,ძველი და ახალი აღთქმა ?

მიგ. ითქჳას სხჳებრ: ძველი კავშირი ღჳთისა კაცთა თანა, და ახალი კავშირი ღჳთისა კაცთა თანა.

კით. რასა შინა მდგომარეობდა ,,ძველი აღ ,,თქმაჲ ?

მიგ. მას შინა, რომელ ღმერთმან აღუთქჳა კაცთა საღმრთო მაცხოვარი, და განამზადებდა მათ შეწყნარებად მისა.

კით. ვითარ განამზადებდა ღმერთი კაცთა შეწყნარებად მაცხოვრისა ?

მიგ.

მოწ. ხარისხობითა გამოცხადებათა მიერ, წინასწარმეტყველებათა მიერ და სახის მოსწავებათა.

ვით. რასა შინა მდგომარებს „ახალი აღთქმაჲ?

მოწ. მას შინა, რომელ ღმერთმან ნამდვილ მოანიჭა კაცთა საღმრთო მაცხოვარი, მხოლოდ შობილი ძე თვისი, იესო ქრისტე.

ვით. რაოდენნი არიან საღმრთონი წიგნნი ძველისა აღთქმისანი?

მოწ. წმინდა კირილე იერუსალიმელი წმინდა ათანასი დიდი და წმინდა იოანე დამასკელი აღრიცხვენ მათ „ოცდა ორად„, შემამსგავსებელნი მისნი, ვითარცა აღრიცხვენ მათ ებრაელნი თვისსა პირველ დაწყებითსა ენასა ზედა. იხილ. ათანას: ეპისტ: ლით. დამასკ. ღჳთის: წიგნ: დ. თავ. იზ.

ვით. რაჲსათვის ღირს-არს ყურად-ღებისა აღმრიცხველობა ებრაელთა?

მოწ. ამისთვის, რომელ ვითარცა იტყვის მოციქული პავლე, „ერწმუნნეს მათ სიტყჳანი „ღჳთისანი„, და ახლისა აღთქმისა ქრისტიანეთა ეკკლესიამან მიიღო ძველისა აღთქმისა საღმრთონი

წიგნნი

წიგნნი ძველისავე აღთქმისა ებრაელთა ეკკლესი-
ისაგან. რომ: გ. ზ.

კით. ვითარ უკუჱ აღრიცხვენ ძველისა აღ-
თქმისა წიგნთა წმინდა კირილე და წმინდა ათანასი?

მიგ. შემდგომითა ამით სახითა:

1. წიგნი შექმნათა.
2. გამოსვლათა.
3. ლევიტელთა.
4. რიცხჳთა.
5. მეორესჯულისა.
6. წიგნი ისუ ნავესი
7. წიგნი მსაჯულთა და მასთანავე ერთად, ვითარცა დამატებაჲ მისი, წიგნი რუთისა.
8. პირუელი და მეორე წიგნნი მეფეთანი, ვითარცა ორნი ნაწილნი ერთისა წიგნისანი?
9. მესამე და მეოთხე წიგნნი მეფეთანი.
10. პირველი და მეორე წიგნნი ნეშტთა.
11. წიგნი ეზდრასი პირველი, და მეორე მისივე, ანუ ზერობაბელზედა წარწერითა, წიგნი ნეემიასი.

ესთერისა

12. ესთერისა.

13. წიგნი იობისა.

14. დავითისა ფსალმუნნი.

15. იგავნი სოლომონისანი.

16. ეკკლესიასტე მისივე.

17. ქება ქებათა მისივე.

18. წიგნი წინასწარმეტყუელისა ისაიასი.

19. იერემიასი.

20. ეზეკიილისა.

21. დანიილისა.

22. ათორმეტთა წინასწარმეტყუელთა.

კით. რაჲსათჳს ამას აღრიცხვასა შინა ძველისა აღთქმისა წიგნთასა არა მოხსენებულ-არს წიგნისა თჳს სიბრძნისა მისა ზირაქისა, და რომელთამე სხჳათათჳს?

მიგ. ამისთჳს, რომელ არა არიან იგინი ებრაულსა ენასა ზედა.

კით. ვითარ ჯერ-არს მიღებად ამათ უკანასკნელთა წიგნთა?

მიგ. იტყვის დიდი ათანასი: იგინი დანიშნულ-

-არიან

-არიან მამათაგან საკითხავად ეკკლესიად შემავალთა.

კით. ვითარ განისაზღვრების განყოფით ჰზრი ძველისა აღთქმისა წიგნთა?

მიგ. იგინი შესაძლებელ-არიან განყოფად ოთხად შემდგომად ნაწილად.

1. წიგნნი „ჰსჯულდებითნი„, რომელნი-ცა შეადგენენ უმთავრესსა საფუძველსა ძველისა აღთქმისასა.

2. „ისტორიულნი„, რომელნიცა იპყრობენ წარჩინებით მოთხრობასა კეთილ-მსახურებისასა.

3. „ჰსწავლითნი„, რომელნიცა იპყრობენ ჰსწავლასა კეთილ-მსახურებისასა.

4. „წინასწარმეტყუელებითნი, რომელნიცა იპყრობენ წინასწარმეტყუელებათა, ანუ წინას-წარ-თხრობათა მყოობადისათჳს, და უმეტეს იესო ქრისტესათჳს.

კით. რომელნი არიან წიგნნი „ჰსჯულ-დებითნი„?

მიგ. ხუთნი წიგნნი, დაწერილნი მოსეს მიერ:

წიგნი შექმნათა, გამოსვლათა, ლევიტელთა რი-
ცხჳთა, მეორე ჰსჯულისა.

თჳთ იესო ქრისტე ზოგად სახელ ჰსდებს წი-
გნთა ამათ ,,ჰსჯულად მოსესა,,. ლუკ. 24. მდ.

კით. რასა იპყრობს საკუთრებით წიგნი ,,შექმნათა,,. ?

მიგ. მოთხრობასა შექმნისათჳს სოფლისა და კაცისა, და შემდგომად ისტორიასა და კეთილ-მსახურებისა დაწესებათა პირველთა დროთა შინა კაცთა ნათესავისათა.

კით. რასა იპყრობენ სხუანი ოთხნი წიგნნი მოსესნი ?

მიგ. ისტორიასა კეთილ-მსახურებისასა დროსა წინასწარმეტყუელისა მოსესსა, და მის მიერ ღჳთისგან მოცემულსა ჰსჯულსა.

კით. რომელნი არიან ,,ისტორიულნი,, წიგნნი ძუელისა აღთქმისანი ?

მიგ. წიგნნი: ისუ ნავესი, მსაჯულთა, რუთისა, მეფეთა, ნეშტთა, წიგნი ეზდრასი, წიგნი ნემიასი და ესთერისა.

კით. ,,რომელნი არიან ჰსწავლითნი,,?

მიგ. წიგნი იობისა, ფსალმუნნი დავითისნი და წიგნნი სოლომონისნი.

კით. რაჲ ჰჯერ-არს საკუთრად შენიშვნა ,,ფსა-,,ლმუნთა თჳს!

მიგ. იგი, ერთბამად კეთილმსახურებისა ჰსწავლისა თანა, იპყრობს ეგრეთვე ჩვენებათა მოთხრობასა ზედა მისსა, და მრავალთა წინასწარმეტყველებათა ქრისტე მაცხოვრისათჳს, იგი არს უაღმატებულესი ჰსწავლულება ლოცვისა და დიდებისა ღმრთისა, და ამისთჳს დაუცხრომელად იხმარების ეკკლესიურსა ღმრთისმსახურებასა შინა.

კით: ,,რომელნი არიან წიგნნი წინასწარმე-,,ტყველებითნი,,?

მიგ. წიგნნი წინასწარმეტყველთა: ისაიასი, იერემიასი, ეზეკიილისი, დანიილისი და ათორმეტთა სხჳათანი.

კით. რაოდენნი არიან წიგნნი ახლისა აღთქმისანი?

მიგ. ოცდა-შჳდნი.

კით.

კით. არიანა მათ შორისცა ,,ჰსჯულდებითნი, ესე იგი უაღრესად შემადგინებელნი ახლისა აღთქმისა საფუძვლისანი?

მიგ. ამით სახელითა წოდებად სამართლად შესაძლებელ-არს ,,სახარებაჲ,,, რომელსაცა შეადგენენ ოთხნი წიგნნი მახარებელთანი: მათესი, მარკოზისი, ლუკასი და იოანესი.

კით. რასა ნიშნავს ლექსი: ,,სახარებაჲ,,?

მიგ. იგი ნიშნავს ხარებასა, ესე იგი ,,კეთილსა ,,უწყებასა,,, ანუ სახარულევანსა მოთხრობასა.

კით. რასა ახარებენ წიგნნი, წოდებულნი სახარებად?

მიგ. ღჳთაებასა უფლისა. ჩუენისა იესო-ქრისტესსა, ქვეყნად მოსვლასა, მისსა ცხოვრებასა მისსა ქვეყანასა ზედა, სასწაულებრთა საქმეთა მისთა, და მაცხოვრებითისა ჰსწავლისა, უკანასვნელ ჯუარით სიკვდილსა მისსა, დიდებით აღდგომასა და ზეცად ამაღლებასა.

კით. რაჲსათჳს წიგნნი ესე წოდებულ-არიან სახარებად?



მიგ.

მიგ. ამისთჳს, რომელ არა შესაძლო ცოფად არს, კაცთათჳს უკეთილესისა და უმეტეს სახარულევანისა უწყებისა, ვითარცა რა უწყება საღმრთოსა მაცხოვრისათჳს, და საუკუნოჲსა ცხოვრებისათჳს; და ამისთჳს წარკითხვასაცა სახარებისასა ეკკლესიასა შინა მარადგზის წინა-უმღვის და შეუდგების სახარულევანი ღაღადება ესე: ,,დიდება ,,შენდა ღმერთო ჩუენო, დიდება შენდა,,.

ვით. არიანა წიგნთა შორის ახლისა აღთქმისათა ,,ისტორიულნი?

მიგ. არს, სახელდობ, წიგნი ,,საქმე,, წმინდათა ,,მოციქულთა,,.

ვით. რასა მოუთხრობს იგი?

მიგ. გარდამოსვლისათჳს სულისა წმინდისა მოციქულთა ზედა, და განვრცელებისათჳს მათ მიერ ქრისტიანებრივისა ეკკლესიისა.

ვით. რაჲ არს ,,მოციქული,,?

მიგ. ლექსი ესე ნიშნავს ,,მივლინებულსა,,; სახელითა ამით იწოდებიან გამორჩეულნი მოწაფენი უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესნი,

რომელ-

რომელნიცა წარავლინნა მან ქადაგებად სახარებისა.

კით. რომელნი არიან ახლისა აღთქმისა წიგნნი ,,ჰსწავლითნი,, ?

მიგ. შვიდნი კათოლიკე ეპისტოლენი : ერთი მოციქულისა იაკობისა , ორნი პეტრესნი , სამნი იოანესნი და ერთი იუდასი ; და ათოთხმეტნი ეპისტოლენი პავლე მოციქულისანი : რომაელთა მიმართ , კორინთელთა მიმართ ორნი , გალატელთა მიმართ , ეფესელთა მიმართ , ფილიპელთა მიმართ, კოლასელთა მიმართ , თესალონიკელთა მიმართ ორნი , ტიმოთეს მიმართ ორნი , ტიტეს მიმართ , ფილიმონის მიმართ და ებრაელთა მიმართ.

კით. არიანა წიგნთა შორის ახლისა აღთქმისათა ,,საწინასწარმეტყველონიცა,, ?

მიგ. ესევითარი წიგნი არს ,,გამოცხადება,, იოანესი .

კით. რასა იპყრობს წიგნი ეს ?

მიგ. საიდუმლოებითისა გამოსახვასა ყოფადისა მსჯავრისა ქრისტეს ეკკლესიისა და ყოვლისა სოფლისასა .

კით. რაჲსა ჯერ-არს დაცვად ჟამსა საღმრთო-წერილის კითხვისასა ?

მიგ. პირველად, ჯერ არს კითხვა მისი კრძალულებით, ვითარცა სიტყვისა ღჳთისა, და ლოცვით გულის-ხმის-ყოფისათჳს მისისა.

მეორედ, ჯერ-არს კითხვაჲ მისი წმინდითა განზრახვითა სამოძღჳრებელად ჩჳენდა სარწმუნოებასა შინა და განსაღვიძებელად კეთილთა საქმეთა მიმართ.

მესამედ, ჯერ-არს სმენა მისი თანახმად განმარტებისა თანა მართლმადიდებელისა ეკკლესიისა და წმინდათა მამათასა.

კით. ოდესცა ეკკლესია წინადაუდებს ჴსწავლასა საღმრთოჲსა განცხადებისა და საღმრთოჲსა წერილისასა კაცთა, არა მეცნიერთა მისთა; ვითა-რთა ლა წარმოუდგენს მათ იგი ნიშანთა მისთა, ვითარმედ ჭეშმარიტი სიტყუჲ ღჳთისა არს იგი ?

მიგ. ნიშანნი ამისნი არიან შემდგომნი ესე:

1. სიმაღლე ჴსწავლისა ამის მოწამე არს,

რომელ

რომელ არა შესაძლებელიყო იგი მოპოებად გონებისაგან კაცობრივისა.

2. სიწმინდე ჰსწავლისა ამის, მაჩვენებელარს, ვითარმედ წარმოსდგა იგი უწმინდესისა გონებისაგან ღმრთისა.

3. წინასწარმეტყველებანი.

4. სასწაულნი.

5. შემძლებელობითი მოქმედება ჰსწავლისა ამის გულთა ზედა კაცთასა, განთვისებული მხოლოდ ძალისადმი ღმრთისა.

კით. ვითარითა სახითა იქმნებიან წინასწარმეტყველებანი ნიშნად ჭეშმარიტისა ღმრთის განცხადებისა?

მიგ. ესე შეიძლების მაგალითითი განმარტებად. ოდესცა წინასწარმეტყველმან ისაია წინათ ჰსთქუა შობა ქრისტე მაცხოვრისა ქალწულისაგან, რომლისაცა ბუნებითსა გონებასა კაცისასა მოგონებადცა ვერ ეძლო, და ოდესცა რაოდენთამე ასთა წელთა შემდგომად ამის წინასწარმეტყველებისა იშვა უფალი ჩუენი იესო ქრისტე

ყოვლად-

ყოვლად წმინდის ქალწულისა მარიამისაგან; მა-
შინ შეუძლებელ-იყო არა ხილვად, რომელ წი-
ნასწარმეტყველება იყო სიტყუა ღუთისა ყოვ-
ლისა მეცნიერისა, და რომელ აღსრულება წინას-
წარმეტყველებისა საქმე ღუთისა არს, ყოვლისა
შემძლებელისა. ამისთვს წმინდა მახარებელი მათე-
ცა, მომთხრობელი შობისათვს ქრისტესისა, შე-
მოიყვანს წინასწარმეტყველებასა ისაიასსა. „ესე
„ყოველი იქმნა, რათა აღესრულოს სიტყუა იგი
„უფლისა, პირითა წინასწარმეტყველისათა თქ-
„მული: აჰა ქალწული მიუდგეს და შვეს ძე და
„უწოდონ სახელი მისი ემმანუილ, რომელ არს
„თარგმანებით, ჩვენთანა ღმერთი. მათ. 1. კბ, კგ.

კით. რაჲმე არიან სასწაულნი?

მიგ. საქმენი, რომელნიცა არა შესაძლებელ
არიან. ქმნად არცა ძალითა, არცა ხელოვნებითა
კაცისათა; არამედ მხოლოდ ყოვლისა შემძლებე-
ლითა ძალითა ღუთისათა. მაგალითებრ: აღდგი-
ნება მკუდრისა.

კით. ვითარითა სახითა იქმნებიან სასწაულნი

ნიშნად

ნიშნად ჭეშმარიტისა სიტყვისა ღჳთისა?

მიგ. ვინცა იქმს ჭეშმარიტთა სასწაულთა, იგი მოქმედებს მადლითა ღჳთისათა; მაშა სადამე სათნო არს იგი ღჳთისა და თანა ზიარ სულისა ღჳთისა. და ეგევითარსა პირსა ეთვისების თქმა მხოლოდ წმინდისა ჭეშმარიტებისა. და ამისთჳს, რაჟამს იტყვის იგი სახელითა ღჳთისათა, მაშინ მის მიერ, უეჭველად, იტყვის სიტყჳა ღჳთისა. ამისთჳს თჳთ უფალი ჩუჱნი იესო ქრისტე შემოიღებს სასწაულთა საჩინოდ მოწმობად საღმრთოისა მოვლინებისა თჳსისა: „საქმენი, რომე-
„ლნი მომცნა მე მამამან, რათა აღვასრულნე იგი-
„ნი, ესევე საქმენი ჰსწამებენ ჩემთჳს, რომელითა
„მე ვიქმ, რამეთუ მამამან მომავლინა მე„.
იოანე 5. ლვ.

კით. რაჲსაგან შესაძლებელ არს საკუთრივ ხილვად შემძლებელობითი მოქმედება ქრისტიანებრივისა ჰსწავლისა?

მიგ. მისგან, რომელ ათორმეტთა მოციქულთა, აღხმულთა კაცთაგან გლახაკთა, უსწავლელთა,

მდაბლისა

მდაბლისა მღვლომარებისათა, ამით ჰსწავლითა ჰს-ძლიჳს და დაჰყმონეს ქრისტესა ძლიერნი, ბრძენნი, მდიდარნი მეფენი და სამეფონი.

## შედგენილება კატეხის-მოჲსა.

კით. ვითარ წარმოდგენილ-იქმნას კატეხისე-ბრი ჰსწავლა კეთილ-მსახურებისა კანონიერსა შედგენილებასა შინა?

მიგ. ესე მაგალითისაებრ წიგნისა მართლმადი-დებლობის აღსარებისა, კეთილად მიღებულისა მართლმადიდებელთა აღმოსავლეთის პატრიარხთა-გან,, შესაძლო არს რათა მიღებულ-იქმნას საფუ-ძველად გამოთქმისაებრ პავლე მოციქულისა, რომელ ყოველსა საქმესა ქრისტიანისასა აწინ-დელსა ცხოვრებასა შინა ჯერ არიან შეადგენდენ სამნი ესე: სარწმუნოება, სასოება, სიყვარული.

,,ხოლო აწ ესერა ჰგიეს სარწმუნოება, სა-
,,სოება და სიყუარული სამი ესე,,: ა კორინ.
13. იგ.

და

და ესრეთ ქრისტიანისათჳს საჭირო არს :

პირველად, ჴსწავლა სარწმუნოებისა ღ҃თისა, და საიდუმლოთა, რომელთაცა იგი გამოგვიცხადებს.

მეორედ, ჴსწავლა ღ҃თისადმი სასოებისა და ღონისძიებათა დასამტკიცებელად მას შინა.

მესამედ, ჴსწავლა სიყუარულისა ღ҃თისა, და ცოდვილთა, რომელთა შეყუარებასა გვიბრძანებს იგი.

კით. ვითარითა ღონითა შეგვიყვანს ჩვენ ეკკლესია ჴსწავლასა შინა სარწმუნოებისასა?

მიგ. საშუალობითა სიმბოლოსა სარწმუნოებისათა.

კით. რაჲ შესაძლებელ-არს წინამძღუანველად მიღებად ჴსწავლისათჳს სასოებისა?

მიგ. გამოთქმანი უფლისანი ნეტარებისათჳს და ლოცვა საუფლოჲ.

კით. სადა შესაძლო არს პოვნა დაწესებითისა ჴსწავლისა სიყუარულისათჳს?

მიგ. ათთა მცნებათა შინა ჴსჯულისა უფლისათა.



ქრისტი-

# ႵႰႨႱႲႨႠႬႭႡႰႨႥႨႱႠ

## ႩႠႲႤႾႨႦႫႭჂႱႠ

## ႬႠႼႨႪႨ ႮႨႰႥႤႪႨ.

## ႱႠႰႼႫႳႬႭႤႡႨႱႠႧჃႱ.

### საზოგადოდ სიმვოლოსა სარწმუნოებისათჳს, და წარმოებისა მისისათჳს.

კით. რაჲ არს სიმვოლოჲ სარწმუნოებისა?

მიგ. სიმვოლოჲ სარწმუნოებისა არს, მოკლეთა, გარნა ნამდვილთა სიტყუათა შინა გარდამოცემული ჴსწავლაჲ მისთჳს, თუ რაჲსა თანამდებ არიან ქრისტიანენი რწმუნებად.

კით. რომელთა სიტყუათა შინა გარდამოცემულ-არს სახელ-დებით ჴსწავლაჲ ესე?

მიგ. შემდგომთა ამათ შინა:

ა. ,,მრწამს ერთი ღმერთი მამა, ყოვლისა
,,მპყრობელი, შემოქმედი ცათა და ქუეყანისა,
,,ხილულთა ყოველთა და არა ხილულთა.

ბ. ,,და ერთი უფალი იესო ქრისტე, ძე
,,ღუთისა, მხოლოდ-შობილი, მამისაგან შო-
,,ბილი უწინარეს ყოველთა საუკუნეთა, ნათელი
,,ნათლისაგან, ღმერთი ჭეშმარიტი, ღუთისაგან
,,ჭეშმარიტისა შობილი, და არა ქმნილი, თანა
,,არსი მამისა, რომლისაგან ყოველი შეიქმნა.

გ. ,,რომელი ჩუენ კაცთათჳს და ჩუენისა
,,ცხოვრებისათჳს, გარდამოხდა ზეცით და ჴორ-
,,ცნი შეისხნა სულისაგან წმიდისა, და მარიამის-
,,გან ქალწულისა განკაცნა.

დ. ,,და ჯუარს ეცუა ჩუენთჳს პონტოელისა
,,პილატეს ზე, და ივნო და დაეფლა.

ე. ,,და აღსდგა მესამესა დღესა მსგავსად წე-
,,რილისა.

ვ. ,,და ამაღლდა ზეცად და მჯდომარე არს მა-
,,რჯუენით მამისა.

ზ. ,,და კუალად მომავალ არს დიდებით

,,განსჯად

,,განჴსჯად ცხოველთა და მკუდართა, რომლისა ,,სუფევისა არა არს დასასრული.

ჱ. ,,და სული წმიდა, უფალი და ცხოველს- ,,მყოფელი, რომელი მამისაგან გამოვალს, მა- ,,მისა თანა და ძისა თანა თაყუანის იცემების და ,,იდიდების, რომელი იტყოდა წინასწარმეტყუელ- ,,ლთა მიერ.

თ. ,,ერთი წმიდა კათოლიკე და სამოციქუ- ,,ლო ეკკლესია.

ი. ,,აღვიარებ ერთსა ნათლის-ღებასა მოსა- ,,ტევებელად ცოდვათა.

ია. ,,მოველი აღდგომასა მკუდრეთით.

იბ. ,,და ცხოვრებასა მერმისა მის საუკუნესა- ,,სა. ამინ.

კით. ვინ გარდამოსცა ესრეთ სარწმუნოებისა ჴსწავლა?

მიგ. მამათა პირველისა და მეორისა მსოფ- ლიოსა კრებისათა.

კით. რაჲ არს ,,მსოფლიო კრება?

მიგ. შეკრებულება მწყემსთა და მოძღუართა

ქრისტი-

ქრისტიანებრივისა კათოლიკე ეკკლესიისათა შე-ძლებისაებრ, ძუელისა სჯულისაგან, დასამტკი-ცებელად ჭეშმარიტისა ჰსწავლისა და კეთილმსა-ხურებისა ქრისტიანეთა შორის.

კით. რაოდენნი იყჳნენ მსოფლიონი კრებანი?

მიგ. შჳდნი:

ა. ნიკეასი.

ბ. კონსტანტინოპოლისა.

გ. ეფესოსი.

დ. ხალკიდონისა.

ე. კონსტანტინოპოლისა მეორე.

ვ. კონსტანტინოპოლისა მესამე.

ზ. ნიკეასი მეორე.

კით. სადითგან შემოღებულ არს კანონი კრე-ბათა შეკრებისა?

მიგ. მოციქულთა მაგალითისაგან, რომელთა ეპყრათ კრება იერუსალიმსა შინა. იხილე საქ. მოც. იე. საფუძვლად ამისა ეხმარების ეგრეთვე წარმოთქმა თჳთ იესო ქრისტესი, მიმცემელი გან-ჩინებათა ეკკლესიისათა ესე ვითარისა უფლებისა,

რომელი

რომელ გარდამავალთ მათი მოკლებულ იქმნების მადლისა, ვითარცა წარმართნი. ხოლო ლონე, რომლითაცა წარმოსთქუამს მსოფლიო ეკკლესიაჲ თჳსთა განჩინებათა, არს მსოფლიოკრებაჲ.

,,უთხარ კრებულსა: ხოლო უკეთუ კრებუ-
,,ლისაცა არა ისმინოს: იყავნ იგი შენდა, ვი-
,,თარცა მეზუერე და წარმართი. მატ. იჱ. მუხ. იზ.

კით. რაჲსათჳს განსაკუთრებით შეკრებულ იქმნენ პირველ და მეორე მსოფლიონი კრებანი, რომელთაცა შინა შედგენილ იქმნა სიმვოლო სარწმუნოებისა?

მიგ. პირველი, დასამტკიცებლად ჭეშმარიტისა ჴსწავლისა ძისათჳს ღუთისა, წინააღმდეგ არიოზის ცრუჲსა მოძღურებისა, რომელიცა უპატიოდ მოაზრობდა ძისათჳს ღუთისა.

მეორე, დასამტკიცებლად ჴსწავლისა სულისა წმიდისათჳს, წინააღმდეგ მაკედონიოზისა, რომელიცა უპატიოდ მოაზრობდა სულისა წმიდისათჳს.

კით. მრავალი ჟამი არსა, ოდესცა იყჳნენ კრებანი ესე?

მიგ.

მიგ. პირველი ტკე-წელსა, შემდგომად ქრისტეს შობისა, ხოლო მეორე ტპა.

## წევრთათვს სიმვოლოსა სარწმუნოებისათა.

კით. ვითარ ჯერ არს მოქცევად, რაითამცა უმჯობესად ვიგულისხმეთ მსოფლიო სიმვოლო სარწმუნოებისა?

მიგ. ჯერ-არს შენიშვნად მისა განყოფილება ათორმეტთა ,,წევრთა,, ზედა ანუ ,,ნაწილთა,, და განხილვად თვითოეული წევრი განრჩევით.?

კით. რაჲმე ითქმის თვითოეულსა წევრსა შინა სიმვოლოსა სარწმუნოებისასა განრჩევით?

მიგ. პირველსა წევრსა შინა ითქმის ,,ღმრთი- ,,სათვს,, პირველ და საბამად განსაკუთრებით ,,პირველისა პირისათვს წმიდისა სამებისა,, , ღმრთისათვს მამისა; და ღმრთისათვს, ვითარცა სოფლის შემოქმედისა.

მეორესა წევრსა შინა, ,,მეორისა პირისათვს

,,წმიდისა

,,წმიდისა სამებისა,,, იესო ქრისტესთჳს მისა ღმრთისა.

მესამესა წევრსა შინა, ,,განხორციელებისა-,,თჳს,, მისა ღმრთისა.

მეოთხესა წევრსა შინა, ,,ვნებისათჳს და სი-,,კჳდილისა,, იესო ქრისტესსა.

მეხუთესა წევრსა შინა ,,აღდგომისათჳს,, იესო ქრისტესა.

მეექუსესა წევრსა შინა, ,,ამაღლებისათჳს,, იესო ქრისტესა ზეცად.

მეშვიდესა წევრსა შინა, ,,მეორედ მოსვლი-,,სათჳს,, იესო ქრისტესისა ქუეყანასა ზედა.

მერვესა წევრსა შინა, ,,მესამისა პირისათჳს ,,წმიდისა სამებისა,,, სულისა წმიდისათჳს.

მეცხრესა წევრსა შინა ,,ეკკლესიისათჳს,,.

მეათესა წევრსა შინა, ,,ნათლის ღებისათჳს,,, სადაცა იგულისხმებიან სხუანიცა ,,საიდუმლონი,,.

მეათერთმეტესა წევრსა შინა, ყოველისა ,,მკუ-,,დართა აღდგომისათჳს,,.

მეათორმეტესა

მეათორმეტესა წევრსა შინა, ,,საუკუნოისა
,,ცხოვრებისათჳს,, .

## პირველისა წევრისათჳს.

კით. რასა ნიშნავს რწმუნება ღჲთისა?

მიგ. რწმუნება ღჲთისა ნიშნავს, რათა გვა-
ქმნდეს ცხადი დარწმუნება ყოვლისათჳს მისისა თჳ-
სებათა და მოქმედებათათჳს; და ყოვლითა გულითა შეწყნარება გამოცხადებულისა სიტყჳსა მი-
სისა ცხოვნებისათჳს კაცთა ნათესავისა.

კით. შესაძლებელ არსა ჩვენებად საღმრთოისა წერილისაგან, რომელ ამას შინა ჯერ იყოს დგომად სარწმუნოება ღჲთისა?

მიგ. მოციქული პავლე დასწერს: ,,თჳნიერ
,,სარწმუნოებისა ვერ შესაძლებელ არს სათნო-
,,ყოფა ღჲთისა; რამეთუ სარწმუნოება ჯერარს
,,რომელი მოუხდების ღმერთსა რამეთუ არს, და
,,მეძიებელთა მისთა სასყიდლის მიმცემელ იქმნე-
,,ბის,,. ებრ. 11. ვ.

მოციქული მოქმედებასა სარწმუნოებისასა

ქრისტიანეთა შორის გამოხატავს შემდგომსა ამას ღმრთისა მიმართისა მათთვს ლოცვასა შინა:
„რათა მოგცეს თქუენ სიმდიდრისაებრ დიდებისა
„მისისა ძალითა, განმტკიცებად სულისა მიერ
„მისისა შინაგანსა კაცსა, დამკვიდრებად ქრისტეს
„სარწმუნოებითა გულთა შინა თქუენთა„ .
ეფეს: გ. ივ. იზ.

კით. ვითარი ჯერ არს, რათა იყოს უმახლობელესი და მიუცილებელი მოქმედება გულითადისა სარწმუნოებისა ღმრთისადმი?

მიგ. აღსარება თჳთ სარწმუნოებისა ამის.

კით. რასა ნიშნავს აღსარება სარწმუნოებისა?

მიგ. ნიშნავს საანჯმნოდ განცხადებასა, ვითარმედ გვიპყრიეს ჩვენ მართლ მადიდებელი სარწმუნოება და მასთანავე ეგევითარითა ერთგულებითა და სიმტკიცითა, რათამცა ვერცა ცთუნებათა, ვერცა ქადილითა, ვერცა სატანჯველთა, ვერცაღა თჳთ სიკჳდილსა მალედჳას. იძულება ჩვენი უარისყოფად სარწმუნოებისაგან ჭეშმარიტისა ღმრთისა და უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესა.

კით.

კით. რაჲსათჳს საჭირო არს აღსაარება სარ-
წმუნოებისა ?

მიგ. მოციქული პავლე ჰმოწმობს, რომელ
საჭირო არს იგი ცხოვნებისათჳს: ,,რამეთუ გუ-
,,ლითა გვრწამს სიმართლედ, ხოლო პირითა აღ-
,,ვიარებთ საცხოვრებელად,, . რომ. 10. ი.

კით. რაჲსათჳს საჭირო არს ცხოვნებისათჳს
არა მხოლოდ ჰრწმუნება; არამედ აღსაარებაცა
მართლმადიდებელისა სარწმუნოებისა ?

მიგ. ამისთჳს რომელ, უკეთუმცა ვინ, და-
ცჳისათვის ჟამიერისა ცხოვრებისა, ანუ ქვეყნი-
ურითა სარგებლობათა, იჴმნა აღსაარებისგან მა-
რთლმადიდებელისა სარწმუნოებისა, მაშინ აჩვე-
ნამცა მით, რომელ არა აქუს ჭეშმარიტი სარ-
წმუნოება ღუთისა მაცხოვრისა, და შერმის მის
საუკუნოჲსა ცხოვრებისა.

კით. რაჲსათჳს სიმბოლოსა შინა სარწმუ-
ნოებისასა არა თქმულ-არს: მრწამს ღმერთი,
არამედ დამეტყებითა: ერთი ღმერთი ?

მიგ. ამისთჳს, რათამცა განვლებულ იქმნას

ცრუ

ცრუ ჰსწავლაჲ წარმართთა, რომელნიცა, პატი-ვსცემდენ რა ქმნულებასა ღჳთად, ჰგონებდენ ვი-თარმედ მრავალ-არიან ღმერთნი.

ვით. ვითარ ასწავებს საღმრთო წერილი მხო-ლოობასა ღჳთისასა?

მიგ. თჳთ სიტყუანი მოღებულ არიან ამის-თჳს სარწმუნოებისა სიმვოლოსა შინა, შემდგო-მისა ამის გამოთქმისაგან პავლე მოციქულისა:
,,არა ვინ არს ღმერთი სხუა, გარნა მხოლო იგი
,,ერთი ღმერთი. რამეთუ დალაცათუ არიან რაჲმე
,,სახელდებულ ღმერთნი, გინათუ ცათა შინა,
,,გინათუ ქუეყანასა ზედა, ვითარცა არიან ღმერთნი
,,მრავალ და უფალნი მრავალ: არამედ ჩუენდა ერთ
,,არს ღმერთი მამა, რომლისაგან არს ყოველი,
,,და ჩუენ მისა მიმართ, და ერთი არს უფალი
,,იესო ქრისტე, რომლისა მიერ ყოველი და
,,ჩუენ მის მიერ,,, ა. კორინ. 8. დ, ე, ვ.

ვით. შესაძლო არსა ცნობად თჳთ არსებაჲ ღჳთისა?

მიგ. არა. იგი უმაღლეს არს ყოვლისა

ცნობისა

ცნობისა, არა თუ ოდენ კაცთა, არამედ ანგე-
ლოსთაცა.

კით. ვითარ იტყვის ამისთვს საღმრთო წე-
რილი?

მიგ. მოციქული პავლე იტყვის, ვითარმედ ,,ღმერთი ნათელსა მყოფ არს მიუწთომელსა, ,,რომელი არა ვინ იხილა კაცთაგანმან, არცა ხი-,,ლვად ჴელეწიფების,,. ა ტიმოთ. 6. იზ.

კით. ვითარი გულის-ხმის-ყოფა შესაძლო არს ვასხებად არსებისათვს და არსებითთა თჳსება-თათვს საღმრთოსა გამოცხადებისაგან?

მიგ. ღმერთი არს სული საუკუნო, ყოვლად-სახიერი, ყოვლისა მეცნიერი, ყოვლად-მართა-ლი, ყოვლისა-შემძლებელი, ყოველგან-მყოფი, უცვალებელი, ყოვლად ნეტარი.

კით. მიჩვენე მე ესე ყოველი საღმრთოსა წერილისაგან?

მიგ. თჳთ იესო ქრისტემან ჰსთქჳა, ვითა-რმედ ,,სული-არს ღმერთი,,. იოან. 4. კდ.

საუკუნოობისათვს ღჳთისა იტყვის დავით:

,,პირველ

,,პირველ მთათა დაბადებადმდე, და შექმნად ქვე-
,,ყანისა და სოფლისა და საუკუნიდგან და უკუნი-
სამდე შენ ხარ,,. ფსალ. 89. ბ.

გამოცხადებასა შინა იკითხვის შემდგომი დი-
დების მეტყუელება ღუთისა: ,,წმიდა არს, წმიდა
,,არს, წმიდა არს, უფალი ღმერთი ყოვლისა
,,მპყრობელი, რომელი იყო, რომელი არს და
,,რომელი მომავალ არს,,. გამოც. 4. ჱ.

მოციქული პავლე იტყჳს, რომელ სახარება
უწყებულ არს: ,,ბრძანებითა საუკუნოჲსა ღუ-
,,თისათა,,. რომ. 11. კე.

სახიერებისათჳს ღუთისა თჳთ იესო ქრისტე-
მან ჰსთქუა: ,,არავინ არს სახიერ, გარნა მხოლოდ
,,ღმერთი,,. მათ. 19. იზ.

მოციქული იოანე იტყჳს: ,,ღმერთი სი-
,,ყუარული არს,,. ა იოან. 4. ივ.

დავით ჰგალობს: ,,შემწყნარებელ და მოწყა-
,,ლე არს უფალი, სულგრძელ და დიდად მოწყა-
,,ლე: ტკბილ არს უფალი ყოველთა მიმართ,

,,და

,,და წყალობანი მისნი ყოველთა ზედა საქმეთა
,,მისთა,,. ფსალ. 144. ჲ, თ.

ყოვლისა მშვენიერებისათჳს ღმრთისა მოცი-
ქული იოანე იტყჳს: ,,უფროს არს ღმერთი
,,გულისა ჩუჱნისა და იცის ყოველი,,.
ა იოან. 3. კ.

მოციქული პავლე ღაღადებს: ,,ჵ სიღრმე
,,სიმდიდრისა და სიბრძნისა და მეცნიერებისა ღმრ-
,,თისა, ვითარ გამოუძიებელ არიან განკითხვანი
,,მისნი და გამოუკვლეველ-არიან გზანი მისნი,,.
რომ. 11. ლგ.

მართლმსაჯულებისათჳს ღმრთისა დავით ჰგა-
ლობს: ,,მართალ-არს უფალი და სიმართლენი
,,შეიყუარნა, და სიწრფოებანი იხილნა პირმან მის-
,,მან,,. ფსალ. 10. ზ.

მოციქული პავლე იტყჳს, ვითარმედ ,,მი-
,,აგებს ღმერთი კაცად კაცადსა საქმეთა მისთაებრ,
,,და რამეთუ არა არს თუალღება ღმრთისა თანა,,.
რომ. 2. ვ. ია.

ყოვლისა შემძლებელობისათჳს ღმრთისა
ფსალმუნთა

ფსალმუნთა მგალობელი იტყვის: ,,მან თქუა და ,,იქმნეს, თვალმან ამცნო და დაებადნეს,,. ფსალ. 32. თ.

მთავარანგელოზი იტყვის სახარებასა შინა: ,,არა შეუძლებელ არს წინაშე ღმრთისა ყოველი ,,სიტყუა,,. ლუკ. 1. ლზ.

ყოველგან მყოფობასა ღმრთისასა დავით გამოხატავს ესრეთ: ,,ვიდრემე ვიდე სულისა შენი-,,საგან, და პირისა შენისაგან ვიდრემე ვივლტო-,,დი; აღითუ ვხდე ცად, შენ მუნ ხარ: შთათუ ,,ვხდე ჯოჯოხეთად, ახლოსვე ხარ: აღთუ ვი-,,ჰყრნე ფრთენი ჩემნი განთიად და დავემკვიდრო-,,მე დასასრულსა ზღვისასა, და რამეთუ მუნცა ,,ხელი შენი მიძღოდეს მე, და მარჯვენემან შენ-,,მან შემიწყნაროს მე, და ვთქუ ბნელმან სამე ,,დამთრგუნოს მე, და ღამე განმანათლებელ იყოს ,,ფუფუნებისა ჩემისა: რამეთუ ბნელი შენ მიერ ,,არა დაბნელდეს და ღამე ვითარცა დღე განათლ-,,დეს: ვითარცა ბნელი მისი, ეგრეცა ნათელი მისი,,. ფსალ. 138. ზ ივ.

მოციქული იაკობ დაჰსწერს, ვითარმედ ,,მა-
,,მისაგან ნათლისა არა არს ცვალებაჲ, გინათუ
,,ქცევისა აჩრდილი,,. იაკ. 1. იზ.

მოციქული პავლე იტყჳს, ვითარმედ ღმერთი
,,არცა კაცობრივითა ხელითა მიერ იმსახურების,
,,ვითარმცა მოქენე ვისამე იყო; რამეთუ იგი
,,თავადი მოსცემს ყოველთა ცხორებასა და სუ-
,,ლსა ყოველით კერძო,,. საქმ. მოც. 17. კე.

იგივე სახელ ჰსდებს ღმერთსა ,,ნეტარად და
,,მხოლოდ ძლიერად, მეუფედ მეუფეთა და
,,უფლად უფლებათა,,. ა ტიმ. 6. იე.

კით. უკეთუ სული-არს ღმერთი: მაშა ვითარ
მიაწერს მას საღმრთოჲ წერილი სხეულებრივთა
წევრთა, მაგალითებრ: ,,გულსა, თუალთა, ყუ-
,,რთა, ჴელთა:

მიგ. საღმრთოჲ წერილი შეემსგავსების ამას
შინა ჩვეულებრივსა კაცობრივსა ენასა; ხოლო
გულისჴმის-ყოფა ამისი ჯერ არს სულიერითა
და უმაღლესითა სახითა. მაგალითებრ: გული
ღუთისა ნიშნავს ,,სახიერებასა,, ანუ საყუარულსა

ღჳთისასა: თჳალნი და ყურნი ნიშნენ „ყოვ-
„ლისა მეცნიერებასა„: ხოლო ჴელნი, „ყოვ-
„ლისა შემძლებელობასა„.

კით. უკეთუ ღმერთი ყოველგან არს, მაშა ვითარლა იტყვიან, ვითარმედ ღმერთი „ცათა შინა „არს„, ანუ „ტაძარსა შინა„?

მიგ. ღმერთი ყოველგან არს: არამედ ცათა შინა არს საკუთრებითი მყოფობა მისი, საუკუნოჲსა დიდებითა გამოცხადებული ნეტართა მიმართ სულთა; ხოლო ტაძართა შინა არს საკუთრებითი მყოფობა მისი სახიერებითი და საღუმლოობითი, კეთილკრძალულებით ცნობადი და გრძნობადი მორწმუნეთა მიერ, და გამოცხადებადი ოდესმე, საკუთართა ნიშთა მიერ.

იტყვის ქრისტე იესო: რამეთუ „სადაცა
„იყვნენ ორნი, გინა სამნი შეკრებულნი სახელისა
„ჩემისათჳს, მუნ ვარ მე შორის მათსა„.
მათ: 18. კ.

კით. ვითარ ვგულისხმოთ სიტყვანი სიმეოლისანი: „მრწამს ერთი ღმერთი„?

მიგ.

მიგ. ესე სათანადო არს გულხმებად საიდუმლოჲსა მიმართ წმიდისა სამებისა, მით რამეთუ ღმერთი არს ერთი არსებისამებრ; არამედ სამებიანი პირთა შინა: მამა, ძე და სული წმიდა: სამება, ერთ არსება და განუყოფელი.

კით. ვითარ ითქმის წმიდისა სამებისათჳს საღმრთოსა წერილსა შინა?

მიგ. უპირველესნი გამოთქმანი ამისთჳს ახლისა აღთქმისაგან არიან შემდგომნი ესე: ,,წა-
,,რვედით და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართ-
,,ნი, და ნათელ სცემდით მათ სახელითა მამისათა,
,,და ძისათა, და სულისა წმიდისათა,,.
მათ. 28. ით.

,,სამნი არიან, რომელნი სწამებენ ცათა შინა,
,,მამა, სიტყუა და სული წმიდა, ესე სამნი ერთნი
,,არიან,,. ა იოან: 5. ზ.

კით. თქმულ არსა წმიდისა სამებისათჳს ძველსაცა აღთქმასა შინა?

მიგ. თქმულ არს, მხოლოდ არა ესრედ ცხადად. მაგალ: ,,სიტყვითა უფლისაითა ცანი დაემტკიცნეს
,,და

,,და სულითა პირისა მისისათა ყოველი ძალი
,,მათი,,. ფსალ: 32. ვ.

,,წმიდა არს, წმიდა არს, წმიდა არს უფალი ,,საბაოთ, სავსე არს ყოველი ქუეყანა დიდებითა ,,მისითა,,. ისაია: 6. გ.

კით. ვითარ სამთა პირთა შინა არს ერთი ღმერთი?

მიგ. ვერ მივსწუდებით ჩვენ შინაგანსა ამას საიდუმლოსა ღჳთაებისასა; არამედ გვრწამს იგი უტყუელისა მოწმობისამებრ სიტყვისა ღჳთისა: ,,ღჳთისა არა ვინ იცის, გარნა სულმანვე ,,ღჳთისამან,,. ა კორ: 2. ია.

კით. ვითარი ,,განსხჳავება,, არს პირთა შორის წმიდისა სამებისათა?

მიგ. ღმერთი მამა არა იშჳების და არა გამოვალს სხვისაგან პირისა; ძე ღჳთისა პირველსაუკუნოობით იშჳების მამისაგან: სული წმიდა პირველსაუკუნოობით გამომავალ არს მამისაგან.

კით. სამნი გჳამნი ანუ პირნი წმიდისა სამებისანი არიანა თანასწორისა ღირსებისანი?

მიგ.

მიგ. სრულებით თანასწორისა საღმრთოჲსა ღირსებისანი. ვითარცა მამა არს ჭეშმარიტი ღმერთი, ეგრეთვე თანასწორ ძეცა არს ჭეშმარიტი ღმერთი, და სულიცა წმიდა არს ჭეშმარიტი ღმერთი; არამედ მასთანავე ესრეთ, რომელ სამთა გუამთა შინა არს ერთი მხოლოდ სამგუამოვანი ღმერთი.

კით. რაჲსათჳს ღმერთი იწოდების „ყოვე-„ლისა მპყრობელად?„

მიგ. ამისთჳს, რომელ იგი ყოვლითა, რაჲ-ვეცა არს იპყრობს თჳსსა ძალსა და თჳსსა ნებასა შინა.

კით. რასა გამოხატვენ სიტყუანი ესე სიმვოლოსანი: „შემოქმედი ცათა და ქუეყანისა ხილუ-„ლთა ყოველთა და არა ხილულთა„ ?

მიგ. ამას, ვითარმედ ყოველი შექმნული არს ღუთისა მიერ, და არა რაჲმე ყოფად შესაძლებელ არს თჳნიერ ღუთისა.

კით. არა საღმრთოჲსა წერილისაგან მოღებულ არიანა სიტყუანი ესე?

მიგ. ესრეთ. წიგნი შექმნათა დაიწყების

სიტყუათა

სიტყჳთა ამათ მიერ: ,,დასაბამად ჰქმნა ღმერთმან ,,ცაჲ და ქვეყანა.

მოციქული პავლე იტყჳს იესო ქრისტეს-თჳს მისა ღჳთისა: ,,რამეთუ მის მიერ დაებადა ,,ყოველივე ცათა შინა და ქვეყანასა ზედა, ხილუ-,,ლნი და არა ხილულნი, ანუთუ საყდარნი, ანუ-,,თუ უფლებანი, გინათუ მთავრობანი, გინათუ ,,ჴელმწიფებანი, ყოველივე მის მიერ და მისა ,,მიმართ დაებადა,,. კოლას: ა. ივ.

კით. რაჲ სათანადო არს გულისჴმის ყოფად სიმბოლოსა შინა სარწმუნოებისასა სახელითა ,,არა ხილულისათა?

მიგ. უხილავი, გინა სულიერი სოფელი, რომელსაცა ეკუთვნიან ,,ანგელოსნი,,.

კით. რაჲ არიან ,,ანგელოსნი?,,

მიგ. სულნი უსხეულონი. ნიჭებულნი გონებითა, ნებითა და შემძლებელობითა.

კით. რასა ნიშნავს სახელი ესე, ,,ანგელოსი?,,

მიგ. ნიშნავს: ,,მაუწყებელსა,,.

კით. რაჲსათჳს ესრეთ წოდებულ არიან იგინი?

მიგ.

მიგ. ამისთჳს, რომელ ღმერთი წარავლინებს მათ უწყებად ნებისა თჳსისა. ესრეთ მაგალითებრ: გაბრიილ მივლინებულ-იქმნა წინასაუწყებელად ყოვლად-წმიდისა ქალწულისა მარიამის მიმართ მუცლად ღებად მაცხოვრისა.

კით. რაჲ შექმნულ არს პირველად, ,,ხილული,, ანუ ,,უხილავი,, ?

მიგ. უხილავი უწინარეს ხილულისა, და ანგელოსნი უწინარეს კაცთასა. მართლმად. აღსარებ. ნაწილი 1. კით. იზ.

კით. შესაძლო არსა ამისთჳს მოწმობისა პოვნა საღმრთოსა წერილსა შინა ?

მიგ. წიგნსა შინა იობისასა თჳთ ღმერთი შექმნისათჳს ქჳეყანისა იტყჳს ესრედ: ,,ვინ
,,არს, რომელმან და დუა თავსაკიდური მას ზედა:
,,ოდეს შექმნულ-იქმნეს, ვარსკჳლავნი, მაქებ-
,,დეს მე ხმითა დიდითა ყოველნი ანგელოსნი
,,ჩემნი,,. იობ: 38. კ, ზ.

კით. სადითგან მოღებულ-არს სახელწოდება, მცჳელთა ანგელოსთა ?

მიგ.

მიგ. შემდგომითა ამათ სიტყვათაგან საღმრ-თოსა წერილისათა: ,,ანგელოსთა თჳსთა და უბრ-,,ძანებს შენთჳს დაცვად შენდა ყოველთა შინა ,,გზათა შენთა,,. ფსალ. 90. ია.

კით. თჳთოეულისა ჩვენგანისათჳს არიანა მცველნი ანგელოსნი?

მიგ. უეჭველად. ამას ზედა შესაძლო არს დარწმუნებად შემდგომითა სიტყვათა მიერ იესო ქრისტესთა: ,,ეკრძალენით ნუ უკუე ვინმე შე-,,ურაცხ-ჰყოთ ერთი მცირეთა ამათგანი, გეტყვი ,,თქვენ, რამეთუ ანგელოსნი მათნი ცათა შინა ,,მარადის ჰხედვენ პირსა მამისა ჩემისასა,,. მათ: 18. ი.

კით. ყოველნი ანგელოსნი არიანა კეთილნი და კეთილის მოქმედნი?

მიგ. არა. არიან ,,ბოროტნიცა ანგელოსნი,,, რომელთაცა სხვებრ უწოდებენ ეშმაკად.

კით. რაჲსათჳს არიან იგინი ბოროტნი?

მიგ. იგინი შექმნულ არიან კეთილად, არამედ დაარღვიეს თანაწადება სრულისა მორჩილებისა

ღმრთისა

ღჳთისა, და ეგევითარითა სახითა უკუსდგნენ მის-
გან და შთასცვივდნენ თავის მოყვარებასა შინა, და
ამპარტავანებასა და ბოროტებასა შინა.

წარმოთქმისაებრ მოციქულისა იუდასა, იგი-
,,ნი არიან: ანგელოზნი, რომელთა არა დაიმარხეს
,,თავისი იგი სამთავრო, არამედ დაუტევეს სამკ-
,,ვიდრებელი მათი. იუდ. 6.

კით. რაჲ არს ლექსი ესე ,,ეშმაკი?

მიგ. იგი ნიშნავს ,,ცილის-მწამებელსა,, ანუ
,,მაცთურსა.

კით. რაჲსათჳს ბოროტნი ანგელოზნი იწო-
დებიან ეშმაკად, ესე იგი, ცილისმწამებელად ანუ
მაცთურად?

მიგ. ამისთჳს, რომელ ცდილობენ ზაკვად
კაცთა ზედა, და აცთუნებენრა, შთააგონებენ მათ
ტყუილთა ჰზრთა და ბოროტთა გულის თქმათა.

ამას ზედა იესო ქრისტე იტყვის ურწმუნო-
თა ურიათა მიმართ: ,,თქჳენ მამისა ეშმაკისანი
,,ხართ, და გულისთქმათა მამისა თქჳენისათა
,,გნებავს ყოფად, რამეთუ იგი კაცის მკვლელი

„იყო დასაბამითგან, და ჭეშმარიტებასა არა და-
„უდგრა, რამეთუ ჭეშმარიტება არა არს მისთანა,
„ოდეს იტყჳნ ტყუილსა თჳსისაგან გულისა
„იტყჳნ, რამეთუ მტყუარ არს, და რამეთუ მა-
„მაცა მისი მტყუარი არს. იოან. 8. მდ.

ვით. რაჲ გამოგუეცხადა ჩუენ საღმრთომან წერილმან შექმნისათჳს სოფლისა?

მიგ. დასაბამად შექმნა ღმერთმან არა რაჲსაგან ცა და ქუეყანა. ქუეყანა იყო გამოუსახველ და ცალიერ, მერმედა შემდგომითი შემდგომად შექმნა ღმერთმან იგი.

პირველსა დღესა შინა სოფლისასა, ნათელი.

მეორესა დღესა შინა, სამყარო, ანუ ხილული ცაჲ:

მესამესა შინა, დასატევნელი წყალთა ქუეყანისა ზედა, ხმელი და მწუანვილი.

მეოთხესა შინა, მზე, მთოვარე და ვარსკულავნი.

მეხუთესა შინა, თევზნი და მფრინველნი.

მეექუსესა შინა, ცხოველნი ოთხფერხნი,

მცხოვრებნი

მცხოვრებნი ხმელსა ზედა, და უკანასკნელ კაცი. შემდგომად კაცისა შესრულდა ქმნულებაჲ, და მეშვიდესა დღესა შინა განისვენა ღმერთმან ყოველთაგან საქმეთა თჳსთა. ამის გამო მეშვიდე დღე წოდებულ არს „შაბათად,“ რომელიცა ებრაულითა ენითა ნიშნავს „განსვენებასა. იხილე. შექმ. 2. ბ.

კით. ესევითარად შექმნულ არიანა ხილულნი ქმნულებანი, ვითარცა აწ ვხედავთ ჩუჱნ მათ?

მიგ. არა. ჟამსა შექმნისასა ყოველივე იყო ფრიად კეთილ; ესე იგი, წმიდა, მშვენიერ და უვნებელ.

კით. არა უწყებულ არსა განსხუავებული რაჲმე შექმნისათჳს კაცისა?

მიგ. ღმერთმან წმიდასა სამობასა შინა ჰს-თქუა: „ვქმნეთ კაცი ხატებისამებრ ჩუჱნისა და მსგავსებისა.“ შექმ. 1. კვ. და შექმნა ღმერთმან ხორცი პირუტყულისა კაცისა ადამისა მიწისაგან; შთაბერა პირსა მისსა სამშვინველი ცხოვრებისა; შეიყვანა ადამ სამოთხესა შინა, მისცა

მას

მას საჭმელად, გარდა სხჳათა სამოთხისა ნაყო-ფთასა, ნაყოფნი ხისა ცხოვრებისანი: უკანასკნელო აღმოუღო ადამს, ჟამსა მძინარებისასა, გჳერდი, და მის მიერ შექმნა პირველი დედაკაცი ევა. იხილ. შექმ. 2. კბ.

ვით. რაჲსა შინა მდგომარებს „ხატება „ღჳთისა?

მიგ. იგი მდგომარებს, განმარტებისა მებრ პავლე მოციქულისა, „სიმართლესა და სიწმინ-„დესა შინა ჭეშმარიტებისასა. ეფეს. 4. კბ.

ვით. „რაჲ არს სამშვინველი ცხოვრებისა?

მიგ. სული. არსება სულიერი და უკჳდავი.

ვით. რაჲ არს „სამოთხე?

მიგ. ლექსი ესე სამოთხე ნიშნავს: „წალ-„კოტსა„. ესრეთ წოდებული არს მშვენიერი და სანატრელი სადგური პირველისა კაცისა, აღწე-რილი წიგნსა შინა შექმნისასა, მსგავსად წალ-კოტისა.

ვით. სამოთხე, რომელსა შინა იმყოფებოდნენ პირველნი კაცნი, ნივთიერი იყო ანუ სულიერი?

მიგ. ხორციისათჳს ნივთიერი, ვითარცა ხილული სანატრელი სადგური ; ხოლო სულისათჳს სულიერი, ვითარცა რა მადლითი მდგომარეობა ღმრთისა თანა შეერთებისა და სულიერისა ქმნილებათა გ ცისა. იხილე. გრიგ. ღმრთის. სიტ. 38. 42. იოან. დამასკ, ღმრთის. წიგ. 2. თავ. იბ. მუხ. გ.

კით. რაჲ არს „ხე ცხოვრებისა ?

მიგ. ეგევითარი ხე, რომლისა ნაყოფთაგან, იზრდებოდეს რა კაცი, ხორციითაცა იქმნებოდეს უხრწნელო და უკუდავი.

კით. რაჲსათჳს შექმნილ იქმნა ევა გვერდისაგან ადამისა ?

მიგ. ამისთჳს, რათამცა ყოველი კაცთა ნათესავი თჳსისამებრ შთამომავლობისა იყოს ერთხორც და რათამცა მით კაცნი ბუნებითად მიდრეკილ იყვნენ სიყუარულად და ჴსცვიდენ ურთიერთარს.

კით. ვითარითა დანიშვნითა შექმნა ღმერთმან კაცი ?

მიგ. მით, რათამცა იცნას მან ღმერთი,

უყურებს და ადიდებს მას, და მის მიერ სა-
უკუნოდ ნეტარებს.

კით. მნებებელობასა ღმრთისასა დანიშვნისა-
თვს კაცისა საუკუნოებისადმი ნეტარებისა არა აქუსა
ჴსწავლასა შინა სარწმუნოებისასა საკუთარი სა-
ხელწოდება?

მიგ. იგი იწოდების წინასწარ-განჩინებად
ღმრთისად.

კით. წინასწარ-განჩინებაჲ ღმრთისა ნეტა-
რებისათვს კაცისა ჴგიეს შეუცვალებელად, ოდე-
სცა აწ ვხედავთ ჩუენ, რომელ არა არს კაცი ნე-
ტარებასა შინა?

მიგ. ჴგიეს შეუცვალებელად. ამისთვს,
რომელ ღმერთმან, წინასწარცნობითა და დაუსრუ-
ლებელითა მოწყალებითა თვსითა, და ნეტარების
გზისაგან განდრეკილისა კაცისათვს წინასწარ-განა-
ჩინა განხსნა ახლისა გზისა ნეტარებისადმი, მხო-
ლოდ შობილისა ძისა თვსისა იესო ქრისტეს მიერ.

,,გამოგვირჩინა ჩუენ მის მიერ უწინარეს
,,სოფლის დაბადებისა. ეფესელთ. 1. დ.

კით.

კით. ვითარ ჯერ არს გულის ხმისყოფად წინასწარგანჩინებისა ღჳთისა ზოგად კაცთადმი და თჳთოეულისა ცალკე?

მიგ. ღმერთმან წინასწარ განაჩინა ყოველთა კაცთადმი მონიჭებად, და ნამდვილცა მოანიჭა წინა მავალი მადლი და სარწმუნონი ღონისძიებანი მიწევნად ნეტარებისადმი; ხოლო იგინი; რომელნიცა მისმიერ მინიჭებულსა მადლსა ნებსით მიიღებენ, იხმარებენ მათდა მინიჭებულთა საცხოვრებელთა ღონის ძიებათა, და ვლენან მისგან ჩვენებულთა გზათა ნეტარებისათა, საკუთრად წინასწარგანაჩინნა ნეტარებისა მიმართ.

კით. ვითარ იტყვის ამისთჳს სიტყჳა ღჳთისა?

მიგ. რამეთუ, „რომელნი იგი წინასწარიცნნა, წინასწარცა განაჩინნა. რომ. ჱ. კთ.

კით. ვითარ განმარტებს ამას მართლმადიდებელი ეკკლესია?

მიგ. სარწმუნოებისა გარდამოცემასა შინა მართლმადიდებელთა პატრიარხთასა თქმულ არს: ვინაჲთგან წინასწარ ჰხედვიდა იგი, რომელ ერთნი

კეთილად

კეთილად ისარგებლებენ თვისითა თავისუფლებითა-თა ნებითა; ხოლო მეორენი ცუდად, ამისთვს ერთნი იგი წინასწარ განაჩინა სადიდებელად, ხოლო მეორენი დასაჯნა.

კით. შემდგომად შექმნისა სოფლისა და კაცისა, ვითარი შეუდგების უსაშუალოდ მოქმედება ღვთისა კერძოდ სოფლისად და განსაკუთრებით კაცისად?

მიგ. განგებულება ღვთისა.

კით. რაჲ არს განგებულება ღვთისა?

მიგ. განგებულება ღვთისა არს დაუცხრომელი მოქმედება ყოვლისა შემძლებელობისა, სიბრძნისა და სახიერებისა ღვთისა, რომლითაცა ჰსცავს ღმერთი ყოფასა და ძალსა ქმნილებათასა, მიაქცევს მათ კეთილთა საქმეთა მიმართ, ყოველსა კეთილსა შეეწევის, ხოლო კეთილთაგან განშორებისა მიერ აღმონაცენსა ბოროტსა მოჰკვეთს, ანუ განმართავს და მიაქცევს კეთილთა დასრულებათა მიმართ.

კით. ვითარ იტყვის განგებულებისათჳს ღმრთისა საღმრთო წერილი ?

მიგ. თჳთ იესო ქრისტე იტყჳს: ,,მიხე-
,,დეთ მფრინველთა ცისათა, რამეთუ არა სთესვენ,
,,არცა მკიან, არცა შეიკრებენ საუნჯეთა, და
,,მამა თქვენი ზეცათა ზრდის მათ ; არამე უფროს
,,თქვენ უმჯობეს ხართა მფრინველთა ! მატთ.
6. კვ. ამას გამოთქმასა შინა სჩანს ვითარ იგი საზოგადო განგებულება ღმრთისა ქმნულთათჳს, ეგრეთ საკუთარიცა კაცისათჳს.

მრთელი ფსალმუნი 90 არს გამოხატვაჲ საკუთარისა და მრავალსახისა განგებულებისა ღმრთისა კაცისათჳს ?

## მეორისა წევრისათჳს.

კით. ვითარ ვაგულისხმოთ სახელნი ესე: ,,იესო ქრისტე, ძე ღმრთისა ?

მიგ. ,,ძედ ღმრთისად,, იწოდების მეორე პირი წმიდისა სამებისა, თჳსისა მებრ ღმრთაებისა. თჳთ ესევე ძე ღმრთისა, წოდებულ არს

,,იესოდ,,, ოდესცა იშჳა ქვეყანასა ზედა, ვითა-რცა კაცი. ,,ქრისტედ,, უწოდეს მას წინასწარ-მეტყჳელთა, ოდესცა ჯერეთ მოელოდნენ მას ქვეყანასა ზედა.

კით. რასა ნიშნავს სახელი ესე: ,,იესო?

მიგ. ,,მაცხოვარსა.

კით. ვის მიერ წოდებულ არს სახელი ესე: იესო?

მიგ. ანგელოსისა გაბრიელის მიერ.

კით. რასათჳს ეწოდა სახელი ესე ძესა ღჳთისასა ჟამსა შობისა მისისასა ქვეყანასა ზედა?

მიგ. ამისთჳს, რომელ იშჳა იგი ცხოვნე-ბად კაცთა.

კით. რასა ნიშნავს სახელი ესე: ,,ქრისტე?

მიგ. ,,ცხებულსა.

კით. რაჲსაგან წარმოსდგა სახელი ცხე-ბულისა?

მიგ. ცხებისაგან სამღრთოჲსა მირონისა, რომლისა მიერ მიეცხმიან ნიჭნი სულისა წმინ-დისანი,

კით. მხოლოდ იესო ქრისტე ძე ღმრთისა იწოდებისა ცხებულად?

მიგ. არა. ძველად უწოდდნენ ცხებულად მეფეთა, მღვდელთმთავართა და წინასწარმეტყველთა.

კით. რაჲსათჳს უფალი იესო ძე ღმრთისა იწოდების ცხებულად?

მიგ. ამისთჳს, რომელ კაცობრიობასა მისსა უზომოდ მისცემიეს ყოველნი ნიჭნი სულისა წმიდისანი, და ესრეთითა სახითა უზენაესის ხარისხით ეკუთვნის მას ცნობა წინასწარმეტყველისა, სიწმიდე მღვდელმთავრისა, და შემძლებელობა მეფისა.

კით. ვითარითა გონებითა იწოდების ,,უფ ,,ლად,, იესო ქრისტე?

მიგ. გონებითა მით, რომელ იგი არს ,,ჭე- ,,შმარიტი ღმერთი.,, რამეთუ, სახელი ესე, უფალი, არს ერთი სახელთაგანი ღმრთისა.

კით. ვითარ იტყვის საღმრთო წერილი ღმრთეებისათჳს იესო ქრისტესა ძისა ღმრთისა?

მიგ. ,,პირველითგან იყო სიტყუა, და სიტყუა

იგი

,,იგი იყო ღმრთისა თანა, და ღმერთი იყო სიტყუა
,,იგი. იოან. 1. ა.

კით. რაჲსათჳს იწოდების იესო ქრისტე ძედ ღმრთისად ,,მხოლოდ შობილად?

მიგ. ამით დაინიშნების ესე, ვითარმედ იგი ერთი ოდენ არს ძე ღმრთისა შობილი არსებისა-გან ღმრთისა მამისა, და ამისთჳს არს ერთისა არსე-ბისა ღმრთისა მამისა თანა, და მაშასადამე თჳნიერ ყოვლისა შესწორებისა აღემატების ყოველთა წმიდათა ანგელოსთა, და წმიდათა კაცთა, რომე-ლნიცა იწოდებიან ძეებად ღმრთისად ,,მადლით. იხ. იოან. 1. იბ.

ვით. საღმრთო წერილი უწოდებსა იესო ქრისტესა მხოლოდ შობილად?

მიგ. უწოდებს. მაგალითებრ: შემდგომითა გამოთქმათა შინა მახარებელის იოანესითა: ,,სი-
,,ტყუა იგი ხორციელ იქმნა, და დაემკჳდრა ჩვენ
,,შორის, და ვიხილეთ დიდება მისი, დიდება ვი-
,,თარცა მხოლოდ შობილისა მამისა მიერ, სავსე
,,მადლითა და ჭეშმარიტებითა. იოან: 1. იდ.

,,ღმერთი

,,ღმერთი არა ვინ სადა იხილა, მხოლოდ ,,შობილმან ძემან, რომელი იყო წიაღთა მამი- ,,სათა, მან გამოსთქუა. იჱ.

კით. რაჲსათჳს სიმბოლოსა შინა სარწმუ-ნოებისასა თქმულ არს კუალად ძისათჳს ღუთისა, ვითარმედ შობილ არს იგი მამისაგან?

მიგ. ამით გამოიხატვის პირებითი იგი თჳსე-ბაჲ, რომლითაცა განირჩევის იგი სხუათა პირ-თაგან წმიდისა სამებისათა.

კით. რაჲსათჳს თქმულ არს, ვითარმედ შო-ბილ არს იგი ,,უწინარეს ყოველთა საუკუნეთა?

მიგ. რათამცა არა ვინ ჰგონა, ვითარმედ იყო ჟამი, ოდესცა არა იყო იგი ვსთქუათ ვიდრემე სხუა გუარად: ამით გამოიხატვის იგი, ვითარმედ იესო ქრისტე არს ეგრეთვე საუკუნო ძე ღუთისა, ვითარ იგი საუკუნო არს ღმერთი მამა.

კით. რასა ნიშნავენ სიმბოლოსა შინა სარ-წმუნოებისასა ლექსნი ესე: ,,ნათელი ნათლისაგან?

მიგ. იგინი მსგავსებითა ხილულისა ნათლი-სათა რავდენმე განმარტებენ მიუწთომელსა შობასა

ძისა

მისა ღჳთისასა მამისაგან. მივხედავთ რა მზესა, ვიხილავთ ჩვენ ნათელსა: ამის ნათლისაგან იშვე-ბის ნათელი, ხილული ყოველსა შინა მზის ქჳყ-შესა: არამედ იგიცა და მეორეცა არს ერთი ნათე-ლი, განუყოფელი, ერთისა ბუნებისა. მსგავსად ამისა ღმერთი მამა არს საუკუნო ,,ნათელი,, (იხილ. ა იოან. 1. ე) მისგან იშჳების ძე ღჳთისა, რომელიცა ევრეთვე არს საუკუნო ნათელი; არა-მედ ღმერთი მამა, და ძე ღჳთისა არს მხოლოდ საუკუნო ნათელი, განუყოფელი, ერთისა საღ-მრთოსა ბუნებისა.

ვით. რა ძალი არს სიტყჳათა ამათ შინა სი-მვოლოსა სარწმუნოებისათა: ,,ღმერთი ჭეშმა-,,რიტი ღჳთისაგან ჭეშმარიტისა?

მიგ. ესე, რომელ ძე ღჳთისა იწოდების ღჳთად მითვე ჭეშმარიტითა ჴხრითა, ვითარცა ღმერთი მამა.

ვით. არა საღმრთოჲსა წერილისაგან არიანა სიტყჳანი ესე?

მიგ. ევრეთ. იგინი მოღებულ არიან შემდგომისა

გამო-

გამოთქმისაგან იოანე ღ̃თის მეტყველისა: ,,ვი-
,,ცით რამეთუ ძე ღ̃თისა მოვიდა და მომცა ჩვენ
,,გონება, რათა ვიცოდეთ ჩვენ ჭეშმარიტი ღმერთი,
,,და ვართ ჩვენ ჭეშმარიტისა თანა ძისა მისისა
,,იესო ქრისტესა, ესე არს ჭეშმარიტი ღმერთი
,,და ცხოვრება საუკუნო. ა იოან. 5. კ.

კით. რისათჳს კ̃ალად სიმბოლოსა შინა სარწმუნოებისასა შემინებულ-არს ძისათჳს ღ̃თისა ვითარმედ ,,შობილ-არს იგი და არა ქმნილ?

მიგ. ესე შემინებულარს სამხილებელად არიოზისა, რომელიცა უმატიოდ ასწავებდა, ვითარმედ ძე ღ̃თისა შექმნულ-არსო.

კით. რასა ნიშნენ სიტყ̃ანი ესე: თანაარსი მამისა?

მიგ. ვსთქ̃ათ სხ̃ა გ̃არად: ძე ღ̃თისა არს ერთისა და მისვე საღმრთოსა ბუნებისა ღ̃თისა მამისა თანა.

კით. ვითარ იტყჳს ამას ზედა საღმრთო-წერილი?

მიგ. თჳთ იესო ქრისტე თავისა თჳსისათჳს

და

და ღმრთისა მამისათჳს იტყჳს ესრეთ: ,,მე და ,,მამა ჩემი ერთ ვართ. იოანე: 10. ლ.

კით. რასა გჳჩვენებენ სიტყუანი ესე სიმვოლოსა სარწმუნოებისანი: ,,რომლისაგან ყო-,,ველი შეიქმნა?

მიგ. ამას, რომელ ღმერთმან მამამან ყოველივე შექმნა მის მიერ თჳსისა, ვითარცა საუკუნოჲსა სიბრძნისა, და საუკუნოჲსა სიტყჳსა მიერ თჳსისა.

,,ყოველივე მის მიერ შეიქმნა, და თჳნიერ ,,მისსა არცა ერთი რა იქმნა, რაოდენი რა იქმნა. იოან: 1. გ.

## მესამისა წევრისათჳს.

კით. ვისთჳს თქმულ-არს სიმვოლოსა შინა სარწმუნოებისასა, ვითარმედ ,,გარდამოხდა ზეცით?

მიგ. ძისათჳს ღმრთისა.

კით. ვითარ გარდამოხდა ზეცით, ოდესცა იგი, ვითარცა ღმერთი ყოველგან მყოფ-არს?

მიგ. მართალ არს, ვითარმედ ყოველგან

მყოფ

მეუფე-არს იგი, და ამისთჳს მარადის ცათა შინა არს იგი და მარადის ქუეყანასა ზედა: არამედ ქვე-ყანასა ზედა პირველად უხილავად იყო იგი, და შემდგომ გამოსჩნდა ჴორციითა: ამით ჰზრიას თქ-მულარს, ვითარმედ გარდამოხდა ზეცით.

ვით. ვითარ იქცევის ამას ზედა საღმრთო-წერილი?

მიგ. აჰა სიტყუანი თჳთ იესო ქრისტესნი: ,,არა ვინ აღჴდა ზეცად, გარნა რომელი იგი გა-,,რდამოხდა ზეცით, ძე კაცისა, რომელი არს ,,ზეცათა შინა. იოან. 3. იგ.

ვით. რაჲსათჳს გარდამოხდა ზეცით ძე ღჳთისა?

მიგ. ,,ჩუენ კაცთათჳს, და ჩვენისა ცხოვრე-,,ბისათჳს,,, ვითარ იგი თქმულ-არს სიმბოლოსა შინა სარწმუნოებისასა.

ვით. ვითარითა ძალითა თქმულარს, ვითარ-მედ ძე ღჳთისა გარდამოხდა ზეცით ,,ჩვენ კაც-,,თათჳს?

მიგ. ესე თქმულ-არს ძალითა მით, რომელ მოვიდა იგი ქვეყანასა ზედა, არათუ მხოლოდ



ერთისა

ერთისა რომლისათჳსმე ერისა, და არა რომელთა-
თჳსმე კაცთა, არამედ ზოგად ყოველთა ჩუენ კა-
ცთათჳს.

კით. რაჲსაგან ცხოვნებად კაცთა მოვიდა ქუე-
ყანასა ზედა ძე ღმრთისა?

მიგ. ცოდვისა, წყევისა და სიკუდილისაგან.

კით. რაჲმე არს ცოდვაჲ?

მიგ. გარდახდომაჲ სჯულისა. „ცოდვაჲ
„არს უსჯულოება. ა იოან. ვ. დ.

კით. სადეთგან არს კაცთა შორის ცოდვაჲ,
ოდესცა შექმნულარიან იგინი ხატებისამებრ
ღმრთისა, ხოლო ღმერთი არა შემძლებელ არს
ცოდვად?

მიგ. ეშმაკისაგან.

„რომელმან ჰქმნეს ცოდვა, იგი ეშმაკისაგან
„არს: რამეთუ დასაბამითგან ეშმაკი ჰსცოდავს.
ა იოან: ვ. ზ.

კით. ვითარ გარდავიდა ცოდვა ეშმაკისაგან
კაცთა ზედა?

მიგ. ეშმაკმან აცთუნნა ადამ და ევა და მისდრიკნა

ივინი გარდახდომად მცნებასა ღჳთისასა .

კით. ვითარსა მცნებასა ?

მიგ. ღმერთმან ამცნო ადამს სამოთხესა შინა, რათამცა არა ჰსჭამა მან ნაყოფთაგან ხისა ცნობადისა კეთილისა და ბოროტისათა, და ამასთანავე ჰრქჳა მას, ვითარმედ ვითაროდენ ჰსჭამს იგი მათ, სიკჳდილითა მოჰკჳდების.

კით. რასათჳს სასიკჳდინე იყო კაცისათჳს ჭამა ნაყოფისაგან ცნობადისა კეთილისა და ბოროტისა ?

მიგ. ამისთჳს, რომელ შეერთებულ-იყო-ურჩებასათანა ნებისა ღჳთისასა, და ესრეთითა სახითა განაშორებდა კაცსა ღჳთისაგან და სახიერებისა მისისაგან და უცხოჰყოფდა ცხოვრებისაგან ღჳთისა.

კით. ვითარ სახედ ეშესაბამების წოდებაჲ ხისა ცნობადისა კეთილისა და ბოროტისა თჳსსა საგანსა ?

მიგ. ეშესაბამების ამისთჳს, რომელ კაცმან ამის ხისა მიერ ჰსცნა თჳთ გამოცდილებითა, თუ

ვითარი

ვითარი კეთილი იპყრობის მორჩილებასა შინა ნებისა ღჳთისასა, და ვითარი ბოროტი წინააღმდეგობასა შინა მისსა.

კით. ვითარ შეუძლეს ადამ და ევამ სმენად ეშმაკისა წინააღმდეგ ნებისა ღჳთისა?

მიგ. ღმერთმან საზღვრებისაებრ თჳსისა, ყამსა კაცის შექმნისასა, მისცა მას ნება, ბუნებით მიდრეკილი ღჳთისმოყუარებად, და მასთანავე თავის უფალი, ხოლო კაცმა ბოროტად მოიხმარა თავისუფლება ესე.

კით. ვითარ აცთუნა ეშმაკმან ადამ და ევა?

მიგ. ევამ იხილა სამოთხესა შინა გუელი, რომელმანცა არწმუნა მას, ვითარმედ უკეთუ ჰსჭამენ კაცნი ნაყოფთა ხისა ცნობადისა კეთილისა და ბოროტისასა, მაშინ ცნობად შემძლებელ იქმნებიან კეთილისა და ბოროტისა, და იქმნებიან ვითარცა ღმერთნი. ევა სცდა აღთქმითა ამით და ნაყოფთა მშუენიერებითა და ჰსჭამა. ადამმან ჰსჭამა მსგავსადვე მისსა.

კით. რაჲმე იქმნა ცოდვისაგან ადამისა?

მიგ. წყევა და სიკუდილი.

კით. რაჲ არს წყევა?

მიგ. დასჯაჲ ცოდვისა მართლითა სასჯელითა ღმრთისათა, და ცოდვისაგან წარმოებული ბოროტი ქუეყანასა ზედა მატიყუად კაცათა.

ღმერთმან ჰრქუა ადამს: „წყეულ იყავნ ქუე-„ყანა საქმეთა შინა შენთა. შექმ: 3, იზ.

კით. ვითარი სიკუდილი იქმნა ცოდვისაგან ადამისა?

მიგ. ორგუარი. ხორციელი, რაჟამს ჴორცი მოაკლდების სულსა, რომელიცა განაცხოველებდა მას. და სულიერი, რაჟამს სული მოაკლდების სახიერებასა ღმრთისასა, რომელიცა განაცხოველებდა მას უმაღლესითა სულიერითა ცხოვრებითა.

კით. ნუთუ სულიცა შეიძლების მოკუდეს, ვითარცა ჴორცი?

მიგ. შეიძლების მოკუდეს, არამედ არა ეგრეთ, ვითარცა ჴორცი. ხორცი რაჟამს მოკუდების, დაჰკარგავს გრძნობასა და დაირღუევის: ხოლო სული, რაჟამს მოჰკუდების ცოდვითა, მოაკლდების

მოჰკლდების სულიერსა ნათელსა, სიხარულსა და ნეტარებასა. არამედ არა დაირღვევის, და არა განქარდების, ხოლო დაშთების მდგომარეობასა შინა ბნელისა, მწუხარებისა და ვნებისასა.

კით. რაჲსათჳს არა მხოლოდ პირველნი კაცნი მოკუდენ, არამედ ყოველნი მოჰკუდებიან?

მიგ. ამისთჳს რომელ ყოველნი იშჳნენ ადამისგან ცოდვით შემწიკლულებულისა, და თჳთცა ჰსცოდჳენ. ვითარცა შემდუღრებულისა წყაროსაგან ბუნებითად მომდინარებს შემდუღრებული ნაკადული: ეგრეთვე ნათესავი დასაბამისაგან ცოდვით შემწიკჳლებულისა და ამად სასიკუდინოჲსა, ბუნებითად ჰსწარმოებს ცოდვით შემწიკულებული და ამად მომაკუდავი შთამომავლობაჲ.

კით. ვითარ იტყჳს ამისთჳს საღმრთო წერილი?

მიგ. „ერთისა მის კაცისათჳს ცოდუა სოფ„ლად შემოხდა, და ცოდჳსა ძლით სიკუდილი, „და ესრეთ ყოველთა კაცთა ზედა სიკუდილი მო„იწია, რომლითა ყოველთა შესცოდეს. რომ: 5, იბ.

კით. ნაყოფნი ხისა ცხოვრებისანი სარგებელ-ეყჳნენა კაცისა შემდგომად ცოდჳისა?

მიგ. შემდგომად ცოდჳისა ვერ უძლო მან ჭამად მათდა: რამეთუ განხდილ იქმნა სამოთხისა მიერ.

კით. და შთამეა მაშინ კაცთა ვითარიმე სასოება ცხოვრებისა?

მიგ. ოდესცა აღიარეს პირველთა კაცთა წინაშე ღჳთისა ცოდჳანი თჳსნი; მაშინ ღმერთმან, მოწყალებისამებრ თჳსისა, მისცა მათ სასოება ცხოვრებისა.

კით. რასა შინა მდგომარებდა სასოება ესე?

მიგ. ღმერთმან აღუთქჳა, ვითარმედ „თესლი დედაკაცისა დასთრგუნავს თავსა გჳელისასა. შექმ: 3. იე.

კით. რასა ნიშნავს ესე?

მიგ. ამას, რომელ იესო ქრისტე სძლევს ეშმაკსა, შემაცთუნებელსა კაცთასა, და იხსნის მათ ცოდვისა, წყევისა და სიკუდილისაგან.

კით.

კით. რაჲსათჳს წოდებულარს იესო ქრისტე თესლად დედაკაცისად?

მიგ. ამისთჳს, რომელ იშვა იგი ქუეყანასა ზედა უმამაკაცოდ ყოვლად-წმიდისა ქალწულისა მარიამისგან.

კით. რაჲმე იყო სარგებელი აღთქმისა ამისგან?

მიგ. ესე, რომელ კაცთა დროჲთგან აღთქმისა ამის უმლის საცხოვრებელად რწმუნება მომავალისა მაცხოვრისა ეგსაზედ ვითარცა ჩუენ გვრწამს მოსრული.

კით. ნამდვილ ჰსწამდათა კაცთა ძველთა დროთასა მომავალი მაცხოვარი?

მიგ. არა მრავალთა, და უმრავლესმან ნაწილმან ერისამან დაივიწყეს ღუთისა მიერი აღთქმაჲ მაცხოვრისა.

კით. არა განუმეორებდა ღმერთი აღთქმასა ამას?

მიგ. არა ერთგზის. მაგალითებრ: აბრაამს მისცა მან აღთქმაჲ მაცხოვრისათჳს შემდგომითა

სიტყუათა

სიტყჳათა შინა: „იკურთხეოდიან თესლისა მიმართ „შენისა ყოველნი ნათესავნი ქუეყანისანი. შექ: 27, იტ.

იგივე აღთქმაჲ განუმეორა მან შემდგომად დავითს სიტყჳათა ამათ შინა: „და აღვადგინო „თესლი შენი შემდგომად შენსა, და განვმართო „საყდარი მისი უკუნისამდე. ბ მეფეთა: 7. იბ, იგ.

კით. რაჲმე იგულისხმების ლექსითა ამით: განხორციელება?

მიგ. ესე, რომელ ძემან ღმრთისამან მიიღო თჳს ზედა ჴორცი კაცობრივი, თჳნიერ ცოდვისა და კაცი იქმნა ღმერთ-ყოფად არა დამცხრალი.

კით. სადეთგან მოღებულ-არს ლექსი ესე: განხორციელება?

მიგ. სიტყჳათაგან იოანე მახარებელისათა: „სიტყუა ხორციელ იქმნა. იოან: 1. იდ.

კით. რაჲსათჳს სიმბოლოსა შინა სარწმუნოებისასა შემდგომად მისა, ვითარ იგი თქმულ-არს მისა ღმრთისათჳს, ვითარმედ განხორციელდა

იგი, კჳალად შემინებულ არს, ვითარმედ გან-
კაცნა იგი?

მიგ. ამისთჳს, რათამცა არავინ ჰგონა, ვი-
თარმედ მემან ღჳთისამან მიიხჳნა მხოლოდ ხო-
რცნი, ანუ სხეული, არამედ რათამცა აღიარებ-
დენ მას, ვითარცა სრულსა კაცსა, შემდგარსა
ხორცისა და სულისაგან.

ვით. არსა ამას ზედა მოწმობა საღმრთოსა
წერილისა?

მიგ. მოციქული პავლე ჰსწერს: „ერთ არს
„შუამდგომელი ღჳთისა და კაცთა, კაცი იესო
„ქრისტე. ა ტიმ: 2. ე.

ვით. და ესრეთ ერთი არსა ბუნებაჲ იესო
ქრისტეს შორის?

მიგ. არა. მის შორის არიან განუყოფელად
და შეურევნელად ორნი ბუნებანი: ღჳთაებრივი
და კაცობრივი, და ბუნებათა ამათ მლიოთ, ორნი
ნებანი.

ვით. ამისთჳს არა ორნი არიანა პირნი?

მიგ. არა; არამედ ერთი პირი; ერთბამად

ღმერთი

ღმერთი და კაცი, ერთის სიტყვით ღმერთკაცი,

კით. ვითარ იტყვის საღმრთო წერილი განხორციელებისათვს მისა ღუთისა სულისაგან წმიდისა და ქალწულისა მარიამისგან?

მიგ. ლუკა მახარებელი მოუთხრობს, ვითარმედ ოდესცა ქალწულმან მარიამ ჰკითხა ანგელოსსა, წინათმაუწყებელსა მისდა მუცლადღებისა. იესოსსა: „ვითარმე იყოს ესე ჩემდა, რამე-
„თუ მე მამაკაცი არა ვიცი?

მაშინ ანგელოსმან ჰრქუა მას პასუხად: „სული
„წმიდა მოვიდეს შენ ზედა და ძალი მაღლისა
„გფარვიდეს შენ, ამისთვსცა შობილსა მას წმიდა
„ეწოდოს და ძე მაღლის. ლუკ: 1. ლდ, ლე.

კით. ვინ იყო ქალწული მარიამ?

მიგ. წმიდა ქალწული იყო თესლისაგან აბრაამისა და დავითისა, რომელთა თესლისაგან ჯერ იყო შობა მაცხოვრისა აღთქმისაებრ ღუთისა. დაწინდული იყო იოსებისდა, მისივე თესლისაგანისა, რათამცა იყო იგი მცველად მისა. ვინათგან

შეწირულ

შეწირული იყო იგი ღ̃თისა მიმართ, აღთქმითა მარადის ქალწულებით დადგრომად.

კით. ნამდვილ მარადის ქალწულად ეგოა ყოვლად-წმიდა მარიამ?

მიგ. ეგო და ჰგიეს ქალწულად უწინარეს შობისა, შობასა და შემდგომად შობისა მაცხოვრისა, და ამისთჳს იწოდების მარადის ქალწულად.

კით. კჳალად ვითარითა დიდითა სახელის-დებითა ჰატივსცემს ყოვლად-წმიდასა, ქალწულსა მარიამს მართლმადიდებელი ეკკლესიაჲ?

მიგ. სახელისდებითა ღ̃თის-მშობელისათა.

კით. შესაძლებელ არს ჩვენებად სახელის-დებისა ამის საღმრთოჲსა წერილსა შინა?

მიგ. იგი მოღებულარს შემდგომითა ამათ სი-ტყუათაგან წინასწარმეტყველისა ისაიასთა: „,აჰა ,,ქალწული მიუდგეს და ჰშჳს ძე და უწოდონ ,,სახელი მისა ემმანუილ, რომელარს თარგმანე-,,ბით ჩვენთანა ღმერთი. ისა 7. იდ.

ეგრეთვე მართალი ელისაბედ უწოდს ყოვ-ლად წმიდასა ქალწულსა დედად უფლისად. და ესე

სახელის-

სახელის-დებაჲ ერთისა მალისა არს ღ҃თის-მშობლად სახელდებისა.

,,და ვინა ჩემდა ესე, რათა მოვიდეს დედა ,,უფლისა ჩემისა ჩემდა? ლუკ. 1. მგ.

კით. ვითარითა გულისხმისყოფითა წმიდა ქალწული მარიამ წოდებულ-არს ღ҃თის-მშობლად?

მიგ. დაღათუმცა იესო ქრისტე იშვა მისგან არა ღ҃თაებითა თჳსითა, რომელიცა საუკუნო არს, არამედ კაცობრივითა ბუნებითა. გარნა ღირსად წოდებულ არს იგი ღ҃თის-მშობლად, მით რამეთუ შობილი მისგან, თჳთ მისგან მუცლად-ღებასა და შობასა შინა იყო, ვითარ იგი არს მარადის ჭეშმარიტი ღმერთი.

კით. ვითარ ჯერ არს განსჯად მადლისა ღირსებისათჳს ყოვლად-წმიდისა ქალწულისა მარიამისა?

მიგ. თჳსებისა მებრ უფლისა დედისა. იგი აღემატების, მადლითა და მიახლებითა ღ҃თისადმი, და მაშასადამე ღირსებითაცა, ყოველსა დაბადებულსა

არსებასა

არსებასა, და ამისთჳს მართლმადიდებელი ეკკლესია ჰატივსცემს მას უმაღლეს ქერაბიმთა და სერაფიმთასა.

კით. რაჲმე ჯერ არს კჳალად შენიშვნად შობისათჳს იესო ქრისტესა ყოვლად-წმიდისა ღჳთის-მშობლისაგან ?

მიგ. ესე, რომელ, ვინაჲთგან შობა ესე იყო სრულებით წმიდა და უცხო ცოდჳისაგან, ამად იყოცა უვნებელ, ამისთჳს რომელ რიცხვსა შორის ცოდჳისა ძლიითა ჰატიყთასა, განუჩინა ღმერთმან ევას სალმობით შობა შვილთა. იხილე. იოან. დამასკ. ღჳთის. წიგნ, 4. თავ. იდ. ტრი. 6.

კით. ვითარნი ნიშანნი განმზადებულ იყვნენ განგებულებითა ღჳთისათა, რომელთა მიერ შესძლებოდათ კაცთა ცნობა მათდა შობილისა მაცხოვრისა ?

მიგ. მრავალნი ჭეშმარიტნი წინათქმობანი სხვადასხვათა გარემოებათანი შობისა მისისა და ქჳწყნიერისა ცხოვრებისანი.

მავალითებრ: წინასწარმეტყჳელმან ისაია

წინასწარ

წინასწარ ჰსთქუა, ვითარმედ მაცხოვარი იშჳების ქალწულისაგან. ესაი. 7. იდ.

წინასწარმეტყუელმან მიქაა წინასწარ ჰსთქუა. ვითარმედ მაცხოვარი იშჳების ბეთლემს, და წინასწარმეტყუელებასა ამას ურიანი წინასწარვე გულისხმა ჰყოფდეს, ჯერეთ, ვიდრემდის ჰსცნეს აღსრულებაჲ მისი. მათ. 2. დ, ე, ვ.

წინასწარმეტყუელმან მალაქიამ, შემდგომად აღშენებისა მეორისა ტაძრისა იერუსალიმისა, წინათვე ჰსთქუა, ვითარმედ მოსვლა მაცხოვრისა მოვახლების, ვითარმედ მოვალს იგი ტაძარსა ამას შინა, და ვითარმედ წინაშე მისსა მოივლინების წინამორბედი, მზგავსი წინასწარმეტყუელისა ელიასი, რომლითაცა ცხადად იჩუენების იოანე ნათლისმცემელი. მალაქ. 3. ა. 4. ე.

წინასწარმეტყუელმა ზაქარია წინასწარ ჰსთქუა დღესასწაულობით შესვლა მაცხოვრისა იერუსალიმს შინა. ზაქა. 9. თ.

წინასწარმეტყუელმა ესაია საკვირველითა

წარმო-

წარმოჩინებითა წინათვე ჰსთქუა ვნებანი მაცხო-
ვრისანი. ისაი: 53.

დავითმან ფსალმუნსა კა გამოხატნა ჭეშმარით-
ნი ვნებანი მაცხოვრისანი ესრეთისა ზედმიწევნი-
თა, რეცათუ იყვნენ იგინი დაწერილ თჳთ ჭეშ-
მარისა თანა.

წინასწარმეტყუელმან დანიელ უწინარეს უჟ
წლისა, წინასწარ ჰსთქუა გამოჩინება მაცხოვრი-
სა, ჭეშმარით სიკუდილი მისი და უკანამისა შედ-
გომილი დარღვევა ტაძრისა და იერუსალიმისა, და
დაცხრომა ძველისა აღთქმისა მსხვერპლთა. დან. 9.

კით. იცნესა ნამდვილ იესო ქრისტე, ვითა-
რცა მაცხოვარი, ჟამსა მას შინა, ოდესცა იშუა
იგი და საცხოვრებლა ქუეყანასა ზედა?

მიგ. იცნეს მრავალთა სხუა და სხუათა ღო-
ნითა: აღმოსავლეთისა ბრძენთა იცნეს იგი საშუ-
ალობითა ვარსკვლავისათა, რომელიცა წინათ შო-
ბისა მისისა გამოსჩნდა აღმოსავლეთად. ბეთლე-
მისა მწყემსთა იუწყეს მისთჳს ანგელოსთაგან,
რომელთაცა სახელდებით ჰრქუეს მათ, ვითარმედ

იმჟა მაცხოვარი ქალაქსა შინა დავითისსა. სჳმონ და ანნამ, საკუთრითა გამოცხადებითა სულისა წმიდისათა, იცნეს იგი, ოდესცა შემდგომად აღსრულებისა ორმეოცისა დღისა შობითგან მისით, მიყვანებულ იქმნა იგი ტაძარსა შინა. იოანე ნათლისმცემელმან, მდინარესა ზედა იორდანისასა, ჟამსა ნათლის ღებისასა, იცნა იგი გამოცხადებით, გარდამოსვლითა მას ზედა სულისა წმინდისათა, სახედ ტრედისა, და ხმითა ზეცით მამისაგან ღმრთისა: ,,ესე არს ძე ჩემი საყუარელი, რომელი მე სათნო- ,,ვიყავ. მატ: 3. იზ. მსგავსივე ხმა იყო მისთჳს მოციქულთა მიმართ: პეტრესა, იაკობისა და იოანესა, ჟამსა ფერისცვალებისა მისისა მთასა ზედა: ,,ესე არს ძე ჩემი საყვარელი, რომელი ,,მე სათნო ვიყავ: მაგისა ისმინეთ. მატთ: 17. 5. გარდა ამისა, ფრიად მრავალთა იცნეს იგი, აღმატებულობითა სწავლისა მისისათა, და განსაკუთრებითა სასწაულთა მიერ, რომელთაცა იქმოდა იგი.

ვით. ვითარითა სასწაულთა იქმოდა იესო ქრისტე?

 მიგ.

მიგ. კაცთა, შეპყრობილთა უკურნებელთა სენთა მიერ და ეშმაკეულებათა, განჰკურნებდა იგი წამსა შინა თჳალისასა, ერთითა სიტყჳთა, ანუ შეხებითა ჴელისათა, და კნინღა შეხებითაცა მათ მიერ სამოსლისა მისისადმი; ერთგზის ხუთითა ოდენ, ხოლო მეორედ შჳდითა პურითა განაძღნა მან უდაბნოსა ადგილსა შინა რაოდენნიმე ათასნი კაცნი. ვიდოდა წყალთა ზედა, და სიტყჳთა დააცხრობდა ქართა. აღადგინდა მკჳდართა: სახელდებით აღადგინა ძე ქჳრივისა ნაინელისა, ასული იაიროსისა, და ლაზარე, მეოთხესა დღესა შემდგომად სიკუდილისა მისისა.

კით. ვინათგან ძე ღმრთისა განხორციელდა ჩუენისა ცხოვრებისათჳს: ვითარითა სახითა შეასრულა მან ცხოვრება ჩუენი?

მიგ. ჰსწავლითა თჳსითა, ცხოვრებითა, სიკუდილითა და აღდგომითა თჳსითა.

კით. რაჲმე იყო ჰსწავლა ქრისტესი?

მიგ. სახარება სასუფეველისა ღმრთისა, ანუ თუ სხუებრ, ჰსწავლა ცხოვრებისა და საუკუნოჲსა

ნეტარებისა-

ნეტარებისათჳს, თჳთ იგი, რომელი აწცა გარ-დამოიცვმის მართლმადიდებელსა ეკკლესიასა შინა. იხილე. მარკ. 1. იდ, იე.

კით. კითარითა სახითა იქმნების ჩუენთჳს საცხოვრებელ ჴსწავლა ქრისტესი?

მიგ. ოდესცა შევიწყნარებთ მას ცოცხლითა გულითა და მისებრ მოვიქცევით ჩუენ. რამეთუ ვითარ იგი ტყუილი სიტყუა ეშმაკისა, მიღებული იქმნა რა პირველთა კაცთა მიერ, შეიქმნა მათ შინა თესლად ცოდჳსა და სიკუდილისა: ეგრეთ უკუე ჭეშმარიტი სიტყუა ქრისტესი, გულითად შეწყ-ნარებული ქრისტიანეთა მიერ, დაადგრების მათ შინა თესლად წმიდისა და უკუდავისა ცხოვრებისა.

,,იგინი არიან,, სიტყჳსა მებრ პეტრე მო-ციქულისა, ,,შობილ არა თესლისაგან განხრ-
,,წნადისა, არამედ უხრწნელისა, სიტყჳსა ღმრთისა
,,ცხოველისათა, რომელი იგი ჰგიეს უკუნისამდე.
ა. პეტ. 1. კგ.

კით. კითარითა სახითა იქმნების ჩუენთჳს საცხოვრებელ ცხოვრება იესო ქრისტესი?

მიგ.

მიგ. ოდესცა ჩვენ მივბაძავთ მას. რამეთუ იტყვის იგი: „უკეთუ ვინმე მე მმსახურებდეს, „მე შემომიდევგინ, და სადაცა მე ვიყო, მუნცა „მსახური ჩემი იყოს. იოან. 12. კვ.

## მეოთხისა წევრისათჳს.

კით. ვითარ იქმნა ესე, რომელ იესო ქრისტე ჯუარცმულ არს, ოდესცა ჴსწავლანი და საქმენი მისნი თანამდებიყუნეს ყოველთა შორის განდევი-მებად მისდა მიმართისა კრძალულებისა?

მიგ. მოხუცებულთა და მწიგნობართა ური-ათასა მოიძულეს იგი, მისთჳს, რომელ ამხილებდა მათ ცრიუსა მოძღურებასა და უსჯულოებითსა ცხოვრებასა; და ეშურვებოდენ მას, ამისთჳს რო-მელ, ჴსწავლისა და სასწაულთა მისთა გამო ერი უმეტესად ჰატივსცემდა მას, ვიდრელა მათ; და ამისთჳს შეასმინეს მათ იგი და დასაჯეს სიკვდილად.

კით. რაჲსათჳს თქმულ არს, ვითარმედ იესო ქრისტე ჯუარს ეცუა „პონტოელისა პილა-„ტეს ზე?

მიგ.

მიგ. რათამცა დაინიშნოს დრო, ოდესცა ჯუარცმულ-არს იგი.

კით. ვინ იყო პონტოელი პილატე?

მიგ. რომაული მმართებელი იუდიანთა, რომელნი დაპყრობილიყუნენ რომაელთა მიერ.

კით. რაჲსათჳს ღირს არს შესწავებისა გარემოება ესე?

მიგ. ამისთჳს, რომელ სჩანს მას შინა იაკობის წინასწარმეტყუელებისა აღსრულებაჲ: „არა მოაკლდეს მთავარი იუდასაგან, და წინამძღუარი „წელთაგან მისთა, ვიდრემდის მოვიდეს, რო„მლისა დამარხულ-არს: და იგი არს მოლოდება „წარმართთა. შექ. 49. ი.

კით. რაჲსათჳს არა მხოლოდ თქმულ-არს სიმბოლოსა შინა, ვითარმედ იესო ქრისტე ჯუარს ეცუა, არამედ კუალად შეძინებულ არს, ვითარმედ ივნო მან?

მიგ. რათამცა აჩვენოს, რომელ ჯუარცმა მისი იყო არა მხოლოდ სახე ვნებისა და სიკუდილისა, ვითარ იგი იტყოდენ რომელნიმე ცრუ

მოძღუარნი

მომლჭარნი, არამედ ნამდვილი ვნება და სიკუდილი.

კით. რაჲსათჳს მოხსენებულ არს მისთჳსცა, რომელ დაეფლა იგი?

მიგ. ესეცა ეგრეთვე ეკუთვნის დარწმუნებასა მისსა, რომელ ნამდვილ მოკუდა იგი და აღსდგა-ვინათგან მტერთა მისთა დაადგინნეს მცჭლნი სა-ფლავსა მისსა, და დაბეჭდეს იგი.

კით. ვითარ შეიმლებოდა ვნება და სიკუდილი იესო ქრისტესი, ვითარცა ღჭთისა?

მიგ. მან ივნო და მოკუდა არა ღჭთაებით, არამედ კაცობრივ, და არა მისთჳს, ვითარმცა არა ემლო მას განრინება ვნებათაგან, არამედ მისთჳს, რომელ ენება ვნებად. თჳთ მან ჰსთქჭა: „მე და-
„ვსდებ სულსა ჩემსა, რათა კჭალად მოვიღო იგი.
„არავინ მიმიღოს იგი ჩემგან, არამედ მე დავსდებ
„მას თავით ჩემით. ხელმეწიფების დადებად მისა,
„და ხელმეწიფების კჭალად მიღებად მისა.
იოან. 1. იზ, იჱ.

კით. ვითარითა მალითა თქმულ არს, რომელ იესო ქრისტე ჯჭარსეცჭა ჩჭნთჳს?

მიგ. მადლითა მით, რომელ ჯუარით სიკუ-
დილითა თჳსითა გჳიხსნა მან ჩვენ ცოდვისა, წყე-
ვისა და სიკუდილისაგან.

კით. ვითარ იტყვის ხსნისა ამისთჳს საღმრთო
წერილი?

მიგ. ხსნისათჳს ცოდვისაგან: „რომლისა
„მიერ გუაქუს ჩუენ გამოხსნა სისხლითა მისითა,
„და მოტევება ცოდუათა ჩუენთა სიმდიდრისაებრ
„მადლისა მისისა. ა ეფეს. 1. ზ.

ხსნისათჳს წყევისაგან: „ქრისტემან ჩვენ მო-
„გვიყიდნა წყევისა მისგან ჰსჯულისა, და იქმნა
„ჩუენთჳს წყევასა ქუეშე. გალატ. 3. იგ.

ხსნისათჳს სიკუდილისაგან: „რამეთუ ყრმა-
„თაცა ეზიარა ჴორცთა და სისხლთა და თავადმან
„მსგავსად მოიღო მითვე, რათა სიკუდილითა მით
„განაქარვოს რომელსა იგი ჴელმწიფებაჲ აქუნდა
„სიკუდილისა, ესე იგი არს ეშმაკი, და განათა-
„ვისუფლნეს ესენი, რავდენნი შიშითა სიკუდი-
„ლისათა სამარადისოდ ცხოვრებად თანამდებ იყვნეს
„კირთებისა. ებრაელ. 2. იდ: იე.

კით. ვითარითა სახითა ჯუარცმითი სიკუდილი იესო ქრისტესი გვიხსნის ჩუჱნ ცოდვისა, წყევისა და სიკუდილისაგან ?

მიგ. რათამცა ადვილად უძლოთ ჩვენ რწმუნებად საიდუმლო ესე სიტყუა ღუთისა გულისხმა გვყოფს ჩვენ მისთჳს, რაოდენისა დატევნად შემძლებელ ვართ, შემსგავსებითა იესო ქრისტესითა ადამისთანა. ადამ ბუნებითად არს თავი ყოვლისა კაცისა, რომელიცა შეადგენს მისთანა ერთსა ბუნებითსა წარმოებასა მისგან. იესო ქრისტე, რომელსა შინა ღუთაება შეერთდა კაცებასა, მაღლით იქმნა ახალ, ყოვლისა შემძლებელ თავად კაცთა, რომელთაცა შეიერთებს თავისა თჳსისათანა საშუალობითა სარწმუნოებისათა. ამისთჳს ვითარ იგი ადამის მიერ შთავცვივენით ჩვენ ცოდუასა, წყევასა და სიკუდილსა; ეგრეთ ვიხსნებით ჩვენ ცოდვისა, წყევისა და სიკვდილისაგან იესო ქრისტეს მიერ. ჩვენთჳს ნებსით ვნება და ჯუარით სიკუდილი მისი, რომელნიცა არიან დაუსრულებელისა ფასისა და ღირსებისანი, ვითარცა სიკუდილი

უცოდველისა და ღმერთიმამაკაცისა, არს სრული კმაყოფაჲ მართლმსაჯულებისა ღვთისა, ცოდვისა წილ სიკვდილ დამსჯელისა ჩვენისა, და უზომოცა მოსაგებელი, მომპოვებელი მისდა სამართლისა, თჳნიერ წყინებისა მართლმსაჯულებისა, მოცემად ჩვენ ცოდვილთა ცოდვათა მოტევებისა; და მადლი მლევისათჳს სიკუდილისა და ცოდვისა.

„წმიდათა ინება ღმერთმან უწყებად, რა იგი „არს სიმდიდრე დიდებისა საიდუმლოჲსა მის წარ„მართთა შორის, რომელ არს ქრისტე ჩვენ შო„რის სასოება იგი დიდებისა. კოლა. 1. კვ, კზ.

„რამეთუ უკეთუ ერთისა მის შეცოდებითა სი„კუდილი სუფევდა ერთისა მისგან, რავდენ უფ„როს რომელნი იგი უმეტესსა მას მადლისასა და „ნიჭსა სიმართლისასა მიიღებენ, ცხოვრებასა შინა „სუფევდენ ერთისა მისგან იესო ქრისტესა. რომ: 5. იზ.

„არა რამე დასასჯელ არს აწ ქრისტე იესოს „მიერ მათდა, რომელნი იგი არა ჴორცთაებრ „ვლენან, არამედ სულისაებრ. რამეთუ ჰსჯულმან



„სულისა

,,სულისა ცხოვრებისამან ქრისტე იესოჲს მიერ
,,განმათავისუფლა მე ჰსჯულისა მისგან ცოდვისა
,,და სიკჳდილისა. რამეთუ შეუძლებელი იგი ჰს-
,,ჯულისა, რომლითა უძლურ იყო ხორცითა მათ-
,,თჳს, ღმერთმან მე თჳსი მოავლინა მსგავსად
,,ხორცთა მათ ცოდვისათა და ცოდვისათჳს, და-
,,საჯა ცოდჳაჲ იგი ხორციითა თჳსითა, რათა სი-
,,მართლე იგი ჰსჯულისა აღესრულოს ჩუენ შო-
,,რის, რომელნი არა ხორციელად ვიქცევით, არა-
,,მედ სულიერად. რომ. 8. ა დ.

კით. ნამდვილი ჩუენ ცოდვილთათჳს ივნოა იესო ქრისტემან?

მიგ. თჳსკერძო შესწირა მან თავი თჳსი მსხუერპლად ნამდვილი ცოდვილთათჳს, და ცოდვილთა მოუპოვა მადლი და ცხოვრებაჲ; გარნა ირგებენ ამის მიერ ჩუენგანნი იგი, რომელნიცა თჳსკერძო ნებსით მიიღებენ ზიარებასა ვნებათა შინა მისთა, ,,თანა-
,,ხატ ექმნებიან რა სიკჳდილსა მისსა. ფილ. 3. ი.

კით. ვითარ შემძლებელ ვართ ჩუენ ზიარებად ვნებათა და სიკჳდილსა იესო ქრისტესსა?

მიგ.

მიგ. ვეზიარებით ჩვენ ვნებათა და სიკუდილი-სა იესო ქრისტესსა, საშუალობითა ცხოველად გულითადისა სარწმუნოებისათა, შეამდგომელო-ბითა საიდუმლოთათა, რომელთა შინა დაფარულ და დაბეჭდულ არს ძალი საცხოვრებელთა ვნებათა და სიკუდილისა იესო ქრისტესთა, და დასასრულ ჯუარცმითა ხორცისა ჩუენისათა ვნებით და გუ-ლისთქმით მისითურთ.

იტყვის მოციქული, ,,მე სჯულისათჳს ჴს-
,,ჯულითა მოვჰკუდე, რათა ღუთისა ვსცხონდე,
,,ქრისტესთანა ჯუარცმულ ვარ. ხოლო ცხოველ
,,არღარა მე ვარ, არამედ ცხოველ არს ჩემთანა,
,,ქრისტე ხოლო რომელ ესე აწ ცხოველ ვარ
,,ხორცითა, სარწმუნოებითა ცხოველ ვარ ძისა
,,ღუთისათა, რომელმანცა შემიყუარა მე და მისცა
,,თავი თჳსი ჩემთჳს. გალ. 2. ით, კ.

,,ანუ არა უწყითა, რამეთუ რომელნი ესე
,,ნათელ ვიღეთ ქრისტე იესოს მიერ, სიკუდი-
,,ლისა მისისა მიმართ ნათელ ვიღეთ. რომ. 6. გ.
,,რამეთუ რავდენგზისცა ჰსჭამდეთ პურსა ამას

და

,,და სმიდეთ სასმელსა ამას, სიკუდილსა უფლი-
,,სასა მოუთხრობდით, ვიდრემდის მოვიდეს.
ა კორ. 11. კვ.

,,ხოლო ქრისტესთა მათ, ხორცნი თჳსნი
,,ჯუარს აცუნეს, ვნებითურთ და გულისთქმით.
გალატ. 5. კდ.

კით. ვითარ შესაძლო არს ჯუარცმა ხორცისა თჳსისა ვნებითურთ და გულისთქმით.

მიგ. მოთმინებითა ვნებათა და გულისთქმათათა და მათდა წინააღმდგომითა საქმეთა მიერ. მაგალითებრ: ოდესცა აღგვძრავს ჩვენ რისხვა ბოროტის საქციელ მტერისა, და ქმნად მისდა ბოროტისა, გარნა წინააღუდგებით ჩვენ წადილსა ამას, და, მოვიხსენებთ რა, თუვითარ ილოცვიდა იესო ქრისტე ჯუარისა ზედა მტერთა თჳსთათჳს, და ვილოცავთ ჩვენცა მტერთა ჩვენთათჳს: მაშინ ეს სახედ ჯუარსვაცუამთ ჩუენ ვნებასა რისხვისასა.

## მეხუთისა წევრისათჳს.

კით. ვითარი მოგუცა იესო ქრისტემან

უახლოესი

უახლოესი დამტკიცება ამისა, ვითარმედ ვნება და სიკუდილი მისი საცხოვრებელ-არიან ჩუჱნ კაცთათჳს ?

მიგ. ესე, რომელ აღსდგა იგი და მით დაუდვა საფუძველი ჩუენსაცა სანატრელსა აღდგომასა.

,,ხოლო აწ ქრისტე აღსდგა მკუდრეთით, და
,,იქმნა იგი დასაბამ შესვენებულთა. ა კორ 15. 20.

კით. რაჲმე შესაძლო არს აზმნობად მდგომარეობისა მისთჳს, რომელსა შინაცა იყო იესო ქრისტე შემდგომად სიკუდილისა თჳსისა და პირველ აღდგომისა ?

მიგ. ამას გამოხატავს შემდგომი ესე ეკკლესიური გალობაჲ: ,,საფლავად ხორციითა შეხჳედ,
,,ხოლო ჯოჯოხეთს სულითა, ვითარცა ღმერთი,
,,და სამოთხეს ავაზაკისა თანა, და საყდართა მამისა
,,და სულისათანა განუშორებელ იყავ ქრისტე,
,,რომელი ყოველსავე აღავსებ გარეშემოუწერელო.

კით. რაჲმე არს ჯოჯოხეთი ?

მიგ. ესე ნიშნავს ადგილსა, მოკლებულსა

ნათლისაგან

ნათლისაგან. საქრისტიანოსა ჰსწავლასა შინა სა-ხელითა ამით იგულისხმების სულიერი საპყრობი-ლე, ესე იგი არს მდგომარეობა სულთა, ცოდუი-სა მიერ უცხო-ქმნილთა პირისპირ მხედველობი-საგან ღჳთისა, და მისთანა შეერთებულისა ნათ-ლისა და ნეტარებისა. პარაკლიტონი ꞉ ხმა ე, მუხლი ბ, დ.

კით. რისათჳს შთახდა იესო ქრისტე ჯო-ჯოხეთად?

მიგ. ამისთჳს, რათამცა ჰქადაგოს მუნცა ძლევა სიკჳდილისა ზედა, და იხსნნეს სულნი, რომელ-ნიცა სარწმუნოებით მიელოდნენ მისჳლასა მისსა.

კით. იტყვისა ამას ზედა საღმრთო წერილი?

მიგ. ამას ეკუთვნის შემდგომი ესე წარმო-თქმა꞉ „რამეთუ ქრისტემანცა ერთგზის ცოდჳათა „ჩუენთათჳს ივნო, მართალმან მან ცრუთათჳს, „რათა ჩუენ წარგუადგინნეს ღჳთისა, მოკუდა „ხორცითა და ცხოველ იქმნა სულითა, რომლი-„თაცა საპყრობილესა მას სულთასა მივიდა და „ჰქადაგა. ა პეტრ꞉ 3, იჱ, ით.

კით.

კით. რაჲ ჟამ არს შენიშვნად სიტყჳათათჳს სიმჳოლოსათა : აღსდგა მესამესა დღესა მსგავსად წერილისა ?

მიგ. სიტყჳანი ესე შემოღებულ არიან სიმჳოლოსა შინა შემდგომისა ამის ადგილისაგან კორინთელთა მიმართისა ეპისტოლისა : ,,მიგეც ,,თქუენ პირველად რომელიცა იგი მივიღე, რა-,,მეთუ ქრისტე მოკუდა ცოდჳათა ჩუენთათჳს, ,,ვითარცა წერილ არს, და რამეთუ დაეფლა, და ,,რამეთუ აღსდგა მესამესა დღესა, ვითარცა წერილ-,,არს. ა კორ. 15. გ. დ.

კით. ვითარი აზრი არს სიტყჳასა ამას შინა: მსგავსად წერილისა ?

მიგ. ამით დაინიშნის, ვითარმედ იესო მო-კუდა და აღსდგა ნანდჳლ ეგრეთ, ვითარ იგი წინა-სწარმეტყჳელებით წერილ არს მისთჳს წიგნთა შინა ძუელისა აღთქმისათა.

კით. სადა წერილ-არს ამისთჳს მაგალითებრ ?

მიგ. მაგალითებრ ნგ თავსა შინა წიგნისა ისაია წინასწარმეტყუელისასა ვრცლად გამოხატულ

არს

არს ვნება და სიკუდილი იესო ქრისტესი, ვითარ-
-ესე: „იგი იწყლა ცოდვათა ჩუენთათჳს და გუე-
„მულ არს უსჯულოებათა ჩუენთათჳს: წურთა
„მშჳდობისა ჩუჱნისა მის ზედა, წყლულებითა
„მისითა ჩუენ განვიკურნენით. მუხ: 5.

აღდგომისათჳს ქრისტესისა მოციქული პეტრე
შემოიტანს სიტყუათა ფსალმუნისათა იგე: „რა-
„მეთუ არა დაუტეო სული ჩემი ჯოჯოხეთს, და
„არცა სცე წმიდასა შენსა ხილვად განსახრწნელი.
საქ, მოც. 2. კზ.

კით. არსა წერილსა შინა ძუელისა აღთქმი-
სასა იგიცა, რომელ იესო ქრისტესა ჯეროდა
აღდგომა სახელდებით მესამესა დღესა?

მიგ. წინასწარმეტყუელებითი სახე ამისა
წარმოდგენილ არს წინასწარმეტყუელითა იონაითა:
„და იყო იონა მუცელსა შინა ვეშაპისასა სამ
„დღე და სამი ღამე. იოან. 2. 5.

კით. ვითარ ჰსცნეს, რომელ აღსდგა იესო
ქრისტე?

მიგ.

მიგ. მხედართა, რომელნიცა ჰსცვიდენ საფლავსა მისსა, შიშით ჰსცნეს ესე ამისთჳს, რომელ ანგელოსმან უფლისამან გარდააგორვა ლოდი იგი, რომლითაცა დაფარულ იყო საფლავი მისი, და მისთანავე იქმნა დიდი ქვეყანისა მძრვაჲ. ანგელოსთა ეგრეთვე აუწყეს აღდგომა ქრისტესი მარიამ მაგდალინელსა და რომელთამე სხუათა. თჳთ იესო ქრისტე მასვე დღესა აღდგომისა თჳსისასა გამოეცხადა მრავალთა; ვითარ იგი: მენელსაცხებელთა. პეტრეს, ორთა მოწაფეთა, მიმავალთა ემმაუსსა შინა, და უკანასკნელ ყოველთა მოციქულთა სახლსა შინა, რომლისა კარნი იყვნეს დახშულნი. შემდგომად მრავალგზის გამოეცხადებოდა იგი მათ, განგრძობასა შინა ორმეოცისა დღისასა, და რომელსამე დღესა გამოეცხადა უმეტეს ხუთასთასა მორწმუნეთა ერთად. ა კორ. 15. ვ.

ვით. რაჲსათჳს იესო ქრისტე შემდგომად აღდგომისა თჳსისა გამოეცხადებოდა მოციქულთა განგრძობასა შინა ორმეოცთა დღეთასა?

მიგ. ამა დროსა შინა განაგრძობდა იგი ჰსწავებად

მათდა საიდუმლოთა სასუფეველისა ღმრთისათა.
საქ. მოც. 1. გ.

## მეექვსისა წევრისათჳს.

კით. საღმრთოსა წერილისაგან მიღებული არს გამოხატჳა ამაღლებისა უფლისა მეექვსესა წევრსა შინა სიმბოლოისასა?

მიგ. იგი მოღებული არს შემდგომითაგან გამოთქმათა საღმრთოჲსა წერილისათა: ,,რომელი ,,გარდამოხდა, იგივე არს, რომელი ამაღლდა ზედა ,,ყოველთა ცათა, რათა აღავსნეს ყოველნი.
ეფეს. 4. ი.

,,ესე ვითარი გვივის ჩვენ მღჳდელთ-მთავარი, ,,რომელი დაჰსჯდა მარჯვენით საყდარითა დიდე- ,,ბისათა ზეცათა შინა. ებრ. 8. ა.

კით. ღმრთაებით ანუთუ კაცებით ამაღლდა ზეცად იესო ქრისტე?

მიგ. კაცებით; ხოლო ღმრთაებით მარადის ეგო იგი და ჰგიეს ცათა შინა.

კით. ვითარითა სახითა მჯდომარე არს იესო
ქრისტე

ქრისტე მარჯვენით ღმრთისა მამისა, ოდესცა ყოველგან მყოფ-არს ღმერთი?

მიგ. ამისი ჯერარს სულიერად გულისხმის-ყოფა. ესე იგი: იესო ქრისტესა აქუს ერთი და იგივე შემძლებელობა და დიდება ღმრთისა მამი-სა თანა.

## მეშვდისა წევრისათვს.

კით. ვითარ იტყვის საღმრთო წერილი ყო-ფადისა მოსვლისათვს ქრისტესისა?

მიგ. „ესე იესო, რომელი ამაღლდა ჩვენ-„გან ზეცად, ეგრეთვე მოვიდეს ვითარცა იხილეთ „ამაღლებული ზეცად. საქ. მოც. 1. ია. ესე ანგე-ლოსთა ჰრქუჱს მოციქულთა თჳთ ჟამსა უფლისა ამაღლებისასა.

კით. ვითარ იტყვის იგი ყოფადისა განჩს-ჯისა მისისათვს?

მიგ. „მოვალს ჟამი, რომელსა ყოველნი, „რომელნი ისხნენ საფლავებსა ისმინონ ხმისა „მისისა; და გამოვიდოდენ კეთილის-მოქმედნი

„აღდგო-

,,აღდგომასა ცხოვრებისასა, ხოლო ბოროტის ,,მოქმედნი აღდგომასა სასჯელისასა. იოან. 5. კჱ, კთ. ესე სიტყუანი არიან თჳთ იესო ქრისტესნი.

კით. ვითარ იტყვის იგი დაუსრულებელისა-თჳს სუფევისა მისისა?

მიგ. ,,ესე იყოს დიდ, და ძე მაღლისა ეწო-,,დოს, და მისცეს მას უფალმან ღმერთმან, სა-,,ყდარი დავითის მამისა თჳსისა, და მეუფებდეს ,,სახლსა ზედა იაკობისსა საუკუნოდ, და სუფე-,,ვისა მისისა არა იყოს დასასრული. ლუკ. 1. ლბ, ლგ. სიტყუანი ანგელოსისანი ღჳთისა დე-დისა მიმართ.

კით. ყოფადი მოსვლა ქრისტესი ეგევითა-რივე იქმნების, ვითარ იგი პირველი?

მიგ. ფრიად განსხუავებული პირველისაგან. ვნებად ჩუენთჳს მოვიდა იგი შეურაცხებით; ხოლო განსჯად ჩვენდა ,,მოვიდეს დიდებითა თჳსითა, და ,,ყოველნი ანგელოსნი მისნი მისთანა. მათ. 25. ლა.

კი. ყოველთა კაცთა განჰსჯის იგი?

მიგ.

მიგ. ყოველთა გამოუხვევბელად.

კით. ვითარ განჰსჯის იგი?

მიგ. სინიდისი თჳთოეულისა კაცისა განშა-შჯულდების წინაშე ყოველთასა, და განცხადდებიან არათუ მხოლოდ ყოველნი საქმენი, რაჲცა ვის უქმნიეს ყოველსა ცხოვრებასა შინა თჳსსა ქვე-ყანასა ზედა, არამედ ყოველნიცა თქმულნი სიტ-ყუანი, დაფარულნი წადილნი და განზრახვანი: ,,მოვიდეს უფალი, რომელმანცა განანათლოს და-,,ფარული იგი ბნელისა, და განცხადნეს ზრახვანი ,,იგი გულთანი, და მაშინ ქება იყოს კაცად კა-,,ცადისა ღმრთისა მიერ. ა კორ: 4. ე.

კით. ნუ უკჳრ განგვიკითხავს ჩვენ იგი ხე-ნეშთა სიტყუათა წილცა, ანუ გულისზრახვათა?

მიგ. უეჭველად განგვიკითხავს, უკუეთუ არა აღვხოცით მათ სინანულითა, სარწმუნოებითა და განმართვითა ცხოვრებისა ჩვენისათა: ,,გეტყვი ,,თქვენ, რამეთუ ყოველი სიტყუა უქმი, რო-,,მელსა იტყოდენ კაცნი, მისცენ სიტყუა მისთჳს ,,დღესა მას სასჯელისასა. მათ. 12. ლვ.

ვით. მალიად მოვალის იესო ქრისტე განსჯად?

მიგ. ესე არა უწყებულ-არს: და ამისთჳს თანამდებ ვართ ეგრეთ ცხოვრებად, რათამცა მარადის განმზადებულ ვიყვნეთ ჩვენ მისა მიმართ.

,,არა ჰყოვნოს უფალმან აღთქმისა მისგან, ვი-
,,თარ იგი ვიეთმე დაყოვნებად შეურაცხიეს; არა-
,,მედ სულგრძელ-არს თქვენთჳს, რამეთუ არა ვისა
,,ნებავს წარწყმედა, არამედ, ყოველთა სინანუ-
,,ლად მოსვლა. ხოლო მოიწიოს დღე იგი უფ-
,,ლისა, ვითარცა მპარავი ღამისა.

ბ პეტრ: ვ. თ, ი.

,,იღვიძებდით უკუე, რამეთუ არა იცით დღე
,,იგი, არცა ჟამი, რომელსა შინა ძე კაცისა მო-
,,ვიდეს. მათ. 25. იგ.

ვით. არა განცხადებულ არიანა დალათუ ნიშანნი რაჲმენი ქრისტეს მოსვლისა მოახლოებისანი?

მიგ. სიტყჳსა შინა ღთისასა განცხადებულ არიან რომელნიმე ნიშანნი, ესე იგი: შემცირება სარწმუნოებისა და სიყუარულისა კაცთა შორის, განმრავლება ბიწთა და უბედურებათა,

ქადაგება

ქადაგებს სახარებისა ცოდვილთა ერთა შორის, მოსჳლა ანტექრისტესი. მათ: 24.

ვით. რაჲმე არს ანტექრისტე?

მიგ. წინააღმდეგი ქრისტესი, რომელიცა მეცადინე იქმნების აღხოცად ქრისტიანობისა, არამედ ნაცჳლად მისა თჳთ წარსწყმდების საშინელითა სახითა. იხილ. ა თესალ: 3. ბ.

ვით. რაჲმე არს სუფევა ქრისტესი?

მიგ. სუფევა ქრისტესი არს პირველად, ყოველი სოფელი, მეორედ ყოველნი მორწმუნენი ქვეყანასა ზედა, მესამედ ყოველნი ნეტარნი ზეცათა შინა.

პირველი იწოდების სუფევად ბუნებისა, მეორე სუფევად მადლისა, ხოლო მესამე სუფევად დიდებისა.

ვით. ამათგანსა რომელსა ეკუთვნის გამოთქმა სიმვოლოისა ამის, ვითარმედ სუფევისა ქრისტესისა არა არს დასასრული?

მიგ. სუფევასა დიდებისასა.

# მერვისა წევრისათჳს.

კით. ვითარითა გულისხმისყოფითა იწოდე-ბის უფლად სული წმიდა?

მიგ. მითვე, ვითარცა ძე ღმრთისა, ესე იგი ვითარცა ჭეშმარიტი ღმერთი.

კით. ჰმოწმობსა ამისთჳს საღმრთო წერილი?

მიგ. ესე ჰსჩანს სიტყჳთაია მათგან, რომე-ლნიცა ჰსთქუნა მოციქულმან პეტრე სამხილებე-ლად ანანიასა: „რაჲსათჳს აღავსო გული შენი
„ეშმაკმან ცრუებად სულისა წმიდისა, და შემდ-
„გომნი: არა ეცრუვე შენ კაცთა, არამედ ღმერთსა.
საქ. მოც. 5. გ, დ.

კით. ვითარ ვიგულისხმოთ ესე, ვითარმედ სული წმიდა იწოდების ცხოველს-მყოფელად?

მიგ. ამისი ჯერ არს ესრეთ გულისხმებად, რომელი იგი ერთბამად ღმრთისა მამისა თანა და ძისა, მოსცემს დაბადებულთა სიცოცხლესა, გან-საკუთრებით კაცთა სულიერსა: „უკეთუ ვინმე არა
„იშჳს წყლისაგან და სულისა, ვერ ჴელეწიფების

შესვლად

,,შესვლად სასუფეველსა ღმრთისასა. იოან: 3. ე.

კით. სადეთგან ვიცით, რომელ სული წმიდა გამოვალს მამისაგან?

მიგ. ესე ვიცით თვით შემდგომითა ამათ სიტყუათაგან იესო ქრისტესთა: ,,რაჟამს მოვიდეს
,,ნუგეშინისმცემელი იგი, რომელი მე მოვავლი-
,,ნო თქვენდა მამისა ჩემისა მიერ, სული ჭეშმა-
,,რიტებისა, რომელი მამისაგან გამოვალს, მან
,,ჰსწამოს ჩემთვს. იოან: 15. კზ.

კით. ჰსწავლა გამოსვლისათვს სულისა წმიდისა მამისაგან შესაძლებელ-არსა ქვემდებარებდეს ვითარსამე შეცვალებასა, ანუ დამატებასა?

მიგ. არა შესაძლებელ არს: პირველად ამისთვს, რომელ მართლმადიდებელი ეკკლესია ამას ჰსწავლასა შინა განამეორებს ჭეშმარიტთა სიტყუათა თვთ იესო ქრისტესთა; ხოლო სიტყუანი მისნი უცვლელად, საკმაო და სრული გამოხატუა არიან ჭეშმარიტებისანი. მეორედ ამისთვს, რომელ მეორემან მსოფლიო კრებამან, რომლისა უპირველესი საგანი იყო დამტკიცება ჭეშმარიტისა

 ჰსწავლისა

ჴსწავლისა სულისათჳს წმიდისა, უეჭველად ჰმასაყოველად დასდვა ჴსწავლა ესე სიმვოლოსა შინა სარწმუნოებისასა; და კათოლიკე ეკკლესიამან შეიწყნარა ესე ესრეთ გარდაწყვეტით, რომელი მესამემან მსოფლიომან კრებამან მეშვიდითა კანონითა თჳსითა აღკრძალა შეძვენა ახლისა სარწმუნოების სიმვოლოჲსა.

ამისთჳს წმიდა იოანე დამასკელი ჴსწერს: სულსა წმიდასა ვიტყვით მამისაგან, და სულად მამისად სახელვსდებთ; ხოლო ძისაგან სულსა არა ვითარმე ვიტყვით; არამედ სულსა მისსა ძისასა ოდენ უწოდებთ. ღმთის წიგ: 1. თავ. 11. მუხ: 4.

კით. სადეთგან სჩანს, რომელი სულსა წმიდასა ეშესაბამების თაყჳანისცემა და დიდება თანასწორი მამისა და ძისა?

მიგ. ესე ჴსჩანს მისგან, რომელი იესოქრისტემან ბრძანა „ნათლის-ღებად სახელითა მამი-„სათა და ძისათა და სულისა წმიდისათა.
მათ: 28. ით.

კით. რაჲსათჳს იქმულარს სიმვოლოსა შინა,

ვითარმედ

ვითარმედ სული წმიდა იტყოდა წინასწარმეტყ-
ველთა მიერ ?

მიგ. ესე თქმული არს სამხილვებლად რომე-
ლთამე ცრუ მოძღუართა, რომელნიცა იტყოდენ,
ვითარმედ წიგნნი ძველისა აღთქმისანი არა სული-
თა წმიდითა დაწერილ არიანო.

კით. ჰმოწმობს საღმრთო წერილი, რომელ
წინასწარმეტყველთა მიერ ნანდვილ სული წმიდა
იტყოდა ?

მიგ. მოციქული პეტრე ჰსწერს: ,,არა ნები-
,,თა კაცთათა მოსადამე იყო წინასწარმეტყველე-
,,ბა, არამედ წჳძვითა სულისა წმიდისათა იტყო-
,,დეს წმიდანი ღჳთისა კაცნი. ბ პეტ. 1, კა.

კით. არა სული წმიდა იტყოდაა მოციქულ-
თა მიერცა?

მიგ. ეგრეთ ჭეშმარიტად.

იტყვის ეგრეთვე მოციქული პეტრე, ,,წინა-
,,სწარმეტყველთა გამოეცხადა, რამეთუ არა თავთა
,,თჳსთა, არამედ თქვენ გამსახურებდეს მას, რო-
,,მელ ესე აწ მიგეთხრა თქვენ მახარებელთა მათ

თქვენთა

,,თქვენთა მიერ, სულითა წმიდითა, მოვლინებუ-
,,ლითა ზეცით. ა პეტ. 1. იბ.

კით. რაჲსათვს უკუჱ მოციქულთათვს არა მოხსენებულ არს სიმვოლოსა შინა?

მიგ. ამისთვს, რომელ დროსა სიმვოლოსა შედგენისასა არავინ იჭჳნეულობდა ღმრთივსულიერობისათვს მოციქულთასა.

კით. სული წმიდა არა განეცხადაა კაცთა რომლითამე განსხუაებულითა სახითა?

მიგ. იგი გარდამოვიდა მოციქულთა ზედა სახედ ცეცხლისა ენათა, მეერგასესა დღესა შემდ-დომად აღდგომისა ქრისტესა.

კით. აწცა ეზიარებისა კაცთა სული წმიდა?

მიგ. ეზიარების ყოველთა ჭეშმარიტთა ქრისტიანეთა. ,,არა უწყითა, რამეთუ ტაძარნი
,,ღმრთისანი ხართ და სული ღმრთისა დამკჳდრე-
,,ბულ არს თქვენ შორის. ა კორ. 3. ივ.

კით. ვითარ შესაძლო არს ზიარყოფა სულისასა წმიდისა?

მიგ.

მიგ. გულითადითა ლოცვითა და საიდუმ-ლოთა მიერ.

,,უკეთუ თქვენ უკეთურთა იცით მისაცემელი ,,კეთილი მიცემად შვილთა თქვენთა, რაოდენ უფ-,,როს მამამან ზეცით მოსცეს სული წმიდა, რო-,,მელნი სთხოვდენ მას. ლუკ: ია. იგ.

,,ხოლო რაჟამს სიტკბოება და კაცთმოყვარება ,,გამოჩნდა მაცხოვრისა ჩვენისა ღმრთისა, არა ,,საქმეთაგან სიმართლისათა, რომელნი იგი ვქმნე-,,ნით ჩვენ, არამედ წყალობითა თვსითა მიხსნნა ,,ჩვენ ბანვითა მით მეორედ შობისათა განახლე-,,ბითა სულისა წმინდისათა, რომელი იგი მო-,,ჰფინა ჩვენ ზედა მდიდრად იესო ქრისტეს მიერ ,,მაცხოვრისა ჩვენისა. ტიტეს: 3. დ-ვ.

კით. ვითარნი არიან უპირველესნი ნიჭნი სულისა წმიდისანი?

მიგ. უპირველესნი და უმეტეს საზოგადო-ნი არიან, აღრიცხვისამებრ წინასწარმეტყველისა ისაიასა, შემდგომნი შვიდნი ესე: სული შიშისა ღმრთისა, სული სიბრძნისა და გულისხმის-ყოფისა,

სული

სული განზრახვისა და ძლიერებისა, სული მეცნიერებისა, სული უფლისა ანუ ნიჭი კეთილმსახურებისა უმაღლესითა ხარისხითა.

იხილე: ისაი: 11. ა-გ.

## მეცხრისა წევრისათჳს.

კით. რაჲ არს ეკკლესია?

მიგ. ეკკლესია არს ღმრთისაგან განჩინებული საზოგადოება კაცთა, შეერთებულთა მართლმადიდებლობისა სარწმუნოებითა, ჰსჯულითა ღმრთისათა, მღდელმთავრობითა და საიდუმლოებითა.

კით. რასა ნიშნავს რწმუნება ეკკლესიისა?

მიგ. ნიშნავს კეთილკრძალულებით პატივისცემასა ჭეშმარიტისა ქრისტეს ეკკლესიისასა, და დამორჩილებასა ჰსწავლისა მისისასა და მცნებათასა დარწმუნებითა, ვითარმედ მას შინა ჰგიეს, მაცხოვარებით მოქმედებს, ჰსწავებს და ჰმართავს მადლი, გარდამოცემული ერთისა საუკუნოჲსა თავისა მისისა უფლისა იესო ქრისტესა.

კით. ვითარ შესაძლებელ არს სარწმუნოებისა

საგანად

სავანად ყოფა ეკკლესიისა, რომელიცა არს ხი-
ლული, ოდესცა სარწმუნოება, მოციქულისა მებრ,
არს მხილება უხილავთა?

მიგ. პირველად, თუმცა ეკკლესია არს ხი-
ლული, არამედ უხილავად განთჳსებულარს მისდა,
და მას შინა განწმენდილთა, მადლი ღჳთისა,
რომელი არსცა საკუთარი სავანი ეკკლესიის
რწმუნებისა.

მეორედ, ეკკლესია, არს რა ხილული, ვიდ-
რემდის არს იგი ქვეყანასა ზედა, და მას ეკუთვ-
ნიან ყოველნი მართლმადიდებელნი ქრისტიანენი,
მცხოვრებნი ქვეყანასა ზედა, და მასვე ჟამსა შინა
არს უხილავი; ვინაჲთგან არს იგი ცათა შინაცა;
და მას ეკუთვნიან ყოველნი გარდაცვალებულნი
ჭეშმარიტისა სარწმუნოებასა და სიწმიდესა შინა.

კით. რასა ზედა შესაძლებელ არს გულისხ-
მისყოფისა დაფუძნება ეკკლესიისათჳს, ერთბამად
ქვეყანასა ზედა და ცათა შინა მყოფისა?

მიგ. შემდგომითა ამათ სიტყჳათა ზედა პავლე მო-
ციქულისათა ქრისტიანეთა მიმართ: ,,მოსრულხართ
თქვენ

,,თქვენ მთასა სიონსა და ქალაქსა ღმრთისა ცხო-
,,ველისასა იერუსალიმსა ზეცისასა, და ბევრეულ-
,,სა ანგელოზსა კრებულსა და ეკკლესიასა პირმ-
,,შოთასა აღწერილსა ცათა შინა და ღმრთისა მსა-
,,ჯულისა ყოველთასა და სულებისა მართალთა
,,მათ აღსრულებულთასა და სჯულისა მის ახლი-
,,სა შუამდგომელისა იესოსა. ებრ: 12. კბ, კგ, კდ.

კით. რაჲთ დავერწმუნებით ჩვენ ყოფისათვს მადლისა ღმრთისა ჭეშმარიტსა ეკკლესიასა შინა?

მიგ. პირველად მით, რომელ თავი მისი არს ღმერთმამა კაცი იესო ქრისტე, ,,სავსე მადლითა ,,და ჭეშმარიტებითა, და გუამისა თვსისა, ესე იგი, ეკკლესიისა, აღმავსებელი მადლითა და ჭეშმარიტებითა. იოან. 1. იდ, იზ.

მეორედ მით, რომელ აღუთქვა მან მოწაფეთა თვსთა სული წმიდა, რათამცა ეგო იგი მათთანა საუკუნოდ; და რომელ ამის აღთქმისა მებრ, სული წმიდა დაადგენს მწყემსთა ეკკლესიისათა. იხილ. იოან. 14. იე.

იტყვის მოციქული პავლე იესო ქრისტესთვს,

რომელ

რომელი ,,ღმერთმან მამამან მოსცა იგი თავად ზესთა
,,ყოველთა ეკკლესიასა, რომელი იგი არს გუამი
,,მისი. ეფეს: 1. კბ, კგ.

იგივე მოციქული იტყვის მწყემსთადმი ეკკლე-
სიისათა: ,,ეკრძალენით თქვენ თავთა თქვენთა და
,,ყოველსავე სამწყსოსა, რომელსა ეგე თქვენ
,,სულმან წმიდამან დაგადგინნა მოძღურად და
,,მწყსად ეკკლესიასა უფლისა ღუთისასა, რო-
,,მელი მოიგო სისხლითა თვისითა.
საქ. მოციქ: 20. კჱ.

კით. კუალად რაჲთ დარწმუნებულ ვიქმნებით,
ვითარმედ მადლი ღუთისა ჰგიეს ეკკლესიასა შინა
ვიდრე აქამომდე, და ეგების ვიდრე აღსრულებად-
მდე სოფლისა?

მიგ. ამას ზედა დაგვარწმუნებენ ჩვენ შემდ-
გომნი ესე წარმოთქმანი თვით იესო ქრისტესნი
და თვსთა მოციქულთანი?

,,აღვაშენო ეკკლესია ჩემი, და ბჭენი ჯო-
,,ჯოხეთისანი ვერ ერეოდენ მას. მათ. 16. იჱ.

,,მე თქუენთანა ვარ ყოველთა დღეთა და ვიდრე

 ,,აღსასრუ-

,,აღსასრულადმდე სოფლისა, ამინ. მათ. 28. კ.
,,მისა (ღმრთისა მამისა) ,,დიდება ეკკლესიასა ,,შინა ქრისტე იესოს მიერ ყოველთა ნათესავთა ,,მიმართ, საუკუნეთა უკუნისამდე, ამინ. ეფეს. 3. კა.

კით. რაისათვს ეკკლესია არს ერთი?

მიგ. ამისთვს, რომელ იგი არს ერთი სულიერი გუამი, აქუს ერთი თავი, ქრისტე, და სულიერ იქმნების ერთითა სულითა ღმრთისათა.

,,ერთ ხორც, და ერთ სულ, ვითარცა იგი ,,იჩინენით ერთითა მით სასოებითა ჩინებისა თქვე- ,,ნისათა; ერთ არს უფალ, ერთ სარწმუნოება, ,,ერთ ნათლისღება; ერთ არს ღმერთი და მამა ,,ყოველთა. ეფეს. 4. დ-ვ.

კით. რაითა უნამდვილესად დავერწმუნებით, ვითარმედ იესო ქრისტე არს ერთი თავი ერთისა ეკკლესიისა?

მიგ. მოციქული პავლე სწერს, ვითარმედ ეკკლესიისათვს, ვითარცა ,,შენებულებისა ღმრთისა, ,,საფუძველი სხუა ვერვის ხელეწიფების დადებად

გარეშე

,,გარეშე მისსა, რომელი იგი დადებულ არს,
,,რომელ არს იესო ქრისტე. ა კორ. 3. ი, ია.
ამისთჳს ეკკლესიისა, ვითარცა გუამისა ქრისტესისა, არა იქმნების სხუაჲ თავი გარეშე იესო ქრისტესა.

ეკკლესია ყოფად სათანადოჲ ყოველთა ნათესავთა შორის საცხოვნოდ, მოითხოვს თავსაცა სამარადისოდ მყოფსა; და ეგევითარი არს მხოლოდ იესო ქრისტე.

ამისთჳს მოციქულნიცა იწოდებიან არა უმეტეს, ვითარ იგი, ,,მსახურად ეკკლესიისად. კოლას: 1. კდ, კე.

კით. ერთობა ეკკლესიისა ვითარსა ვალდებულობასა დასდებს ჩვენ ზედა?

მიგ. ,,დამარხვად ერთობასა მას სულისასა სა-
,,კვრელითა მით მშჳდობისათა. ეფეს: 4. გ.

კით. ვითარ ეთანხმების ერთობასა ეკკლესიისასა ესე, რომელ არიან მრავალნი ეკკლესიანი განყოფილნი და თჳთ-მდგომარენი, მაგალითებრ: იერუსალიმისა, ანტიოხიისა, ალექსანდრიისა, კონსტანტინოპოლისა და როსსისა?

მიგ.

მიგ. ესენი არიან კერძოობითნი ეკკლესიანი, ანუ ნაწილნი ერთისა მსოფლიოისა ეკკლესიისანი. განყოფილება ხილულისა წესიერებისა მათისა არა დააბრკოლებს მათ დიდად სულიერ წევრებად ყოფად ერთისა გუამისა მსოფლიოისა ეკკლესიისა, ქონებად ერთისა თავისა ქრისტესა, და ერთისა სულისა სარწმუნოებისა და მადლისა. ერთობა ესე გამოიხატების ხილულად ერთობითითა აღსარებითა სარწმუნოებისათა და თანზიარებითა ლოცვათა და საიდუმლოთა შინა.

კით. არსებსა ეგრეთვე ერთობა ქვეყანასა ზედა მყოფისა და ზეციერისა ეკკლესიისა შორის?

მიგ. არსებს უეჭველად, ვითარ იგი განკუთვნისამებრ მათისა ერთისადმი თავისა, უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესა, ეგრეთვე ნაცვალგებითისა ზიარებისა მებრ ერთისა და მეორისა შორის.

კით. რაჲმე არს საშუალობა ზიარებისა ქვეყანასა ზედა მყოფისა ეკკლესიისა ზეციურისათანა?

მიგ. ლოცვა სარწმუნოებისა და სიყვარულისა. მორწმუნენი, რომელნიცა ეკუთვნიან

ქვეყანასა

ქუეყანასა ზედა მოღვაწესა ეკკლესიასა, აღავლენენ რა ლოცვათა ღმრთისა მიმართ, მოუწოდებენ შემწედ მასვე ჟამსა შინა წმიდათა, ზეციერსა ეკკლესიისადმი განკუთვნილთა, და ესენი, შეგომარებენ რა მადლითა ხარისხთა ზედა ღმრთისადმი მახლობელობისათა, შუამდგომელობითა ლოცვათა თვისთა მიერ განსწმენდენ, განამტკიცებენ და შესწირვენ წინაშე ღმრთისა ლოცვათა მორწმუნეთასა, მცხოვრებთა ქვეყანასა ზედა, და ნებისა ებრ ღმრთისა მადლით და ძალით მოქმედებით მოქმედებენ მათ ზედა, ანუ უხილავითა მადლითა; ანუ თუ გამოცხადებათა მიერ თჳსთა და რომელთა მე სხვათა საშუალობათა მიერ.

კით. რასა ზედა დამყარებულ არს კანონი ეკკლესიისა, მყოფისა ქუეყანასა ზედა, ლოცვასა შინა მოწოდებად წმიდათა ზეციერისა ეკკლესიისათა?

მიგ. საღმრთოსა მოძღვრებასა ზედა, რომლისა დაწყებანი იხილვებიან საღმრთოსაცა წერილსა შინა. მაგალითებრ: ოდესცა წინასწარმეტყველი

დავით

დავით ღაღადებს ლოცვასა შინა: უფალო ღმერთო აბრაამისო, და ისაკისო და ისრაილისო მამათა ჩუენთაო: მაშინ იგი მოიხსენებს წმიდათა განსამტკიცებელად ლოცვისა თჳსისა, ნამდვილ ეგრეთვე, ვითარ ესე აწცა მართლმადიდებელი ეკკლესია მოუწოდებს ქრისტესა ჭეშმარიტსა ღმერთსა ჩუენსა, ლოცვითა ყოვლადწმიდისა დედისა მისისა და ყოველთა წმინდათათა. იხილ. ა წიგ. ნეშტ. 29. იჳ.

კირილე იერუსალემელი განმარტებასა შინა საღმრთოჲსა ლიტურღიისასა იტყვის: მოვიხსენებთ პირველშესვენებულთაცა, პირველად მამათ მთავართა, წინასწარმეტყველთა, მოციქულთა, მოწამეთა, რათამცა ლოცვითა მათითა და შუამდგომელობითა მიითვალოს ღმერთმან ლოცჳა ჩუენი. ჰსწავ: 5. თავ. თ:

ვასილი დიდი სიტყჳასა შინა დღესა წმინდათა ორმეოცთა მოწამეთასა იტყვის: მწუხარე ორმეოცთა მიმართ მიივლტის, მხიარული მიისწრაფის მათდამივე, რათა ერთმან ჰპოვოს დახსნა მწუხარებათა, ხოლო მეორემან, რათა დაცულ იქმნენ

მისთანა

მისთანა კეთილნი. აქა ღელა კეთილმსახური შვილთათჳს მლოცველი იხილვების ; წარსრულისა ქმრისა უკუმოქცევასა, და სნეულისა სიმრთელესა ითხოვს. მოწამეთა მიმართ იღჳწენიან თხოვანი თქვენნი.

კით. არსა მოწმობა საღმრთოსა წერილისა შუამდგომელობითისა ლოცვისათჳს წმინდათასა ცათა შინა?

მიგ. წმინდამან მახარებელმან იოანე გამოცხადებასა შინა იხილა ცათა შინა ანგელოზი, რომელსა მიეცა „საკმეველი ფრიადი, რათა მისცეს „იგი ლოცვასა ყოველთა წმინდათასა. საკურთ- „ხეველსა ზედა ოქროსასა; რომელ არს წინაშე „საყდრისა და აჰხდა კვამლი იგი საკმეველთა ლო- „ცვისა მიმართ წმიდათასა ჴელისაგან ანგელოზისა „წინაშე ღთისა. გამოც: 8. გ, დ.

კით. არსა მოწმობა საღმრთოსა წერილისა კეთილმოქმედებითისა გამოცხადებათათჳს წმიდათასა ზეცით?

მიგ. წმიდა მახარებელი მათე მოუთხრობს,

ვითარმედ

ვითარმედ შემდგომად ჯუარცმით სიკუდილისა უფ-
ლისა ჩუენისა იესო ქრისტესსა, „მრავალნი გუა-
„მნი შესუენებულითა წმიდათანი აღდგეს და გამო-
„ვიდეს საფლავით მათით, და შემდგომად აღდგო-
„მისა მისისა, შევიდეს წმიდასა ქალაქსა, და გა-
„მოეცხადნეს მრავალთა. მათ: 27. ნბ, ნგ.

ვინაჲთგან სასწაული ესოდენ საჩინო არა შე-
საძლოა იქმნებოდა თჳნიერ საჩინოსა მიზეზისა; მაშა
ჯერარს განსაზღვრებად, რომელ აღდგომილნი
წმიდანი გამოეცხადნენ ამისთჳს, რათამცა აუწყონ
მოსვლა იესო ქრისტესი ჯოჯოხეთად და ძლე-
ვაშემოსილი აღდგომა მისი, და ამით ქადაგებითა
შეეწივნენ ძუელისა აღთქმისა ეკკლესიასა შინა
შობილთა გარდამოსვლად მაშინ განცხადებულისა
ახლისა აღთქმისა ეკკლესიასა შინა.

კით. ვითარითა მოწმობათა მიერ დავემტკიცე-
ბით ამას დარწმუნებასა ზედა, რომელ წმიდანი,
შემდგომად გარდაცვალებისა თჳსისა, სასწაულ-
მოქმედებენ რომელითამე ქუეყნიურითა საშუალო-
თა მიერ?

მიგ.

მიგ. მეოთხე წიგნი მეფეთა ჰმოწმობს, რომელი მეალითაჲმი შეხებითა წინასწარმეტყუელისა ელისესთა აღსდგა მკჳდარი. თავ. 15. კა.

მოციქული პავლე არათუ თჳთ ოდენ უსაშუალოდ აღასრულებდა კურნებათა და სასწაულთა; არამედ მასვე იქმოდენ სხეულისა მისისაგან მოღებულნი ვარშამანგები და ოლარები მუნ არს ცოვასა შინა მისსა. საქ. მოც: 19. იბ. ამის მაგალითისამებრ იგულისხმების, რომელი წმიდათა შემდგომად სიკუდილისაცა თჳსისა თანასწორებით მალუმსთ კეთილისყოფით მოქმედებს ქვეყანიერთა სამუალობითა მიერ, მათგან განწმენდისა მიმღებელთა.

გრიგოლი ღმრთისმეტყველი პირველსა მხილებითსა სიტყჳსა შინა ივლიანეს ზედა იტყვის: არა შეირცხვინე მსხვერპლთაგან, ქრისტესთჳს დაკლულთა, არცა შეშინდი დიდთა მოღჳაწეთაგან იოანესა მის, პეტრესა, პავლესა, იაკობისა, სტეფანესა, ლუკასა, ანდრიასა, თეკლასა და სხჳათა, პირველ და შემდგომ მათსა ჭეშმარიტებისათჳს



ვნებულ-

ვნებულთაგან, რომელნი ცეცხლსაცა, და რკინასა, და მხეცთა, და მტარვალთა, და აწინდელთა ჭირთა, და ქადილითა, ვითარცა რა სხჳათა ხორცითა შინა და უხორცოდ გულითად წინააღუდგეს. რაჲსათჳს? ამისთჳს, რათამცა არცათუ სიტკბოი განსცდეს კეთილმსახურებაჲ. რომელთათჳს დიდნი ჰატივნი და დღესასწაულებანი სამართლად დაწესებულ არიან. მათმიერვე ეშმაკნიცა იდევნებიან და სენნი იკურნებიან. მათინავე გამოცხადებანი, და მათინავე წინასწარმეტყუელებანი, მათინავე თჳთოეულნი სხეულნი თანასწორ ძლიერ არიან წმიდათა სულთა, ოდესცა ანუ შეხებულ ანუ ჰატივცემულ იქმნებიან. რომელთა წვეთნიცა სისხლისანი, ესე მცირენი ნიშანნი ვნებისანი, თანასწორ მოქმედებენ სხეულითა თანა.

დასწერს იოანე დამასკელი: ვითარმედ ნაწილნი წმიდათანი, ვითარცა სცხოვრებელნი წყარონი, მოგვანიჭნა ჩვენ მეუფემან ქრისტემან, რომელნიცა აღმოაცენებენ მრავალსახეთა კეთილთა. რამეთუ წარმოსაჩინებლად ამისა შენიშნავს იგი, ვითარმედ

საშუალობით

საშუალობითა გონებისათა, ხოლოცათაცა შინა მათსა დაემკვიდრა ღმერთი. წიგ. 4. თავ. იე. მუხ: გ, დ.

კით. რაჲსათჳს ეკლესია არს წმინდა?

მიგ. ამისთჳს, რომელ განწმენდილ არს იესო ქრისტეს მიერ, ვნებათა მისთა მიერ, ჰსწავლათა მისთა მიერ, ლოცვისა მისისა და საიდუმლოთა მიერ.

„ქრისტემან შეიყუარა ეკლესია, და თავი თჳ-
„სი მისცა მისთჳს: რათა იგი წმიდა ჰყოს, გან
„სწმიდა იგი საბანელითა მით წყლისათა და სიტ-
„ყჳთა; რათა წარუდგინოს თავადმან თავსა თჳსსა
„დიდებულად ეკლესიაჲ, რათა არა აქუნდეს მწი-
„კულევანება, არცა ნაოჭსზრმვილისა, არცა სხუა
„რა ესევითარი, არამედ რათა იყოს წმიდა და უბიწო.
ეფეს: 5. კვ, კზ.

ლოცვასა შინა ღმრთისა მამისა მიმართისა მო-
რწმუნეთათჳს ჰსთქუა იესო ქრისტემან სხუათა შო-
„რის: წმიდა ჰყვენ ესენი ჭეშმარიტებითა, რამეთუ
„სიტყუა შენი ჭეშმარიტ არს; და მათთჳს წმიდა

ვყოფ

,,ვყოფ თავსა ჩემსა, რათა იგინიცა იყვნენ წმინდა
,,ჭეშმარიტებითა. იოან: 17. ით.

კით. ვითარითა სახითა წმინდა არს ეკკლესიაჲ, ოდესცა არიან მას შინა მცოდველნიცა?

მიგ. მცოდველნი, გარნა განმწმენდელნი თავთა თჳსთანი ჭეშმარიტითა სინანულითა, არა დააბრკოლებენ ეკკლესიასა წმინდა ყოფად. ხოლო ცოდვილნი უნანელნი, ანუ ხილულითა მოქმედებითა ეკკლესიურისა ხელმწიფებისათა, ანუ უხილავითა მოქმედებითა მსჯავრისა ღმრთისათა, ვითარცა მკუდარნი წევრნი მოიკვეთებიან გუამისაგან ეკკლესიისა და ეგევითარითა სახითა ამით ვერმოჲთაცა დაცულ იქმნების იგი წმინდად.

,,მოსპეთ უკეთური იგი შორის თქვენსა.
ა კორ: 5. ჲგ.

,,ხოლო მტკიცე იგი საფუძველი ღმრთისა
,,ჰსდგის; და აქუს ბეჭედი ესე: იცნის უფალმან,
,,რომელნი იგი არიან მისნი და განეშორენ სიც-
,,რუისაგან ყოველი, რომელი სახელსდებდეს სა-
,,ხელსა უფლისასა. ბ ტიმ: 2. ით.

კით. რაჲსათჳს ეკკლესია იწოდების საკრე-ბულოდ, ანუ ეგრეთვე კათოლიკედ, ანუ მსოფ-ლიოდ?

მიგ. ამისთჳს, რომელ იგი არა შემოისაზ-ღვრების არა რომლითამე ადგილითა, არცა დროჲ-თა, არცა ერითა; არამედ შეიცავს თჳს შორის ჭეშმარიტთა მორწმუნეთა ყოველთა ადგილთა, დროთა და ერთასა.

მოციქული პავლე იტყჳს, ვითარმედ საზა-რება, ჰგიეს, ,,ყოველსა შინა სოფელსა, და არს ,,ნაყოფიერი და აღორძინებული. კოლ. 1. ე, ვ.

და ვითარმედ ეკკლესიასა შინა ქრისტიანებრივსა ,,არა არს წარმართ, და ჰურიაჲ, წინადაცვეთილება ,,და წინადაუცვეთელობა, ბარბაროს, სკჳთელ, ,,მონება, აზნაურება, არამედ ყოვლად ყოველსა ,,შინა ქრისტე. კოლას: 3. ია.

,,სარწმუნოებისაგანნი იგი იკურთხევიან მორ-,,წმუნისა მის აბრაამისა თანა. გალატ: 3: თ.

კით. ვითარი საჩინო უაღრესობა აქუს კათო-ლიკე ეკკლესიასა?

მიგ.

მიგ. მას განსაკუთრებით თჳსეყვიან მაღალნი აღთქმანი, რომელ ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერყვიან მას, რომელ უფალი დაადგრების მისთანა ვიდრე აღსასრულადმდე საუკუნოსა, რომელ მას შინა დაადგრების დიდება ღმრთისა, ქრისტე იესოს მიერ ყოველთა ნათესავთა შორის საუკუნოდ, და მაშასადამე იგი არცა ოდესმე შესაძლებელ-არს გარდასხდომად სარწმუნოებისაგან, არცა შეცოდებად ჭეშმარიტებასა შინა სარწმუნოებისასა, ანუ შთავრდომად ცთომილებასა შინა.

უეჭველად აღვიარებთ, ვითარცა მტკიცესა ჭეშმარიტებასა, რომელ კათოლიკე ეკკლესიასა არძალუძს შეცოდება, ანუ შეცთომა, და წარმოთქმა ტყუილისა ნაცვლად ჭეშმარიტებისა; რამეთუ სული წმიდა სამარადისოდ მოქმედი, სარწმუნოთა მსახურთა მამათა და მოძღუართა მიერ ეკკლესიისათა, ჰსცავს მას ყოვლისაგან ცთომილებისა. ეპისტ: აღმოს. პატრ: მართლმადიდ. სარწმუნ. წევრ. იბ.

ვით. უკეთუ კათოლიკე ეკკლესია შეიცავს

თჳს შორის ყოველთა ჭეშმარიტთა მორწმუნეთა სოფელსა შინა; მაშა არა ჯერარს აღვიაროთ მიუცილებელ საჭიროდ ცხოვნებისათჳს, რათამცა მორწმუნე მას ეკუთვნოდეს?

მიგ. ყოვლითურთ ეგრეთ. ვინაჲთგან იესო ქრისტე, წარმოთქმისამებრ პავლე მოციქულისა, არს თავი ეკკლესიისა, და იგი არს მაცხოვარი გუამისა; ამად რათამცა გუაქუნდეს მონაწილეობა ცხოვრებასა შინა მისსა მიუცილებელად საჭიროარს წევრად ყოფა გუამისა მისისა, ესე იგი კათოლიკე ეკკლესიისა. ეფეს: 5. 23.

მოციქული პეტრე დასწერს, ვითარმედ ნათლისღება გუაცხოვნებს ჩუენ სახედ ნოეს კიდობნისა. ყოველნი ცხონებულნი ყოვლისა სოფლის წარღუნისაგან, ცხონდნენ მხოლოდ კიდობანსა შინა ნოესსა; ეგრეთვე ყოველნი მომპოვებელნი საუკუნოჲსა ცხოვრებისანი, ჰპოებენ მას ერთსა კათოლიკე ეკკლესიასა შინა.

კით. ვითარისა ჰზრისა და მოგონებისა ჯერარს

შეერთებად

შეერთებად სახელისდებასა თანა აღმოსავლეთის ეკკლესიისასა?

მიგ. სამოთხესა შინა, აღმოსავლეთად დანერგილსა, აღშენებულ იქმნა პირველი ეკკლესია უცოდველთა პირველმშობელთა; და მუნვე, შემდგომად ცოდვით დაცემისა, დადებულ იქმნა ახალიცა საფუძველი ეკკლესიისა ცხოვნებულთა, აღთქმასა ზედა მაცხოვრისასა. აღმოსავლეთსა შინა, ქვეყანასა იუდიანთასა, უფალმან ჩვენმან იესო ქრისტემან, სრულ-ყო საქმე ცხოვრებისა ჩვენისა, და დასდვა დასაბამი საკუთრისა ქრისტიანეთა ეკკლესიისა თვისისა; მიერითგან განვრცელდა იგი ყოველსა სოფელსა, და ვიდრე აქამომდე მართლ-მადიდებელი კათოლიკე მსოფლიო სარწმუნოება, შვიდთა მსოფლიოთა კრებათა მიერ დამტკიცებული, პირველ-დაწესებულსა სიწმინდესა შინა თვისსა უცვალებელად დაცულ არს ძველთა ეკკლესიათა შინა აღმოსავლეთისათა, და ერთ-განმზრახთა შინა აღმოსავლეთისათანა, ვითარიცა არს მადლითა ღმრთისათა ყოვლისა როსსიის ეკკლესიაცა.

ვით.

კით. რაჲსათჳს იწოდების ეკკლესია სამო-
ციქულოდ?

მიგ. ამისთჳს, რომელ იგი მოუწყვეტელად და შეუცვალებელად იცავს მოციქულთაგან ჰსწავლასაცა და მემკჳდრეობასა სულისა წმიდისა ნიჭთასა, სამღვდელოსა ხელდასხმისა მიერ. ამავე გულისხმითა იწოდების ეკკლესია ეგრეთვე მართლმადიდებელად ანუ მართლმორწმუნედ.

,,არღარა ხართ უცხო და მწირ, არამედ თანა-
,,მოქალაქე წმინდათა და სახლეულ ღმრთისა, აღ-
,,შენებულ საფუძველსა ზედა მოციქულთასა და
,,წინასწარმეტყველთასა, რომლისა თავსაკიდურ-
,,თა მისთა არს თჳთ ქრისტე იესო.
ეფეს: 2. ით, კ.

კით. რასა გვასწავებს სიმბოლო სარწმუნოებისა, ოდესცა უწოდს, ეკკლესიასა სამოციქულოდ?

მიგ. გვასწავებს მტკიცედ პყრობასა ჰსწავლათა და მოძღვრებათა მოციქულთასა, და განშორებასა ეგევითარისა ჰსწავლისა და ეგევითართა

მოძღჳართაგან, რომელნიცა არა დაემტკიცებიან ჰსწავლასა ზედა მოციქულთასა.

მოციქული პავლე იტყვის: „ამიერითგან ძმა-„ნო მტკიცედ ჰსდევდით და შეიკრძალეთ მოძღჳრება „ესე, რომელიცა გისწავიეს, გინა სიტყვითა, „გინა წიგნითა ჩვენითა: თესალ. 2, იე.

„მწვალებელსა კაცსა შემდგომად ერთისა და „ორისა ჰსწავლისა განეშორე. ტიტ. 3. ი.

„რამეთუ არიან მრავალნი დაუმორჩილებელცა „და ამაოჲსა მეტყველ, და გონება მაცთურ, უფ-„როს ხოლოდა იგი წინადაცვეთილებისაგანნი, :,რომელთა ჯერარს პირსა დაყოფა, რომელნი „ყოველსა სახლებსა ვარდააქცევენ, ასწავებენ „რომელი იგი არა ჯერარს საძაგელისა შეძინე-„ბისათჳს. ტიტ. 1. ი, ია.

„ხოლო უკეთუ კრებულისაცა არა ისმინოს „ძმამან შენმან, იყავნ იგი შენდა, ვითარცა მე-„ზვერე და წარმართი. მატთ: 18. იზ.

კით. ვითარი წესდებულება არს ეკკლესიასა

შინა

შინა, რომელსა შინა დამარხულარს მემკვიდრეობა მოციქულებრივისა მსახურებისა?

მიგ. ეკკლესიური იერარხია, ანუ მღვდელ-მთავრობაჲ.

კით. ხადეთგან მოაქვს დასაბამი თვისი იერარხიასა ანუ მღვდელმთავრობასა ქრისტიანებრივისა მართლმადიდებელისა ეკკლესიისასა?

მიგ. თვთ იესო ქრისტესგან და მოსვლისაგან მოციქულთა ზედა სულისა წმიდისა და მისჟამითგან მოუწყვეტელად განიგრძობის შემდგომითისა ხელ-დასხმისა მიერ საიდუმლოსა შინა მღვდელობისასა.

,,და მან მოსცნა რომელნიმე მოციქულნი,
,,რომელნიმე წინასწარმეტყველნი, რომელნიმე
,,მახარებელნი, რომელნიმე მწყემსნი და მოძღვარ-
,,ნი, დასამტკიცებელად წმინდათა საქმედ მსახურე-
,,ბისა აღსაშენებელად გუამისა ქრისტესისა.

ეფეს: 4. ია, იბ.

კით. ვითარსამღვდელმთავრობასა ძალუძს განვრცომად თჳსისა მოქმედებისა ყოველსა კათოლიკე ეკკლესიასა ზედა?

მიგ.

მიგ. მსოფლიოისა კრებასა.

კით. რომელსა მღჳდელმთავრობასა ექუემდებარებიან უმთავრესნი ნაწილნი მსოფლიოისა ეკკლესიისანი ?

მიგ. მართლმადიდებელთა პატრიარხთა და უწმინდესსა სინოდსა.

კით. რომელსა მღჳდელმთავრობასა ექუემდებარებიან უმრწემესნი მართლმადიდებელნი სამყ-ლობელონი და ქალაქნი ?

მიგ. მიტროპოლიტთა, არხიეპისკოპოსთა და ეპისკოპოსთა.

კით. ვითარი ხარისხი უპყრიეს იერარხიასა შინა უწმინდესსა სინოდსა ?

მიგ. თანასწორი უწმინდესთა მართლმადიდებელთა პატრიარხთა თანა. იხილე: ღრამატ. დაწესებ. უწმინდ. სინოდის.

კით. რათამცა აღვასრულეთ ვალი ეკკლესიის მორჩილებისა, სადეთ შესაძლებელ არს ცნობად, თუ რასა ითხოვს იგი ძეთაგან თჳსთა ?

მიგ. ესე შესაძლო არს ცნობად საღმრთოჲსა

წერილი-

წერილისაგან, კანონთაგან წმინდათა მოციქულთასა, წმინდათა მსოფლიოთა და კერძოობითთა კრებათა და წმინდათა მამათა, და ეკკლესიურთა ტიბიკონთაგან.

## მეათისა წევრისათჳს.

კით. რაჲსათჳს სიმვოლოსა შინა სარწმუნოებისასა მოხსენებულარს ნათლისღებისათჳს?

მიგ. ამისთჳს, რომელ სარწმუნოება დაიბეჭდვის ნათლისღებითა და სხჳათა საიდუმლოთა მიერ.

კით. რაჲ არს საიდუმლო?

მიგ. საიდუმლო არს საღმრთო მოქმედება, რომლისა მიერ საიდუმლოობითისა სახითა ჰმოქმედებს კაცსა ზედა მადლი, ანუ თუ, რაჲცა იგივე არს, მაცხოვარებითი მადლი ღჳთისა.

კით. რავდენნი არიან საიდუმლონი?

მიგ. შჳდნი:

ა. ნათლისღება.

ბ. მირონცხება.

გ. ზიარება.

დ. სინანული.

ე. მღვდელობა.

ვ. ქორწინება.

ზ. ზეთისკურთხევა.

კით. რაითარი არს ძალი თვითოეულსა საიდუმლოთა ამათგანსა შინა?

მიგ. ა. ნათლისღებასა შინა, კაცი საიდუმლოობითად იშვების ცხოვრებასა შინა სულიერისა.

ბ. მირონცხებასა შინა მიიღებს ძალსა სულიერად აღმზრდელსა და განმამლიერებელსა.

გ. ზიარებასა შინა იზრდების სულიერად.

დ. სინანულსა შინა იკურნების სულიერთა სნეულებათაგან, ესე იგი ცოდვათაგან.

ე. მღვდელობასა შინა მიიღებს ძალსა, მეორედ შობად და აღზრდად სხუათა საშუალობითა სწავლისა და საიდუმლოთათა.

ვ. ქორწინებასა შინა მიიღებს ძალსა,

მეუღლე-

მეუღლეობისა განმწმედელსა და ბუნებითსა შო-ბასა და აღზრდასა შვილთასა.

ზ. ზეთისკურთხევასა შინა იკურნების ხორ-ციელთაცა სნეულებათაგან, საშუალობითა სუ-ლიერისა კურნებისათა.

კით. რაჲსათჳს უკჳე სიმვოლოსა შინა სა-რწმუნოებისასა არა ყოველთა ამათ საიდუმლოთა-თჳს მოხსენებულ არს, არამედ ერთისა ნათლის-ღებისათჳს?

მიგ. ამისთჳს, რომელ ნათლისღებისათჳს იყო იჭვნეულება ესე, ვითარმედ არა ჴერ არსა რომელთამე კაცთა, ვითარ იგი, მწვალებელთა მეორედ ნათლისღებად, და ამას ზედა საჭირო იყო განჩინებაჲ, რომელიცა დადებულ იქმნა სიმვო-ლოსა შინა.

## ნათლისღებისათჳს.

კით. რაჲ არს ნათლისღება?

მიგ. ნათლისღება არს საიდუმლო, რომელ-სა შინა მორწმუნე, ჟამსა სამგზის სხეულისა

შთაფლვითა

შთაყვინთვითა წყალსა შინა, მოწოდებითა ღმრთისა მამისა, და ძისა და სულისა წმიდისათა, მოჰკვდე-ბის ხორციელისა ცხოვრებისათჳს, ცოდვითისა, და მერმე იშვების სულისაგან წმიდისა ცხოვრე-ბასა შინა სულიერსა, წმიდასა.

,,უკეთუ ვინმე არა იშჳს წყლისაგან და სუ-,,ლისა, ვერ ხელეწიფების შესვლად სასუფეველ-,,სა ღმრთისასა. იოან: 3. ე.

ვით. ოდეს და ვითარ დაიწყო ნათლისღება?

მიგ. პირველად, ,,იოანე ნათლისცემდა ნა-,,თლისცემასა სინანულისასა ერსა, და ეტყოდა ,,მომავალისა მისთჳს შემდგომად მისა, რათა ჰრ-,,წმენეს, ესე იგი არს იესო ქრისტე. საქ. მოც, 19. დ. შემდგომად იესო ქრისტემან მაგალითითა თჳსითა განჰსწმიდა ნათლისღება, მიიღო რა იგი იოანესგან. უკანასკნელ, შემდგომად აღდგომისა თჳსისა მისცა მან მოციქულთა დღესასწაულობითი ბრძანება: ,,წარვედით და მოიმოწაფენით ყოველნი ,,წარმართნი, და ნათლისცემდით მათ სახელითა მამი-,,სათა, და ძისათა და სულისა წმიდისათა. მათ: 28. ით.

ვით.

კით. რაჲ არს თჳთ ჩინებული მღჳდელ მოქმედებასა შინა ნათლისღებისასა ?

მიგ. სამგზის შთაფლვაჲ წყალსა შინა სახე-ლითა მამისათა, და ძისათა და სულისა წმიდისათა.

კით. რაჲ მოითხოვების მისგან, რომელსა-ცა ჰსურს მიღება ნათლისღებისა ?

მიგ. სინანული და სარწმუნოება, რომლისა-თჳსცა წარიკითხვის პირველ ნათლისღებისა სიმ-ბოლო სარწმუნოებისა.

,,შეინანეთ და ნათელიღეთ კაცად კაცადმან სა
,,ხელითა უფლისა იესო ქრისტესითა მისატევე
,,ბელად ცოდვათა და მიიღოთ ნიჭი სულისა წმი-
,,დისა. საქ: მოც: 2. ლჱ.

,,რომელსა ჰრწმენეს და ნათელიღოს ჰსცხო-
,,ვდეს. მარკ: 16. ივ.

კით. ვითარ უკჳე ნათელსცემენ ყრმათა ?

მიგ. სარწმუნოებისაებრ მშობელთა და მიმქ-მელთასა, რომელნიცა მასთანავე ვალდებულ არიან ჰსწავლებად მათდა სარწმუნოებისა, ოდესცა მო-სრულ იქმნენ იგინი ჰსაკსა შინა.

კით. ვითარ შესაძლებელ არს დამტკიცებად საღმრთოჲსა წერილისაგან, ვითარმედ ჯერარს ნათლისღება ყრმათა ?

მიგ. ძუელისა აღთქმისა ჟამთა შინა წინადაცვეთა აღსრულებულ იქმნებოდა რვადღისა ყრმათა ზედა ; არამედ ნათლისღება ახალსა აღთქმასა შინა შემოღებულარს ნაცვლად წინადაცვეთისა; მაშასადამე ჯერარს ყრმათა ზედა ნათლის ღებისა აღსრულება .

კით. საიდგან სჩანს , რომელ ნათლისღება ნაცვლად წინადაცვეთისა შემოღებულ არს ?

მიგ. შემდგომთა სიტყუათაგან მოციქულისათა მოწმუნეთა მიმართ : ,,წინადაცვითეთ წინა-
,,დაცვეთითა მით ხელით უქმნელითა, განძარცვი-
,,თა მით გუამისა მის ხორცთა მათ ცოდჳათასა
,,წინადაცვეთითა ქრისტესითა, მისთანა დაეფლენით
,,ნათლისღებითა. კოლას: 2. ია, იბ.

კით. რაჲსათჳს იქმნებიან ჟამსა ნათლისღებისასა მიმქმელნი ?

მიგ. ამისთჳს, რათამცა თავსმდებ იქმნეს წინაშე

ეკკლესიისა

ეკკლესიისა სარწმუნოებისათჳს ნათელღებულისა , და შემდგომად ნათლისღებისა მიიღოს იგი თჳსსა მზრუნველობასა ქვეშე , განმტკიცებისათჳს მისისა სარწმუნოებასა ზედა. იხილე: დიონ. არეოპ. ეკკლ. იერარხ. თავი. ბ.

კით. რაჲსათჳს იქმნების ნათელღებულთა ზედა შეფუცებაჲ ?

მიგ. რამეთუმცა განდევნილ იქმნეს მისგან ეშმაკი, რომელმან დროჲთგან ადამისცოდვისა მიიღო კაცთადმი მიახლება, და რომელიმე ჴელმწიფებაჲ მათ ზედა , რეცა ტყუეთა და მონათა თჳსთა ზედა.

მოციქული პავლე იტყჳს, ვითარმედ ცოდვე-ლნი კაცნი გარეშე მადლისანი , ,,ვლენან მსგავ-
,,სად ჟამთა მათ ამის სოფლისათა , მთავრისა მი-
,,სებრ ჴელმწიფებისა ჰაერისა, სულისა, რომელი
,,იგი აწ იქმს ნაშობთა მათ შორის ურჩებისათა.
ეფეს: 2. ბ.

კით. რასა შინა იპყრობების მადლი შეფუცებისა ?

მიგ.

მიგ. სახელის შინა იესო ქრისტესსა, მოწოდებულის ლოცვითა და სარწმუნოებითა.

იესო ქრისტემან მოსცა მორწმუნეთა აღთქმა ესე: „სახელითა ჩემითა ეშმაკთა განასხმიდენ. მარკ. 16. იზ.

კით. ვითარი ძალი აქუს ამას და სხუათაცა შემთხვევათა შინა ხმარებულსა ნიშსა ჯუარისასა?

მიგ. რაჟამცა სახელი ჯუარცმულისა იესო ქრისტესი სარწმუნოებით წარმოთქმული მოძრაობითა ბაგისათა: თვით იგივე არს ნიშიცა ჯუარისა, სარწმუნოებითა ქმნული მოძრაობითა ხელისათა, ანუ სხვითა რაჲთამე სახითა წარმოდგენილი.

დაჰსწერს კირილე იერუსალიმელი: ნუ გრცხუენინ აღსარებაჲ ჯუარცმულისა, კადნიერებით გამოვიხატვიდეთ, ჴელითა ნიშსა ჯუარისასა შუბლსა ზედა და ყოველთა ზედა; პურსა ზედა, რომელსაცა ვჰსჭამთ; სასმისთა ზედა, რომლისაგანაც ვსვამთ, გამოვიხატვიდეთ მას შესვლათა და გამოსვლათა შინა, რაჟამს დავსწვებოდეთ ძილად

და

და აღვსდგებოდეთ; რაჟამს ვიმყოფებოდეთ გზასა შინა და განვისვენებდეთ. დიდი მცველი არს იგი, გლახაკთა ნიჭად მოცემული, და უძლურთა უშრომელი, რამეთუ ესე არს მადლი ღმრთისა: სასწაული მორწმუნეთათვს, და შიში ბოროტთა სულთათვს. საკათ. ჰსწავ. 13. ლვ

კით. სადეთგან აქუს დასაბამი ხმარებისა ნიშისა ჯუარისასა?

მიგ. თჳთ დროჲთგან მოციქულთათ. იხილ. დიონ: არეოპ. ეკკლ. იერარხ. თავ. ბ და ე.

კით. რასა ნიშნავს თეთრი სამოსელი, რომელსაცა შთააცმევენ შემდგომ ნათლისღებისა?

მიგ. სიწმიდესა სულისასა და ცხოვრებასა ქრისტიანებრსა.

კით. რასათვს დამოეკიდების ჯუარი ნათელღებულსა?

მიგ. ხილვით წარმოდგენისა და სამარადისოსა ხსოვნისათვს ქრისტეს მცნებისა ამის: „რო-„მელსა ჰნებავს შემოდგომად ჩემდა, უარ ჰყავნ

„თავი

„თავი თჳსი, და აღიღენ ჯუარი თჳსი და შემო-
„მიდეგინ მე. მატთ: 16. კდ.

კით. რასა ნიშნავს სლვა ნათელღებულისა გარემო ემბაზისა, სამთლითურით?

მიგ. სულიერსა სიხარულსა, შეერთებულსა სულიერისა განათლებისა თანა.

კით. ვითარ ვიგულისხმოთ იგი, რომელი, სიმბოლოსა შინა სარწმუნოებისასა გვებრძანების აღსარება ერთისა ნათლისღებისა?

მიგ. ესე საცნაური არს ესრეთ გულხმებად, რომელ ნათლისღება არა განიმეორების.

კით. რაჲსათჳს ნათლისღება არა განიმეორების?

მიგ. ნათლისღება არს სულიერი შობაჲ; ხოლო იშჳების კაცი ერთგზის, ამისთჳს ნათელსიღებს ერთგზისცა.

კით. რასა ვგონებდეთ მათთჳს, რომელნიცა ჰსცოდვენ შემდგომად ნათლისღებისა?

მიგ. იგინი უბრალოებულეს არიან ცოდვათა შინა თჳსთა, ვიდრეღა არა ნათელღებულნი თჳსთა

ცოდვათა

ცოდჳათა შინა; ამისთჳს რომელი აქჳნდათ ღჳთისა-
გან განსხჳავებითი შეწევნა კეთილისადმი, და შე-
ურაცხჰყჳს იგი.

,,რამეთუ რომელნი იგი განერნეს შეგინება-
,,თაგან ამის სოფლისათა, მეცნიერებითა უფლისა
,,და მაცხოვრისა ჩუენისა იესო ქრისტესითა, მათ-
,,ვე კუალად აღირინეს დაიძლინეს, ექმნა მათ
,,უკანასკნელი იგი უძჳრეს პირუელისა.
ბ პეტ. 2. კ.

კით. არამედ შემცოდებელთათჳს შემდგომად ნათლისღებისა არა არსა ღონისძიება მიღებად ცოდჳათა მოტევებისა?

მიგ. არს. სინანული.

## მ ი რ ო ნ ც ხ ე ბ ი ს ა თ ჳ ს.

კით. რაჲ არს მირონცხებაჲ?

მიგ. მირონცხება არს საიდუმლოჲ, რომელსა შინა მორწმუნესა ჟამსა ცხებისასა კურთხეულითა მირონითა კერძოთა სხეულისათა, სახელითა სულისა წმიდისათა მიეცემიან ნიჭნი სულისა

წმიდისანი

წმიდისანი, აღმაორძინებელნი და განმამძლიერებელნი სულიერისა ცხოვრებისანი.

კით. ითქმისა საიდუმლოსა ამისთჳს საღმრთოსა წერილსა შინა ?

მიგ. შინაგანისა მოქმედებისათჳს საიდუმლოისა ამის მოციქული იოანე იტყჳს შემდგომითა ამით სახითა: ,,თქუენცა ცხებულება გა-
,,ქუსთ წმიდისა მისგან და იცით ყოველივე, და
,,თქუენცა ცხებულება იგი, რომელი მიიღეთ
,,მისგან თქუენთანა ჰგიეს, და არა გიხმს ვითარმცა
,,ვინ გასწავა თქუენ, არამედ ვითა იგივე ცხებუ-
,,ლება გასწავებს თქუენ ყოვლისათჳს და ჭეშმა-
,,რიტ არს და არა არს ტყუილ, და ვითარცა იგი
,,გასწავა თქუენ ეგებით მას ზედა. ა იოან: 2. კ, კზ.

მსგავსითა სახითა იტყჳს მოციქული პავლეცა:
,,განმამტკიცნა ჩუენ თქუენთანა, ქრისტეს მიმართ
,,და ცხებულ გუყვნა ჩუენ ღმერთმან; და აღგუ-
,,ბეჭდნა ჩუენ და მომცა წინდი იგი სულისა გუ-
,,ლთა შინა ჩუენთა. ბ კორ. 1. კა, კბ.

აქედგან მოღებულ არიან სიტყუანიცა ესე

წარმოსა-

წარმოსათქმელნი ყამსა მირონცხებისასა: ბეჭედი მონიჭებულ-არს სულისა მიერ წმიდისა.

კით. გარეგანისა მოქმედებისათვს მირონცხებისა მოხსენებულ-არსა საღმრთოსა წერილსა შინა?

მიგ. შესაძლო არს ვგონებდეთ, რომელ სატყუარნი მოციქულისა იოანესნი განეკუთვნიან ხილულსაცა ცხებასა: არამედ უმეტეს უწყებულ-არს, რომელ მოციქულნი ნათელღებულთა ზიარ-ყოფისათვს სულისა წმიდისა ნიჭთასა, ხმარობდნენ „ხელდასხმასა.“ იხილ. საქ. მოც, 50. იდ, იზ. ხოლო მოადგილეთა მოციქულთაჲსა ნაცულად მისა იწყეს ხმარება მირონცხებისა, რომლისა მაგალითად ხმევა შესაძლებელ იყო ცხებაჲ, ხმარებული დროთა შინა ძველისა აღქმისათა, იხილ. გამოს. 30. კე, გ მეფ. 1 ლთ. დიონ. არეოპაგ: ეკკლ: იერარხ. თავ: დ.

კით. რაჲ სათანადო-არს შენიშვნად წმიდისათვს მირონისა?

მიგ. იგი, რომელ კურთხევა მისი მინდობილ არს უმაღლესთა მღუდელმთავართა ზედა,

 ვითარცა

ვითარცა მონაცვალეთა მოციქულთასა, რომელ-ნიცა თჳთ აღასრულებდენ ხელდასხმასა სულისა წმიდისა ნიჭთა მიცემისათჳს.

კით. რასა ნიშნავს განსაკუთრებით შუბლისა ცხება?

მიგ. განწმედასა გონებისა, ანუ ჰზრთასა.

კით. ცხება მკერდისა?

მიგ. განწმედასა გულისა, ანუ გულის თქ-მათასა.

კით. ცხება თუალთა, ყურთა და ბაგეთა?

მიგ. განწმედასა საგრძნობელთასა

კით. ცხება ხელთა და ფერხთა?

მიგ. განწმედასა საქმეთა და ყოვლისა ქცე-ვისა ქრისტიანისასა.

## ზიარებისათჳს.

კით. რაჲ არს ზიარება?

მიგ. ზიარება არს საიდუმლო, რომელსაცა შინა მორწმუნე, სახითა პურისა და ღჳნისათა მიიღებს

ჭეშმარიტსა

ჭეშმარიტსა ხორცსა და სისხლსა ქრისტესსა, საუკუნოჲსა ცხოვრებისათჳს.

კით. ვითარ დაწესებულ-არს საიდუმლო ესე?

მიგ. იესო ქრისტემან თჳთ პირველ ვნებისა თჳსისა ერთგზის აღასრულა იგი, და წინათვე წარმოაჩინა მას შინა ცხოვლად გამოხატულჲ მაცხოვარებითთა ვნებათა თჳსთა, და აზიარნა რა მოციქულნი, მასვე ჟამსა მისცა მათ მცნებაჲ საიდუმლოჲსა ამის მარადის აღსრულებად.

კით. რაჲ სათანადო არს შენიშვნად საიდუმლოსათჳს ზიარებისა შესახებელად ქრისტიანებრივისა ღჳთისმსახურებისა?

მიგ. იგი, რომელ საიდუმლო ესე შეადგენს უპირველესსა და არსებითსა ნაწილსა ქრისტიანებრივისა ღჳთის-მსახურებისასა.

კით. ვითარ იწოდების ღჳთისმსახურება იგი, რომელსა შინა აღესრულების საიდუმლო ზიარებისა?

მიგ. ლიტურგიად.

კით. რასა ნიშნავს ლექსი ესე: ლიტურგია?

მიგ.

მიგ. ზოგადსა მსახურებასა, ანუ წირვასა. არამედ განსაკუთრებით სახელი ლიტურღიისა განთჳსებულ-არს ღმრთისმსახურებისადმი, რომელსა შინა აღესრულების საიდუმლო ზიარებისა.

კით. რაჲ ჯერარს შენიშვნად ადგილისათჳს, სადაცა აღესრულების ლიტურღია?

მიგ. მისი ჯერარს მიუცილებელად აღსრულება ტაძარსა შინა, რომლისაცა ტრაპეზი, ანუ ნაცულად ტრაპეზისა, ოდიკი, რომელსა ზედა აღსრულდების საიდუმლო, ჯერარს, რათა კურთხეულიყოს მღვდელ-მთავრისა მიერ.

კით. რაჲსათჳს ტაძარი იწოდების ეკკლესიად?

მიგ. ამისთჳს, რომელ მას შინა ლოცვისა და საიდუმლოთათჳს შეკრბებიან მორწმუნენი, რომელნიცა შეადგენენ ეკკლესიასა?

კით. რაჲსათჳს ტრაპეზი, რომელსა ზედაცა აღესრულების საიდუმლო ზიარებისა, იწოდების საყდრად?

მიგ. ამისთჳს, რომელ მას ზედა იესო ქრისტე, ვითარცა მეფე, თანამყოფობს საიდუმლოდ.

კით. ვითარი შესაძლო არს შენიშვნად ლიტურღიასა შინა უპირველესი წესი?

მიგ. იგი, რომელ პირველად მომზადდებიან ნივთნი საიდუმლოსათვს; მერმე მორწმუნენი განემზადებიან საიდუმლოსა მიმართ; უკანასკნელ აღესრულების თვთ საიდუმლოჲ.

კით. ვითარ იწოდების ნაწილი იგი ლიტურღიისა, რომელსა შინა მომზადდების ნივთი საიდუმლოსათვს?

მიგ. პროსკომიდიად.

კით. რასა ნიშნავს ლექსი: პროსკომიდია?

მიგ. შესაწირავს.

კით. რაჲსათვს ესრედ იწოდების პირველი ნაწილი ლიტურღიისა?

მიგ. იგი ესრედ იწოდების ჩვეულებისაგამო ძველთა ქრისტიანეთა შეწირვისა ეკკლესიასა შინა პურისა და ღვინისა, აღსასრულებელად საიდუმლოჲსა. მითვე მიზეზითა პურიცა ესე იწოდების პროსფორად (ანუ სეფისკვერად), რომელი ნიშნავს შესაწირავს.

კით. რასა შინა მდგომარებს პროსკომიდია, ვითარცა ნაწილი ლიტურღიისა?

მიგ. მოხსენებითა წინასწარმეტყუელებათა და მოსწავებათათა, და თჳთ საქმეთაცა თჳსსაყოფელთა შობისა და ვნებათაჲმი იესო ქრისტესთა, სეფისკვერისაგან აღმოიღების ნაწილი, სახმარი საიდუმლოს აღსრულებისათჳს, და ეგრეთვე სახმარი ნაწილი ღვინისა, შეერთებული წყლისათანა, განკერძოებულ-იქმნების სამღვდელოსა ჭურჭელსა შინა, რომლისათანა მღვდელმოქმედი მოიხსენებს ყოველსა ეკკლესიასა, აღიღებს წმიდათა დიდებულითა, ილოცავს ცოცხალთა და გარდაცვალებულთათჳს, განსაკუთრებით კელმწიფებისა მქონებელთათჳს, და მათთჳს, რომელთაცა სარწმუნოებით და გულსმოდგინებით შემოუწირავსთ სეფისკვერნი, ანუ შესაწირავნი.

კით. ვითარ ჯერარს, ყოფად პური საიდუმლოჲსათჳს?

მიგ. ეგევითარი, ვითარსაცა მოითხოვს თჳთ სახელი პურისა, სიწმინდე საიდუმლოჲსა და მაგალითი

იესო ქრისტესი და მოციქულთა, ესე იგი, პური ცომოვანი, წმინდა, ხვარბლისა.

კით. რაჲ დაინიშნების მით, რომელ საკუთრად ერთი ოდენ პური იხმარების ზიარებისათჳს?

მიგ. ამით დაინიშნების, განმარტებისა ებრ მოციქულისა, ესე, რომელ „ერთ პურ და ერთ „ხორც ჩვენ მრავალნი ესე ვართ; რამეთუ ყო„ველთა ერთისა მისგან პურისა მოგჳაქჳს.
ა კორ. 10. იზ.

კით. რაჲსათჳს პური განმზადებული ზიარებისათჳს იწოდების ტარიგად?

მიგ. ამისთჳს, რომელ იგი წარმოადგენს თჳს შორის სახესა ვნებულისა იესო ქრისტესსა, ეგსახედ, ვითარიგი ძველსა აღთქმასა შინა წარმოადგენდა მას ტარიგი პასექისა.

კით. რაჲ არს ტარიგი პასექისა?

მიგ. ტარიგი, რომელსაცა ისრაელნი, ბრძანებისამებრ ღმრთისა, დაჰკლვიდეს და ჰსჭამდეს, მოსახსენებელად გამოხსნისა ეგვიპტესა შინა წარწყმედისაგან.

კით.

კით. რაჲსათჳს ღჳნო საიდუმლოსა ზიარე-ბისათჳს შეიერთების წყლისა თანა ?

მიგ. ამისთჳს, რომელ ყოველი ესე მღ-დელთ-მოქმედება დაწყობილ-არს სახედ ქრისტეს ვნებისა, და ჟამსა ვნებისა მისისასა ნაგმერისა გვე-რდისა მისისაგან გარდამოხდა სისხლი და წყალი.

კით. ვითარ იწოდების ნაწილი იგი ლიტუ-რღიისა, რომელსა შინა მორწმუნენი განემზადე-ბიან საიდუმლოსადმი ?

მიგ. ძველნი უწოდდენ მას ლიტურღიად კა-თაკმეველთად, ამისთჳს, რომელ სმენად მისსა, გარდა ნათელღებულთა და ზიარებად ტევებულთა, ტევებულ იქმნებიან კათაკმეველნიცა, ესე იგი, ნათლისღებად განმზადებულნი, ეგრეთვე მონანუ-ლნიცა, არა ტევებულნი ზიარებად.

კით. რაჲთ დაიწყების ნაწილი ესე ლიტუ-რღიისა ?

მიგ. კურთხევითა ანუ დიდებითა მეუფებისა წმინდისა სამებისათა ?

კით.

კით. რაჲსაგან შედგენილ-არს ნაწილი ესე ლიტურღიისა ?

მიგ. ლოცვათაგან, გალობათა, წიგნთა კითხვათა სამოციქულოთა და სახარებისათა.

კით. რით დაესრულების იგი ?

მიგ. ბრძანებითა კათაკმეველთა მიმართ ეკკლესიისაგან განსვლად.

კით. ვითარ იწოდების ნაწილი იგი ლიტურღიისა, რომელსა შინა აღესრულების თვით საიდუმლო ზიარებისა ?

მიგ. ლიტურღიად მორწმუნეთა, ამისთვს რომელ მხოლოდ მორწმუნეთა, ესე იგი, ნათელღებულთა აქვსთ ნება ლოცვისმსახურებასა ამას შინა ყოფად.

კით. რომელი არს უწარჩინებულესი მოქმედება ლიტურღიის ნაწილსა ამას შინა ?

მიგ. წარმოთქმა სიტყვათა მათ, რომელნიცა ჰსთქვნა იესო ქრისტემან ჟამსა საიდუმლოსა ამის დაწესებისასა : ,,მიიღეთ და ჰსჭამეთ, ესე არს ,,ხორცი ჩემი : სვით ამისგან ყოველთა, ესე არს

 ,,სისხლი

,,სისხლი ჩემი, ახლისა აღთქმისა. (მათ. 26. კვ, კჱ.) და შემდგომად გარდამოწევვა სულისა წმიდისა, და კურთხევა შესაწირავთა, ესე იგი, შეწირულისა პურისა და ღვინისა.

კით. რაჲსთჳს უწარჩინებულეს არს ესე?

მიგ. ამისთჳს, რომელ თჳთ ჟამსა ამის მოქმედებისასა პური და ღვინო შეიცვალებიან, ანუ გარდაიარსებიან, ჭეშმარიტ ხორცად ქრისტესა და ჭეშმარიტ სისხლად ქრისტესა.

კით. ვითარ ჰჯერის გულისხმისყოფად სიტყვა ესე: შეცვალება?

მიგ. წარმოჩინებასა შინა სარწმუნოებისასა აღმოსავლეთის პატრიარხთასა თქმულ არს, ვითარმედ სიტყვითა ამით გარდაარსება, არა განიმარტების სახე, რომლითაცა პური და ღვინო შეიცვალებიან ხორცად და სისხლად უფლისად. რამეთუ ამისა მიწთომა არავის ძალუძს თჳნიერ ღმრთისა; არამედ იჩვენების მხოლოდ იგი, რომელ ჭეშმარიტებით, თჳთ საქმით და არსებით პური იქმნების

თჳთ

თჳთ ჭეშმარიტ ხორცად უფლისად, და ღვინო თჳთ სისხლად უფლისად.

მსგავსად ამისა დაჰსწერს იოანე დამასკელი წმინდათა და ცოველად-წმინდათა საიდუმლოთა თჳს უფლისათა: ხორცი არს ჭეშმარიტად შეერთებული ღმრთაებისათანა, რომელმანცა წმინდისა ქალწულისაგან მიიღო დაწყებაჲ, არა ვითარცა ამაღლებული ხორცი ზეცით გარდამოვალს; არამედ, რამეთუ თჳთ პური და ღვინო შეიცვალებიან ხორცად და სისხლად უფლისად. ხოლო უკეთუ სახესა ეძიებ, თუ ვითარ იქმნების ესე, საკმაო არს შენდა სმენად, ვითარმედ სულითა წმიდითა: ეგსახედ და ღმრთის-მშობლისაგან თავისა თჳსისათჳს და თჳთი თავსა შორის თჳსსა შეადგინა უფალმან ხორცი; არცა უმეტესი რაჲმე ვუწყით, არამედ ოდენ იგი ვითარმედ ღმრთისა სიტყვა არს ჭეშმარიტ, ნამდვილი და ცოველად-ძლიერ, ხოლო სახე გამოუკვლეველი. წიგ. 4. თავ. 14. მუხ. ზ.

ვით. რაჲ მოითხოვების თჳთოეულისაგან

განსაკუთრებით , რომელსა სურს მიახლება საიდუმლოსა მიმართ ზიარებისა ?

მიგ. იგი თანამდებ არს გამოძიებად წინაშე ღუთისა სინიდისისა თჳსისა, და განწმედად მისა ცოდვათაგან, სინანულითა რომლისა მიმართ მწე-ეყოფიან მარხვა და ლოცვა.

„გამოცადენ კაცმან თავი თჳსი , და ესრეთ
„პურისა მისგანი ჰსჭამენ და სასმელისა მისგანი
„ჰსუან , ხოლო რომელი არა ღირსად ჰსჭამდეს
„და სუმიდეს , დასასჯელად თავისა თჳსისა ჰსჭამს
„და ჰსუამს , რამეთუ არა გამოიკითხნა ხორცნი
„უფლისანი. კორი: 11. კჱ, კთ.

კით. კითარსა სარგებლობასა მიიღებს იგი , რომელიცა ეზიარების ხორცსა და სისხლსა ქრისტესსა ?

მიგ. იგი უმახლობელესითა სახითა შეერთ-დების თჳთ იესო ქრისტესთანა და მისთანა ზიარ იქმნების საუკუნოებისა ცხოვრებისა.

„რომელი ჰსჭამდეს ხორცსა ჩემსა, და სმიდეს
„სისხლსა

,,სისხლსა ჩემსა, იგი ჩემთანა დადგრომილ-არს ,,და მე მისთანა. იოან. 6. ნვ.

,,რომელი ჰსჭამდეს ხორცსა ჩემსა და სმიდეს ,,სისხლსა ჩემსა, აქუნდეს ცხოვრება საუკუნო. ნდ.

კით. ხშირადრე სათანადო არსა ზიარებად წმინდათა საიდუმლოთა ?

მიგ. მველნი ქრისტიანენი ეზიარებოდენ თჳთოეულსა კჳრიაკისა დღესა შინა; არამედ აწინდელთაგანთა არა მრავალთა აქუსთ ეგევითარი სიწმიდე ცხოვრებისა, რათამცა მარადის განმზადებულ-იყვნენ მიახლებად ეგოდენ დიდისა საიდუმლოსა მიმართ. ეკკლესია დედობრივითა ხმითა გვამცნებს აღსარებად წინაშე სულიერისა მამისა, და ზიარებად ხორცსა და სისხლსა ქრისტესსა, გულისმოდგინეთა კრძალულისა ცხოვრებისათა, ოთხგზის წელიწადსა შინა, ანუ ყოველსა თჳსა, ხოლო ზოგად ყოველთა მიუცილებელად ერთგზის წელიწადსა შინა. იხილ. მართლმ. აღსარ. ნაწ. 1. კით. 90.

კით. ვითარი მონაწილეობა ექმნებისთ საიდუმლოსა

ლიტურ-

ლიტურღიასა შინა მათ, რომელნიცა მხოლოდ ისმინენ მას, და არა მიეახლებიან წმიდასა ზიარე-ბასა ?

მიგ. მათ მალოყმსთ და თანაამსთ მონაწილეო-ბად ლიტურღიასა შინა ლოცვითა, სარწმუნოებით, და უმეტეს დაუცხრომელითა მოხსენებითა უფლი-სა ჩვენისა იესო ქრისტესითა, რომელმანცა სა-ხელდებით ჰბრძანა, ესე ქმნად მოსახსენებელად მისა. ლუკ. 22. ით.

კით. ვითარი მოხსენება ეშესაბამების ჟამსა მას ლიტურღიისასა, ოდესცა იქმნების შესვლაჲ სახარებით ?

მიგ. მოხსენება იესო ქრისტესი, გამოჩე-ნილისა ქადაგებად სახარებისა, და ამისთვს ჟამსაცა სახარების წარკითხვისასა ჯერარს ქონებად ეგე-ვითარისა ყურადღებისა და კრძალულებისა, ვი-თარმცა თუ ვხედვიდით ჩვენ და ვისმენდით თვთ იესო ქრისტესსა.

კით. რაჲ ჯერარს მოხსენებად ჟამსა მას ლიტურ-

ლიტურღიისასა, ოდესცა იქმნების შესვლა განმზადებულითა ძღვნითა საკურთხეველსა შინა ?

მიგ. ჯერარს მოხსენებად ნებსით ვნებად მოსვლაჲ იესო ქრისტესი, ვითარცა მსხვერპლისა დაკჳლად მიგურილისა, შორის მისა თუ ვითარ ათორმეტნი გუნდნი ანგელოსთანი მზა იყვნენ დაცჳად მისა, ვითარცა მეუფისა თჳსისა.

მეუფე მეუფეთა და უფალი უფლებათა შემოვალს დაკლვად. გალობ. ლიტურღ. დიდსა შაბათს.

კით. რაჲ ჯერ-არს მოხსენებად თჳთ ჟამსა საიდუმლოსა აღსრულებისასა, და ჟამსა სამღჳდელო მსახურითა ზიარებისასა საკურთხეველსა შინა ?

მიგ. საიდუმლო სერობაჲ თჳთ იესო ქრისტესი მოციქულითა თანა, ვნება, სიკჳდილი და დაფლვა მისი .

კით. რაჲ წარმოიდგინების შემდგომად ამისა გარდასხდითა კრეტსაბმელისათა, განღებითა სამეუფოთა კართათა და გამოჩენითა წმინდათა ძღვენთათა ?

მიგ. გამოცხადებაჲ თჳთ იესო ქრისტესი შემდგომად აღდგომისა.

კით.

კით. რაჲ გამოიხატვის უკანასკნელითა გამოჩინებითა წმინდათა მღვდელთათა ერისადმი, შემდგომად რომლისაცა დაიფარვიან იგინი?

მიგ. ამაღლება იესო ქრისტესი ზეცად.

კით. მარადის განგრძობილი იქმნებისა ხმარება საიდუმლოჲსა წმიდისა ზიარებისა ჭეშმარიტსა ეკკლესიასა შინა ქრისტიანეთასა?

მიგ. მიუცილებელად მარადის განგრძობილ იქმნების ვიდრე ქრისტეს მოსვლადმდე, სიტყვისამებრ პავლე მოციქულისა: „რავდენ გზისცა ჰს-
„ჭამდეთ პურსა ამას, და სუმიდეთ სასმელსა ამას,
„სიკუდილსა უფლისასა მიუთხრობდით ვიდრემ-
„დის მოვიდეს. ა კორ. 11. კვ.

## სინანულისათჳს.

კით. რაჲ არს სინანული?

მიგ. სინანული არს საიდუმლო, რომელსა შინა აღმსარებელი ცოდვათა თჳსთა, ჟამსა ხილულისა მღჳდლისაგან მიტევებისასა, უხილავად განიკურნების ცოდვათაგან თჳთ იესო ქრისტეს მიერ.

კით.

კით. სადეთგან მოაქუს დაწყება საიდუმლო-
სა ამას?

მიგ. მომავალნი იოანე ნათლისმცემელისად-
მი, რომელიცა „ჰქადაგებდა ნათლისცემასა სინა-
„ნულისასა მისატევებელად ცოდვათა, აღუარებდეს
„ცოდჳათა თჳსთა. მარკ. 1. დ, ე. იესო ქრისტემან
აღუთქჳა მოციქულთა ხელმწიფება ცოდვათა მი-
ტევებისა, ოდესცა ჰრქჳა: „რაოდენნი შეკრათ
„ქვეყანასა ზედა კრულ იყოს იგი ცათა შინა, და
„რაოდენნი განხსნათ ქვეყანასა ზედა ხსნილ იყოს
„იგი ცათა შინა. მათ. 18. იჱ. და შემდგომად
აღდგომისა თჳსისა ნამდვილ მისცა მათ ხელმწი-
ფება ესე, ოდესცა ჰრქჳა: „მიიღეთ სული წმიდა:
„უკეთუ ვიეთნიმე მიუტევნეთ ცოდვანი, მიეტე-
„ვნენ მათ: და უკეთუ ვიეთნიმე შეიპყრნეთ, შე-
„პყრობილ იყვნენ. იოან. კ. კბ, კგ.

კით. რაჲ მოითხოვების მონანულისაგან?

მიგ. შემუსრვილება ცოდჳათათჳს, განზრახ-
ჳა თჳსისა ცხოვრების განმართვისა, სარწმუნოება

ქრისტეს მიმართი და სასოება მოწყალებასა ზედა მისსა.

,,რამეთუ ღმრთისა მიერი იგი მწუხარება, სი-
,,ნანულისა ცხოვრებისასა შეუნანებელსა შეიქმს.
ბ კორ. 7. ი.

,,და უკეთუ მოაქციოს ცოდვილმან უსჯუ-
,,ლოებისაგან თჳსისა და ქმნას მსჯავრი და სიმა-
,,რთლე, მათ შინა ცხოვნდეს იგი. ეზეკ. 33. ით.

,,ამას,,, ესე იგი, იესო ქრისტესა, ,,ყოვე-
,,ლნი წინასწარმეტყველნი ეწამებიან მოტევებასა
,,ცოდვათასა მოღებად სახელითა მისითა, ყოვე-
,,ლითა, რომელთა რწმენეს მისა მიმართ.
საქ. მოც. 10. მგ.

კით. არა არიანა კუალად განსამზადებელნი და შესაწევნელნი ღონენი სინანულისა მიმართ?

მოგ. ესე ვითარნი ღონენი არიან მარხვა და ლოცვა.

კით. არა ხმარობს წმინდა ეკკლესია კუალად საკუთარსა ღონის-ძიებასა განსაწმენდელად და დასაგებელად სინიდისისა ცოდვილის მონანულისასა?

მოგ.

მიგ. ეგევითარი ღონისძიებაჲ არს საკანონოჲ?

კით. რაჲ არს საკანონოჲ?

მიგ. სიტყუაჲ ესე ნიშნავს აღკრძალვასა. იხილ. ბ კორ. 2. კ. სახელისდებითა ამით, მიხედვისა მებრ საჭიროებისა წარეწერებიან მონანულსა რომელნიმე განსაკუთრებულნი კეთილმსახურებისა შრომანი და რომელნიმე განყენებანი, სახმარნი ცოდვის უსამართლოებათა აღსახოცველად და სამლეველად მცოდველობითისა ჩვეულებისა, ვითარ იგი, მაგალითებრ: მარხჳა, გარდა ყოველთათჳს დადებულისა, ხოლო მძიმეთა ცოდჳათა წილ განყენება წმინდისა ზიარებისაგან განსაზღვრებულსა ჟამსა.

## მ ღ ჳ დ ე ლ ო ბ ი ს ა თ ჳ ს.

კით. რაჲ არს მღჳდელობა?

მიგ. მღჳდელობა არს საიდუმლო, რომელსა შინა სული წმინდა კანონიერად გამორჩეულსა, ხელდასხმითა მღჳდელთ-მთავრისათა, დაადგინებს აღსრულებად საიდუმლოთა და მწყსად ქრისტეს სამწყსოსა,

,,ესრეთ

,,ესრეთ შემრაცხენინ ჩუენ კაცმან, ვითარცა ,,მსახურნი ქრისტესნი, და მნენი საიდუმლოთა ,,ღმრთისათანი. ა კორ. 4. ა.

,,ეკრძალენით უკუე თავთა თქუენთა და ყოველ-,,სავე სამწყსოსა, რომელსა ეგე თქუენ სულმან ,,წმიდამან დაგადგინნა მოღუაწედ დამწყსად ეკკლე-,,სიასა უფლისა ღმრთისასა, რომელი მოიგო სი-,,სხლითა თჳსითა. საქმ: მოციქ. 20. კჱ.

კით. რასა ნიშნავს მწყსა ეკკლესიისა ?

მიგ. მოძღჳრებასა ერთასა სარწმუნოებასა, კეთილმსახურებასა და კეთილთა საქმეთა ზედა.

კით. რავდენნი არიან მიუცილებელნი ხარი-სხნი მღდელობისანი ?

მიგ. სამნი : ,,ეპისკოპოსი, მღდელი და ,,დიაკონი.

კით. რაჲმე არს მათ შინა განსხვაებაჲ ?

მიგ. დიაკონი მსახურებს ჟამსა საიდუმლო-თასა; მღუდელი აღასრულებს საიდუმლოთა, და-მოკიდებულობითა ეპისკოპოსისათა: ეპისკოპო-სი არა თუ ოდენ აღასრულებს საიდუმლოთა,

არამედ

არამედ აქჳს კელმწიფებაჲ სხჳათაცა ზედა ხელდასხმით გარდაცემად ნიჭსა მადლისასა აღსასრულებელად მათდა.

ეპისკოპოსისა ხელმწიფებისათვს ჰსწერს მოციქული პავლე ტიტეს: ,,ამისთვს დაგიტევე შენ ,,კრიტს შინა, რათა ნაკლული იგი განაგო, და ,,დაადგინნე ქალაქად ქალაქად ხუცესნი.
ტიმო. 1. ე.

და ტიმოთეს მიმართ: ,,ხელთა ადრე ნუვის ,,დასხამ. ა. ტიმ. 5. კბ.

## ქ ო რ წ ი ნ ე ბ ი ს ა თ ვ ს

კით. რაჲმე არს ქორწინება?

მიგ. ქორწინება არს საიდუმლოჲ, რომელსა შინა თავის უფალსა აღთქმასათანა წინაშე მღჳდლისა და ეკკლესიისა სიძისა და სძლისაგან ურთიერთისა სარწმუნო მეუღლეობისასა იკურთხევის მეუღლეობითი კავშირი მათი, სახედ სულიერისა კავშირისა ქრისტეს ეკკლესიისათანა, და მოითხოვებს, მათთვს მადლი წმიდისა ერთსულობისა,

კურთხე-

კურთხევითისა შობისა და ქრისტიანებრივისა შვი-ლითა აღზრდისა.

კით. სადეთგან ჰსჩანს, რომელ ქორწინება არს საიდუმლო?

მიგ. შემდგომითა სიტყუათა ამათგან პავლე მოციქულისათა: „დაუტეოს კაცმან მამაჲ თჳსი „და დედაჲ თჳსი, და შეეყოს ცოლსა თჳსსა, და „იყვნენ ორნივე იგი ერთ ხორც, საიდუმლო ესე „დიდ არს, ხოლო მე ვიტყვი ქრისტესთჳს და „ეკკლესიისა. ეფეს, 5. ლა, ლბ.

კით. ყოველთა მიერ ჯერ არსა შესვლად ქორწინებასა შინა?

მიგ. არა. ქალწულება უმჯობეს-არს მე-უღლეობისა, უკეთუ ვინმე შეიძლებს სიწმიდით დაცვასა მისსა.

ამისთჳს სახელდებით ჰსთქუა იესო ქრისტემან: „არა ყოველთა დაიტიონ სიტყუა ესე, არამედ „რომელთაცა მიცემულ არს: რომელი შემძლე-„ბელ არს დატევნად დაიტიენ. მათ. 19. ია, იბ.

და

და მოციქულიცა იტყჳს: „ვეტყჳ უქორწი-
„ნებელთა მათ და ქურივთა, კეთილ-არს მათდა
„უკეთუ ეგნენ ესრეთ, ვითარცა მე. ხოლო უკე-
„თუ ვერ დაითმენენ, იქორწინნედ. უქორწინე-
„ბელი იგი ჰზრუნავს უფლისასა, ვითარმე სათნო-
„ეყოს უფალსა. ხოლო ქორწინებული იგი ჰზ-
„რუნავს სოფლისასა, ვითარმე სათნოეყოს ცო-
„ლსა, და რომელმან იქორწინოს თჳსი იგი ქა-
„ლწულებაჲ კეთილად ჰყოფს, ხოლო რომელ-
„მან არა იქორწინოს უმჯობესსა ჰყოფს.
ა. კორ. 7. ჱ, თ, ლდ, ლე, ლჱ.

## ზ ე თ ი ს კ უ რ თ ხ ე ვ ი ს ა თ ჳ ს.

კით. რაჲ არს ზეთის კურთხევა?

მიგ. ზეთისკურთხევა არს საიდუმლო, რო-მელსა შინა ჟამსა სხეულისა ზეთით ცხებისასა მოწოდებულ იქმნების სნეულსა ზედა მადლი ღჳთისა, განმკურნებელი სულიერთა და ხორცი-ელთა უძლურებათა.

კით. სადითგან მოაქუს დაწყება საიდუმლო-
სა ამის ?

მიგ. მოციქულთაგან, რომელთაცა, მიიღეს რა ჴელმწიფება იესო ქრისტესაგან, ჰსცხებდეს ზეთისა მრავალთა სნეულთა და განჰკურნებდეს. მარკ. 6. იგ.

მოციქულთა მოსცეს ესე საიდუმლო სამღუდელო-მსახურთა ეკკლესიისათა, რომელიცა ჰსჩანს შემდგომთა ამათ სიტყუათა მიერ მოციქულისა იაკობისთა: ,,უძლური თუ ვინმე არს თქუენ
,,შორის, მოუწოდენ ხუცესთა ეკკლესიისათა და
,,ილოცონ მის ზედა, და ჰსცხონ მას ზეთი სახე-
,,ლითა უფლისათა. და ლოცუამან სარწმუნო-
,,ებისამან აცხოვნოს სნეული იგი, და აღადგი-
,,ნოს იგი უფალმან, დალაცათუ ცოდუანი რაიმე
,,ექმნეს მიეტეოს მას. იაკ. 5. იდ, იე.

## მეათერთმეტისა წევრისათჳს.

კით. რაჲ არს აღდგომა მკუდართა, რომელსაცა, სიმბოლოსა სარწმუნოებისასებრ, მოველით ჩუენ?

მიგ.

მიგ. მოქმედება ყოვლისა შემძლებელობისა ღმრთისა, რომლისამებრცა ყოველნი ხორცნი გარდაცვალებულთა კაცთანი, შეერთდებიან რა კვალად თვსთა სულთა თანა, განცხოველდებიან და იქმნებიან სულიერნი და უკვდავნი.

,,დაეთესვის ხორცი მშვინვიერი, და აღსდგე-
,,ბის ხორცი სულიერი. ა კორ. 15. მდ.

Ჳერ-არს ხრწნილისა ამის შემოსად უხრ-
,,წნელება და მოკვდავისა ამის შემოსვად უკვდა-
,,ვება. ა კორ. 15. ნგ.

კით. ვითარ აღსდგების ხორცი განხრწნილი მიწასა შინა და განბნეული?

მიგ. ვინაჲთგან ღმერთმან მიწისაგან შექმნა ხორცი დასაბამსა, ეგრეთვე შემძლებელ სადმე არს მიწასა შინა განბნეულისაცა განახლებად. მოციქული პავლე განმარტებს ამას მიმსგავსებითა დათესილისა მარცვლისათა, რომელიცა განიხრწნების მიწასა შინა, გარნა რომლისაგანცა აღმოსცენდების მწუანვილი ანუ ხჱ. ,,შენ, რომელი

,,დასთესი არა ჰსცხოვნდეს, ვიდრემდე არა მოკუ-
,,დეს. ა კორ. 15. ლვ.

კით. ნამდვილ ყოველნი აღსდგებიანა?

მიგ. ნამდვილ ყოველნი აღსდგებიან მკვდარ-ნი: და მათ, რომელნიცა ვიდრე ჟამადმდე მოგა-დისა აღდგომისა დაშთებიან ცოცხლებით აწინდე-ლნი ზრქელნი ხორცნი წამსა შინა შეიცვალებიან სულიერად და უკვდავად.

ყოველთავე უკვე არა შევისვენოთ, ხოლო
,,ყოველნივე განვახლდეთ, მეყსა შინა წამსა თუა-
,,ლისასა უკანასკნელითა მით საყვირითა, რამეთუ
,,საყჳრისა დაეცეს, და მკუდარნი იგი აღსდგენ
,,უხრწნელნი, და ჩვენ განვახლდეთ.
ა კორ. 15. ნა, ნბ.

კით. ოდეს იქმნების აღდგომა მკუდართა?

მიგ. დასასრულსა თანა ხილულისა ამის სო-ფლისასა.

კით. და ეს სახედ დასრულდებისცა სოფელი?

მიგ. განხრწნადი ესე სოფელი დასრულდების მით, რამეთუ შეიცვალების უხრწნელებად.

,,რამეთუ

,,რამეთუ თჳით იგიცა დაბადებული განთავი-
,,სუფლდეს მონებისაგან ხრწნილებისა აზნაურო-
,,ბასა მას დიდებისა შვილთა ღმრთისათა.
რომ. 8. კბ.

,,ახალთა ცათა და ახალსა ქვეყანასა მსგავსად
,,აღთქმისა მისისა მოველით, რომელსა შინა სი-
,,მართლე დამკჳდრებულ არს. ბ პეტ. 3. იგ.

კით. ვითარითა სახითა შეიცვალების სო-
ფელი?

მიგ. საშუალობითა ცეცხლისათა.

,,ხოლო აწ ცანი და ქვეყანა მითვე სიტყჳთა,
(ესე იგი ღმრთისათა) ,,დაუნჯებულ-არიან ცე-
,,ცხლისა დამარხულნი დღედ სასჯელისა და წარ-
,,წყმედისა უღმრთოთა კაცთასა. ბ პეტ. 3. ზ.

კით. ვითარსა მდგომარეობასა შინა არიან
სულნი გარდაცვალებულთანი, ვიდრე ყოველთა
აღდგომადმდე?

მიგ. სულნი მართალთანი ნათელსა, განსვე-
ნებასა და წინადაწყებასა, შინა საუკუნოჲსა ნეტა-
რებისასა; ხოლო სულნი ცოდვილთანი ამისა
წინააღმდეგსა

წინააღმდეგსა მდგომარეობასა შინა:

კით. რასათვს სულთა მართალთასა არა განეჩემებისთ. შემდგომად სიკვდილისა მასვე ჟამსა სრული ნეტარებაჲ?

მიგ. ამისთვს, რომელ სრული მისაგებელი საქმეთამებრ წინათგანჩინებულ-არს მიღებად სრულისა კაცისად, შემდგომად გვამთა აღდგომისა და უკანასკნელსა განსჯასა შინა ღმრთისასა.

მოციქული პავლე იტყვის: ,,ამიერითგან მო-
,,მელის მე სიმართლისა იგი გჳრგჳნი, რომელი
,,მომცეს მე უფალმან მას დღესა შინა, მართალ-
,,მან მან მსაჯულმან, არა ხოლო თუ მე, არამედ
,,ყოველთა, რომელთა შეიყუარეს გამოჩინება
,,მისი. ბ ტიმ. 4. ჱ.

და კვალად: ,,ჩვენ ყოველნი განცხადებად ვართ
,,წინაშე საყდართა ქრისტესთა, რათა მიიღოს კა-
,,ცად კაცადმან ხორცთა ამათგან, რაჲცა იგი ჰქ-
,,მნა, გინათუ კეთილი, გინათუ ბოროტი.
ბ კორ. 5. ი.

კით. რასათვს მიეჩემებისთ მათ წინადაწყებაჲ
ნეტარებისა

ნეტარებისა, პირველ უკანასკნელისა განჩსჯისა?

მიგ. მოწმობისამებრ თჳთ იესო ქრისტესა, იგავსა შინა მეტყუელისა, რომელ მართალი ლაზარე შემდგომად სიკუდილისა, მასვე ჟამსა მიყვანილ-იქმნა წიაღსა შინა აბრაამისასა. იხილე. ლუკ. 16. კბ.

კით. ესე წინადაწყება ნეტარებისა იქმნებისა შეერთებული პირის-პირ მხედველობასათანა თჳთ იესო ქრისტესსა?

მიგ. ეგრეთ იქმნების განსაკუთრებით წმინ-დათა თანა, ვითარ იგი გუცემს ამის გულისხმის-ყოფასა მოციქული პავლე: „გული მეტყვის გან-ჴსვლად და ქრისტესთანა ყოფად. ფილიპელ. 1. კგ.

კით. რაჲ ჯერარს შესწავებად სულთათჳს სარწმუნოებით გარდაცვალებულთა, გარნა ვერ-მსწრობთა ქმნად ნაყოფთა ღირსთა სინანულისათა?

მიგ. იგი, რომელ მისაწთომელად ნეტარისა აღდგომისა შემძლებელ არიან შეწევნად მათდა ლო-ცვანი, მათთჳს შეწირულნი, უმეტესადრე შეერ-თებულნი შეწირვისათანა უსისხლოჲსა მსხვერპ-ლისა ქრისტეს ხორცისა და სისხლისა, და კეთილნი

საქმენი

საქმენი, სარწმუნოებით აღსრულებულნი სახსენებელად მათდა.

კით. რასა ზედა დაფუძნებულ არს სწავლა ესე?

მიგ. მტკიცესა მოძღურებასა ზედა კათოლიკე ეკკლესიისასა, რომლისა დასაბამნი ჰსჩანან კვალად მველისა აღთქმისა ეკკლესიასა შინა. ოდეს მაკაბელმა შესწირა მსხვერპლი მიცვალებულთა მხედართათჳს. ბ მაკაბ. 12. მგ. ლოცვა გარდაცვალებულთათჳს, არს მარადის მიუცილებელი ნაწილი საღმრთოსა ლიტურღიისა, იწყებს რა ლიტურღიისაგან თჳთ მოციქულისა. წმინდა კირილე იერუსალემელი იტყჳს: ფრიად დიდად სარგებელ ექმნების სულთა, რომელთა თჳსცა შეიწირვის ლოცვა ჟამსა მას შინა, ოდესცა წინამდებარებს წმიდა და საშინელი მსხვერპლი. ჰსწავლ. 5. თავ. თ.

წმინდა ვასილი დიდი ლოცვათა შინა მეერგასისა დღისათა იტყჳს, ვითარმედ ღირს იჩინებს. უფალი მიღებად ჩვენგან სალხინებელთა ლოცვათა და მსხვერპლთა ჯოჯოხეთს შინა პყრობილთათჳს,

სასოები-

სასოებისათანა მშვიდობისა, ლხინებისა და განთა-
ვისუფლებისა მათისა თჳს.

## მეათორმეტისა წევრისათჳს.

კით. რაჲმე არს ცხოვრება მერმისა მის სა-
უკუნოჲსა ?

მიგ. ცხოვრება, რომელიცა იქმნება შემდ-
გომ მკუდართა აღდგომისა, და ქრისტეს საზო-
გადოჲსა განსჯისა.

კით. ვითარი იქმნების ცხოვრება ესე ?

მიგ. მორწმუნეთათჳს, მოყვარეთა ღმრთისათა
და მოქმედთა კეთილისათა, ეგრეთ ნეტარი, რო-
მელ აწ ჩვენ ნეტარებისა ამის გამოხატვაცა ვერ
შემძლებელ ვართ.

,,არღა გამოჩინებულ-არს რაჲ ყოფად ვართ.
ა იოან. 3. ბ.

,,ვიცი კაცი ქრისტეს მიერ,,, იტყვის მოცი-
ქული პავლე, ,,რომელი მიიტაცა სამოთხედ, და
,,ესმნეს უთქმელნი სიტყვანი, რომელ არა ჯერ
,,არიან კაცთა სიტყვად. ბ კორ. 12. ბ, დ.

ვით. სადითგან წარმოსდგების ეგევითარი ნეტარებაჲ?

მიგ. ჭვრეტისაგან ღჳთისა ნათელსა შინა და დიდებასა და მისთანა შეერთებისაგან.

,,ვხედავთ აწ ვითარცა სარკითა და სახითა,
,,ხოლო მაშინ პირსა პირისპირ, აწ ვიცი მცი-
,,რედ, ხოლო მერმე ვიცნა, ვითარცა შევემცნე.
ა კორ. 13. იბ.

,,მაშინ მართალნი გამობრწყინდნენ, ვითარცა
,,მზე სასუფეველსა მამისა მათისასა. მათ. 13. მგ.

,,იყოს ღმერთი ყოვლადვე ყოველსა შინა.
ა კორ. 15. კჱ.

ვით. იქმნების ხორციცა მონაწილე სულისა ნეტარებასა შინა?

მიგ. იგიცა იქმნების დიდებულ ნათლითა ღჳთისათა, ეგსახედ, ვითარიგი ხორცი იესო-ქრისტესი ჟამსა ფერისცვალებისა მისისასა თაბორს ზედა.

,,დაეთესვის უძლურებითა, და აღდგების ძლი-
,,ერებითა. ა კორ. 15. მგ.

და

,,და ვითარცა იგი შევიმოსეთ ხატი იგი მი-
,,წისაგანისა (ესე იგი ადამისა), ,,შევიმოსოთ
,,ხატიცა იგი ზეცისაგანისა, (ესე იგი უფლისა
ჩვენისა იესო ქრისტესი.) ა კორ. 15. მთ.

ვით. ყოველნი თანასწორ იქმნებიანა ნეტარნი?

მიგ. არა. სხჳა და სხჳა იქმნებიან ხარისხნი ნეტარებისანი, საზომისა მისებრ, თუ ვითარ ვინ იღჳაწა აქა სარწმუნოებასა, სიყვარულსა და კეთილთა საქმეთა შინა.

,,სხჳა დიდება არს მზისა, და სხჳა დიდება
,,არს მთოვარისა, და სხჳა დიდება არს ვარსკვლა-
,,ვთა, რამეთუ ვითარცა იგი ვარსკვლავი ვარს-
,,კვლავსა ჰმატს დიდებითა, ეგრეთცა აღდგომა
,,მკჳდართა. ა კორ. 15. მა.

ვით. და რა იქმნების ურწმუნოთა და უსჯულოთა თანა?

მიგ. იგინი მიცემულ იქმნებიან საუკუნოსა სიკვდილსა, ანუ სხჳებრ ვსთქუათ, საუკუნოსა ცეცხლსა, საუკუნოსა ტანჯვასა, ერთბამად ეშმაკთა თანა.

 ,,რომე-

,,რომელიცა არა იპოვა წიგნსა მას ცხოვრე-
,,ბისასა დაწერილი, შთავარდა ტბასა მას ცეცხ-
,,ლისასა. გამოცხ. კ. იე. ,,და ესე არს სიკვდილი
,,მეორე. იდ.

,,წარვედით ჩემგან წყეულნო ცეცხლსა მას
,,საუკუნესა, რომელი განმზადებულ არს ეშმაკი-
,,სათჳს და ანგელოსთა მისთა თჳს. მათ. 25. მა.
,,და წარვიდენ ესენი სატანჯველსა საუკუნესა,
,,ხოლო მართალნი ცხოვრებასა საუკუნესა. მვ.
,,უმჯობეს არს შენდა ერთითა თვალითა შე-
,,სვლად სასუფეველსა ღმრთისასა, ვიდრე ორითა
,,თვალითა შთაგდებად გეენიასა ცეცხლისა უშრე-
,,ტისასა, სადა იგი მატლი მათი არა დაესრულე-
,,ბის, და ცეცხლი არა დაშრტების. მარკ. 9. მზ, მჱ.

კით. რისათჳს ეგრეთ ფიცხელად მოექცევის ცოდვილთა?

მიგ. არა მისთჳს, რათამცა ჰსწადდეს ღმრთისა წარწყმედა მათი, არამედ თჳთ იგინი ,,წარწყმდე-
,,ბიან, ვინაჲთგან სიყუარული იგი ჭეშმარიტებისა
,,არა

-უარა შეიწყნარეს, რათამცა ჴსცხოვნდეს იგინი. ბ თესალ. 2. ი.

კით. ვითარისა სარგებლობისა ქმნად შემძლებელ არიან განზრახვანი სიკვდილისათჳს, აღდგომისათჳს, უკანასკნელისა სასჯელისათჳს, საუკუნოჲსა ნეტარებისათჳს და საუკუნოჲსა სატანჯველისათჳს?

მიგ. ესე განზრახვანი შეგვეწევიან ჩვენ ყენებად ცოდვათაგან და განყენებად ქვეყნიერთა საქმეთა მიმართ შემსჭვალულებათაგან; ნუგეშინისგვცემენ მოკლებასა შინა ქვეყნიერთა კეთილთასა, განგვაღვიძებენ დაცვად სიწმიდესა შინა სულისა და ხორცთა, ცხოვრებად ღმრთისათჳს და საუკუნოობისათჳს, და ესევითარითა სახითა მიწევად საუკუნოსა ცხოვრებასა.

---

## ႵႰႨႱႲႨႠႬႤႡႰႨႥႨႱႠ

## ႫႭႻႶႥႰႤႡႨႱႠ ႬႠႼႨႪႨ ႫႤႱႠႫႤ.

## Ⴑ Ⴀ Ⴑ Ⴍ Ⴄ Ⴁ Ⴈ Ⴑ Ⴀ Ⴇ Ⴢ Ⴑ.

### ცნობა ქრისტიანებრივისა სასოებისა, საფუძველი და ღონისძიება მისი.

კით. რაჲ არს სასოება ქრისტიანებრივი?

მიგ. დამშვიდება გულისა ღმრთისა მიმართ, დარწმუნებით, ვითარმედ დაუცხრომელად ჰზრუნავს იგი ჩვენისა ცხოვნებისათჳს, და მოგვანიჭებს ჩვენ აღთქმულსა ნეტარებასა.

კით. რასა ზედა დაეფუძნების ქრისტიანებრივი სასოებაჲ?

მიგ. ,,უფალი იესო ქრისტე,, არს ,,სასო-,,ება ჩვენი, ანუ საფუძველი სასოებისა ჩვენისა. ა ტიმ. 1. ა.

,,სრულიად

,,სრულიად ესევდით მოწევნულსა მას თქუენდა ,,მადლსა გამოცხადებასა იესო ქრისტესსა.
ა პეტრ. 1. იგ.

კით. რაჲმენი არიან ღონისძიებანი მომპოვნებელნი საცხოვრებელისა სასოებისანი?

მიგ. ღონისძიებანი ამისნი არიან:

პირველად, ლოცვა.

მეორედ ჭეშმარიტი ჴსწავლა ნეტარებისა და საქმით შედგომა ჴსწავლისა ამის.

## ლოცვისათჳს.

კით. არს მოწმობა სიტყვისა ღმრთისა მისთჳს, ვითარმედ ლოცვა არს ღონისძიება მომპოვნებელი მაცხოვარებითისა სასოებისა?

მიგ. თჳთ იესო ქრისტე ლოცვისათანა შეართებს სასოებასა მისაღებელად საწადელისა: ,,რაჲცა ითხოვოთ სახელითა ჩემითა, იგი ვყო ,,რათა იდიდოს მამა მისა თანა. იოან. 14. იგ.

კით. რაჲ არს ლოცვა?

მიგ. ამაღლება გონებისა და გულისა ღჳთისადმი, წარმოჩინებული კეთილკრძალულითა სიტყვითა კაცისათა ღჳთისა მიმართ.

კით. რაჲ თანაამს ქრისტიანესა ქმნად, ოდესცა იგი აღამაღლებს გონებასა და გულსა ღჳთისადმი?

მიგ. პირველად, „დიდებისმეტყველებად" მისსა, საღმრთოთა სრულებათა მისთათჳს; მეორედ „მადლობად" მისდა, ქველისმოქმედებათა მისთათჳს; მესამედ „თხოვნად" მისდა საჭიროებათა თჳსთა. ამისთჳს არიან სამგჳარნი უპირველესნი ლოცვისმეტყველებანი: დიდების-მეტყველება, მადლობა და თხოვა.

კით. შესაძლო არსა ლოცჳა თჳნიერ სიტყჳათა?

მიგ. შესაძლო არს, გონებითა და გულითა. მაგალითი ამისა იხილვების მოსეს შორის პირველ განსულისა მეწამულსა ზღჳასა შინა. იხილ. გამოს: 14. იე.

კით.

კით. არა აქუსა ესრეთსა ლოცვასა საკუთ-რებითი წოდება?

მიგ. მას უწოდებენ სულიერად, ანუ გონე-ბითად და გულითად, ერთითა სიტყვითა, შინაგან ლოცვად: ეგრეთ ვითარცა ლოცვა, სიტყვით წარმოთქმული, და წარმოებული სხუათა ნიშანთა მიერ კეთილკრძალულებისათა, იწოდების ზეპი-რად ანუ გარეგანად.

კით. შესაძლო არსა გარეგანი ლოცვისა ყოფა თჳნიერ შინაგანისა?

მიგ. შესაძლო არს, ოდესცა ვინ წარმოსთ-ქვამს სიტყვათა ლოცვისათა თვინიერ ყურად ღე-ბისა და გულსმოდგინებისა.

კით. საკმაო არსა მხოლოდ გარეგანი ლოცვა მოსაღებელად მადლისა?

მიგ. არა თუ საკმაო არს მოსაღებელად მად-ლისა; არამედ წინააღმდეგ მისა ერთოდენ გარე-განი ლოცვაჲ, თჳნიერ შინაგანისა განარისხებს ღმერთსა.

თჳთ ღმერთი წარმოაჩინებს ყუედრებასა

ეგევე-

ევქარისტიისა ლოცვასა ზედა : ,,მახლობელ არს ,,ჩემდა ერი ესე, პირითა მათითა და ბაგითა მათითა ,,პატივმცემს მე, ხოლო გულნი მათნი შორს გან-,,შორებულ არიან ჩემგან, ამაოდ მმსახურებენ მე. მათ. 15. ჱ.

კით. არა საკმაო არსა მხოლოდ შინაგანი ლოცვაჲ თჳნიერ გარეგანისა?

მიგ. კითხვა ესე ემსგავსების მას, უკეთუმცა ვინ იკითხა ესე : არა საკმაო არსა კაცისათჳს მხოლოდ სული თჳნიერ ხორცისა? ურგებ არს კითხვა ესე, ოდესცა სათნო იყო ღმერთმან შედგინებაჲ კაცისა სულისა და ხორცისაგან. ეგრეთვე ურგებ არს კითხვა მისთჳსცა, არა საკმაო არსა მხოლოდ შინაგანი ლოცვა თჳნიერ გარეგანისა. გვაქუს რა სული და ხორცი, თანამდებ-ვართ ჩვენ დიდებად ღმრთისა ხორცითა ჩვენითა და სულითა ჩვენითა, რომელნი იგი არს ღმრთისა, ეგრეთ ვითარ იგი ბუნებითი არს, რათამცა ნამეტნავისაგან გულისა პირი იტყოდენ : უფალი ჩვენი იესო ქრისტე იყო სულიერ უმაღლესითა ხარისხითა :

არამედ

არამედ იგიცა სულიერსა ლოცვასა თჳსსა გამო-ხატვიდა სიტყვათა მიერ, და კეთილკრძალულითა მომართებათა მიერცა ხორცისათა, მაგალითებრ: ოდესმე აღხმითა თუალთათა ცადმიმართ, და ოდესმე მოდრეკითა მუხლთათა და პირისა ქუეყანასა ზედა. იხილე. ა კორ: 6. კ. მათ. 12 ლდ. იოან: 17. ა. ლუკ: კბ, მა. მათ. 26. ლთ.

## ლოცვისათჳს საუფლოსა.

კით. არა არს ყოველთაერი ლოცვა, რომე-ლიმცა შესაძლო ყოფად იყო საზოგადო ქრისტი-ანებრივ ლოცვად და სახედ ყოველთა ლოცვათა?

მიგ. ყოველთაერი ლოცვა არს საუფლოჲ.

კით. რაჲ არს ლოცვა საუფლო?

მიგ. ლოცვა იგი, რომელიცა უფალმან ჩუენ-მან იესო ქრისტემან ასწავა მოციქულთა, და რომელთა მათ მოსცეს ყოველთა მორწმუნეთა.

კით. ვითარ წარიკითხვის იგი?

მიგ. ა. ,,მამაო ჩუენო, რომელი ხარ ცათა შინა!

ბ. ,,წმიდა იყავნ სახელი შენი.

გ. ,,მოვედინ სუფევა შენი.

დ. ,,იყავნ ნება შენი ვითარცა ცათა შინა, ,,ეგრეცა ქვეყანასა ზედა.

ე. ,,პური ჩვენი არსებისა მომეც ჩვენ დღეს.

ვ. ,,და მომიტევენ ჩვენ თანანადებნი ჩვენნი, ,,ვითარცა ჩვენ მიუტევებთ თანამდებთა მათ ჩვენთა.

ზ. ,,და ნუ შემიყვანებ ჩვენ განსაცდელსა.

ჱ. ,,არამედ მიხსენ ჩვენ ბოროტისაგან.

,,რამეთუ შენი არს სუფევა და ძალი და დიდება ,,უკუნისამდე, ამინ.

კით. რათამცა უადვილესად განვიხილეთ ლოცვა საუფლო, ვითარ შესაძლო არს განყოფად იგი?

მიგ. მოწოდებასა, შვიდთა თხოვათა, და დიდებისმეტყველებასა ზედა.

## მ ო წ ო დ ე ბ ი ს ა თ ვ ს.

კით. ვითარ ვიკადროთ წოდება ღმრთისა მამად?

მიგ

მიგ. სარწმუნოებითა იესო ქრისტესითა, და-
მადლითა მეორედ შობისათა.

,,ხოლო რაოდენთა იგი შეიწყნარეს, მოსცა
,,მათ ხელმწიფებაჲ, შვილ ღმრთისა ყოფად,
,,რომელთა ჰრწამს სახელი მისი. რომელნი არა
,,სისხლთაგან, არცა ნებითა ხორციათა, არცა ნე-
,,ბითა მამაკაცისათა, არამედ ღმრთისაგან იშვნეს.
იოან: 1. იბ, იგ.

ვით. მარადის სათანადო არსა თქმად: მამაო
ჩვენო, დაღათუ ვინ ერთიცა ილოცვიდეს?

მიგ. მიუცილებელად.

ვით. რასათჳს ეგრეთ?

მიგ. ქრისტიანებრივისა ძმათმოყვარებისათჳს
სათანადო არს მოწოდებად ღმრთისა, და თხოვად
მისგან კეთილთა, რაოდენ თვისა თვისისათვის,
ეგოდენვე ყოველთათჳსცა.

ვით. რაჲსათჳს მოწოდებასა შინა ჯერარს
თქმად: რომელი ხარ ცათა შინა?

მიგ. ამისთჳს, რათამცა ჟამსა შესვლისასა
ლოცვასა შინა დაუტეოთ ყოველი ქვეყნიერი

და

და ხრწნადი და აღვამაღლოთ გონება და გული ზეცა-
ერისა, საუკუნოჲსა და საღმრთოისა მიმართ.

## პირველისა თხოვისათჳს.

კით. სახელი ღჳთისა არა არსა წმიდა?

მიგ. უეჭუელად წმიდა არს თავსა შორის თჳსსა. „წმიდა არს სახელი მისი. ლუკ: 1. მთ.

კით. და ვითარ შესაძლებელ არს კუალად წმიდა ყოფად იგი?

მიგ. შესაძლო არს იგი წმიდა ყოფად კაცთა შორის, ესე იგი საუკუნო სიწმიდე მისი მათ შორის გამოცხადებად შესაძლებელ არს.

კით. ვითარითა სახითა?

მიგ. პირველად, ოდესცა ჩუენ, გუექმნების რა ჴმრთა და გულსა შინა სახელი ღჳთისა, ვცხოვრებთ ეგრეთ, ვითარცა მოითხოვს სიწმიდე მისი, და ეგრეთითა ცხოვრებითა ვადიდებთ ღმერთსა: მეორედ, ოდესცა ხედვენ რა კეთილსა ცხოვრებასა ჩუენსა და სხუანიცა ადიდებენ ღმერთსა.

„ეგრეთ ბრწყინევდინ ნათელი თქუენი წინაშე

„კაცთა

,,კაცთა, რათა იხილონენ საქმენი თქუენნი კეთილ-
,,ნი, და ადიდებდენ მამასა თქუენსა ზეცათასა.
მათ: 5. იჳ.

## მეორისა თხოვისათჳს.

კით. რომლისა სუფევისათჳს ღმრთისა ითქმის მეორესა თხოვასა შინა საუფლოჲსა ლოცვისასა?

მიგ. სუფევისათჳს მადლისა, რომელიცა მოციქულისაებრ არს ,,სიმართლე, და მშჳდობა ,,და სიხარული სულითა წმიდითა. რომ. 14. იზ.

კით. ნუთუ არა მოსრულარს ჯერეთ სუფევა ესე?

მიგ. რომელთათჳსმე არა მოსრულ არს ჯერეთ ყოვლითა მადლითა, და რომელთათჳსმე სრულებითცა არა მოსრულარს, ,,უკეთუ ჳჩალად ჰსუ-
,,ფევენ ცოდვა მოკვდავეთა მაგათ ხორცთა თქუენ-
,,თა, მორჩილებად მისა გულისთქმათა შინა მისთა.
რომ. 6. იბ.

კით. ვითარ მოვალს იგი?

მიგ. დაფარულად და შინაგანად.

,,არა

,,არა მოვიდეს სასუფეველი ღჳთისა ზმნით.
,,აჰა ეგერა სასუფეველი ღჳთისა შორის თქვენ-
,,სა არს. ლუკ. 17. კ, კა.

კით. არა შემძლებელ არსა ქრისტიანე კჳა-ლად რაჲსამე თხოვნად სახელისა მიერ სუფევისა ღჳთისა?

მიგ. შემძლებელ არს თხოვნად სუფევასა დი-დებისასა, ესე იგი სრულსა ნეტარებასა მორწმუ-ნეთასა.

,,გული მეტყვის განსვლად და ქრისტესთანა
,,ყოფად. ფილიპ. 1. კგ.

## მესამისა თხოვისათჳს.

კით. რასა ნიშნავს თხოვა: იყავნ ნება შენი?

მიგ. ამის მიერ ჯერარს თხოვად ღჳთისა, რათამცა ყოველი, რაჲსაცა ვიქმთ ჩვენ და რაჲცა შეგვემთხვევის ჩვენ, წარმოებულ იყოს არა ეგ-რეთ, ვითარ იგი გუწადის ჩვენ, არამედ ვითარცა ნებავს ღმერთსა.

კით. რაჲსათჳს საჭირო არს თხოვად ესე?

მიგ.

მიგ. ამისთჳს, რომელ ხშირად ვსცოდავთ ჩვენ წადილითა შინა ჩვენითა: ხოლო ღმერთისა უცოდველად დაუმეტეს შეუსწორებელად, ვიდრედა ჩვენ, სწადის ჩვენთჳს ყოველი კეთილი, და მარადის მზა არს მონიჭებად მისა, უკეთუ არა დააბრკოლებს მას თავისუფლებითი ნება და ურჩება ჩვენი.

,,ხოლო რომელი იგი შემძლებელ-არს უფ-
,,როს ყოვლისა ყოფად უმეტეს, რომელსა იგი
,,ვითხოვთ, გინათუ ვჰსცნობთ ძალისა მისებრ
,,შეწევნისა ჩვენ შორის, მისა დიდება ეკკლესი-
ასა შინა. ეფეს: ვ, კ, კა.

ვით. რაჲსათჳს ვთხოვთ აღსრულებასა ნებასა ღუთისასა ქვეყანასა ზედა ეგრეთ, ვითარცა ცათა შინა?

მიგ. ამისთჳს, რომელ ცათა შინა წმიდანი ანგელოსნი და ნეტარნი კაცნი, ყოველნი მოუკლებელად მარადის დაყოველსა შინა აღასრულებენ ნებასა ღუთისასა.

მეოთხისა

## მეოთხისა თხოვისათჳს.

კით. რაჲ არს პური არსებისა?

მიგ. პური მიუცილებელად საჭირო არს ამისთჳს, რამეთუმცა ვმყოფობდეთ, ანუ ვსცხოვრებდეთ.

კით. ვითარითა ჰზრითა მიერ ჯერარს თხოვისა შეწირვად ღთისა არსების პურისათჳს?

მიგ. თანახმად მოძღურებისა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესა, ჯერარს თხოვად არა უმეტეს, გარნა არსების პურისა, ესე იგი მიუცილებელისა საზრდოჲსა, და ეგრეთვე მიუცილებელისა ცხოვრებისათჳს სამოსლისა და სავანისა: და გარდა ამისა რაჲცა არს და სახმარ არს, არა ეგოდენ საჭიროებისათჳს, რავდენცა შვებისათჳს, მას მივანდობდეთ ნებასა ღთისასა, და უკეთუ მოცემულ იქმნეს, ჰვმადლობდეთ ღმერთსა, უკეთუ არა იქმნეს მოცემულ, არა ვზრუნვიდეთ.

კით. რაჲსათჳს ბრძანებულ არს თხოვნა არსებისა პურისა მხოლოდ დღეს, ესე იგი დღეინდელისა დღისათჳს?

მიგ.

მიგ. ამისთჳს, რათამცა არა ვზრუნვიდეთ ჩვენ მყოობადისათჳს უზომოდ, და ვსასოებდეთ მისთჳს ღმრთისა ზედა.

,,ნუ ჰზრუნავთ ხუალისათჳს, რამეთუ ხვალე-
,,მან იზრუნოს თავისა თჳსისა, კმა არს დღისა
,,მის სიბოროტე თჳსი. მათ. 6. ლგ.

,,იცის მამამან თქვენმან რა გიხმსთ ამათ ყო-
,,ველთაგანი. მათ: 6. ლა.

კით. არა შესაძლო არსა კუალად რაჲსამე თხოვად სახელითა არსების პურისათა?

მიგ. ვინაჲთგან შედგმული არს კაცი ხორციელისა და სულიერისა არსებისაგან, და არსება სულისა უმეტეს უაღრეს არს ხორცისა: ამად შესაძლო არს და სათანადო არს თხოვად სულისათჳსცა არსებითის პურისა, თჳნიერ რომლისაცა შინაგანი კაცი სიკუდილითა მოჰკუდების. იხილე. კირილე. იერუსალ: ჰსწავლ. საიდ. 4. იე.

კით. ვითარი არსების პური შესაძლო ყოფად არს სულისათჳს?

მიგ. სიტყუა ღმრთისა და ხორცი და სისხლი ქრისტესი.

,,რამეთუ არა პურითა ხოლო ჰსცხონდების ,,კაცი, არამედ ყოვლითა სიტყვითა, რომელი ,,გამოვალს პირისაგან ღმრთისა. მათ. 4. დ.

,,რამეთუ ხორცი ჩემი ჭეშმარიტი საჭმელი ,,არს, და სისხლი ჩემი ჭეშმარიტი სასმელი არს. იოან, 6. ნე.

## მ ე ხ უ თ ი ს ა თ ხ ო ვ ი ს ა თ ჳ ს.

კით. რაჲმე ჯერ-არს გულისხმებად საუფლოსა ლოცვასა შინა სახელითა: თანანადებთა ჩვენთათა?

მიგ. ცოდვანი ჩვენნი.

კით. რაჲსათჳს იწოდებიან ცოდვანი თანანადებად?

მიგ. ამისთჳს, რომელ ვითარცა ყოველი მივიღეთ ჩვენ ღმრთისაგან, ეგრეთვე თანამდებცა ვართ ყოვლისავე მიცემად ღმრთისა, ესე იგი ყოვლისა დამორჩილებად ნებისა და ჰსჯულისა მისისა:

და

და უკეთუ არა აღვასრულებთ ამას, მაშა დავშთე-ბითცა თანამდებნი წინაშე მართლმსაჯულებისა მისისა.

კით. და ვინ არიან თანამდებნი ჩვენნი?

მიგ. კაცნი, რომელთაცა არა მოგუცეს ჩვენ იგი, რაჲსაცა თანამდებიყვნენ მოცემად ჰსჯული-საებრ ღმრთისა, ვითარიცა მაგალითებრ, არა გვა-ჩვენეს სიყვარული, არამედ სიძულილი.

კით. ვითარითა სახითა, მართლმსაჯულებისა თანა ღმრთისა, შემძლებელ-ვართ ჩვენ იმედოვნე-ბად თანანადებთა ჩვენთა მოტევებისა?

მიგ. შუამდგომელობითა იესო ქრისტესითა

,,რამეთუ ერთ-არს ღმერთი, და ერთი არს შუ-
,,ამდგომელი ღმრთისა და კაცთა, კაცი იესო
,,ქრისტე, რომელმან მისცა თავი თჳსი საჴსრად
,,ყოველთა. ა ტიმ: ბ. ე, ვ.

კით. რაჲმე იქმნების, უკეთუ ჩვენ ვითხოვთ ღმრთისა მიერ მოტევებასა ცოდვათა ჩვენთასა, და თჳთ სხუათა არა მიუტევებთ?

მიგ. არა მივიღებთ ჩვენცა მოტევებასა.

,,უკეთუ

„უკეთუ მიუტევნეთ თქვენ კაცთა შეცოდე-
„ბანი მათნი, მოგიტევნეს თქვენცა მამამან თქვენ-
„მან ზეცათამან: ხოლო უკეთუ არა მიუტევნეთ
„კაცთა შეცოდებანი მათნი, არცა მამამან თქვენ-
„მან მოგიტევნეს თქვენ შეცოდებანი თქვენნი.
მათ. 6. იდ, იე.

კით. რაჲსათჳს არა მოგვიტევებს ჩვენ ღ̃ი,
ოდესცა ჩვენ არა მიუტევებთ სხვათა?

მოც. ამისთჳს, რომელ ამისმიერ გამოვსჩნ-
დებით ჩვენ ბოროტად; და მით განვიშორებთ თა-
ვისა თჳსისაგან მადლსა და მოწყალებასა ღ̃თისასა.

კით. ამისებრ ვითარსა განწყობილობასა
ითხოვენ მლოცველთაგან სიტყუანი საუფლოჲსა
ამის ლოცვისანი: ჩვენ მიუტევებთ თანამდებთა
მათ ჩვენთა?

მოც. იგინი ითხოვენ მიუცილებელად, რა-
თამცა მლოცველსა არა რაჲმე აქუნდეს მტერობა
დამრისხანება, არამედ აქუნდეს ყოველთა თანა მშვი-
დობა და სიყვარული.

„უკეთუ

,,უკეთუ შესწირვიდე შესაწირავსა საკურთ-
,,ხეველსა ზედა, და მუნ მოგეხსენოს შენ, ვი-
,,თარმედ ძმა შენი გულძვირ რამე არს შენთჳს:
,,დაუტევე შესაწირავი იგი წინაშე საკურთხეველსა
,,მას, მივედ და დაეგე პირველად ძმასა შენსა, და
,,მაშინ მოვედ და შეჰსწირე შესაწირავი შენი.
მათ. 5. კგ, კდ.

კით. არამედ რაჲმე ვყო, უკეთუ იგი, რო-მელსაცა აქჳს რაჲმე ჩემ ზედა, არა შეიძლებო-დეს მსწრაფლ პოვნად, ანუ თუ გამოჩნდეს იგი მოუდრეკელ დაგებისადმი?

მიგ. ესრეთსა შემთხვევასა შინა საკმაო არს და გება მისთანა გულსა შინა, თვალთა წინაშე ყოვლისა მხედველისა ღმრთისათა.

,,უკეთუ შესაძლებელ-არს თქვენ მიერ ყო-
,,ველთა კაცთა თანა მშვიდობასა ჰყოფდით.
რომ. 12. იჱ.

# მეექვსისა თხოვისათჳს.

კით. რაჲ ჯერარს გულისხმისყოფად

ლოცჳსა

ლოცჳასა შინა საუფლოსა, სახელითა განსაცდე-
ლისათა?

მიგ. ეგევითარი მომდინარეობაჲ გარემოე-
ბათა, რომელსა შინა მახლობელ იყოს შიში
სარწმუნოების წარწყმედისა, ანუ მძიმესა ცო-
დჳასა შინა შთავრდომისა.

კით. საითგან მოვლენან ეგევითარნი განსა-
ცდელნი?

მიგ. ხორცისაგან ჩვენისა, სოფლისაგან ანუ
სხჳათა კაცთაგან, და ეშმაკისაგან.

კით. რაჲსათჳს ვითხოვთ სიტყჳთა ამათ შინა
ლოცვისათა: ნუ შემიყვანებ ჩვენ განსაცდელსა?

მიგ. პირველად მისთჳს, რათამცა არა მიგვი-
ძუა ჩვენ ღმერთმან განსაცდელისადმი, მეორედ
მისთჳს, რათამცა მან, უკეთუ საჭიროჲ არს ჩვენდა
გამოცდილ და განწმედილ ყოფა საშუალობითა გან-
საცდელისათა, არა მიგვცა ჩვენ განსაცდელსა სრუ-
ლიად, და არა გვიტევა ჩვენ დაცემად.

მეშვი-

## მეშვიდისა თხოვისათჳს.

კით. რასა ვითხოვთ სიტყჳთა ამათ შინა ლოცვისათა, მიხსენ ჩვენ ბოროტისაგან?

მიგ. ვითხოვთ ხსნასა ეშმაკისაგან ბოროტისა, ვინათგან შემძლებელ არს ჩვენ ზედა მოწევნად სოფელსა შინა, რომელიცა დროჲთგან პირველისა ცოდვისათ, ,,ყოველი ბოროტსა ზედა ჰსდ- ,,ევს. ა იოან: 5. ვ.

და საკუთრად ბოროტისაგან ცოდვისა და მზაკვართა შთაგონებათა და მკჳრისზრახვათაგან ბოროტისა ეშმაკისათა.

## დიდების მეტყჳელებისათჳს.

კით. რაჲსათჳს ლოცვისადმი საუფლოსა შეერთებულ არს დიდებისმეტყჳელება?

მიგ. პირველად ამისთჳს, რათამცა ვითხოვდეთ რა ჩვენ თავისა თჳსისათჳს მამისაგან ზეცათისა მოწყალებათა, მას ჟამსა მივცემდეთ მას მართლიადსა პატივის-ცემასა; მეორედ ამისთჳს, რათამცა ჰაზრითა მისისა საუკუნოჲსა სუფევისა,

ძალისა

ძალისა და დიდებისათა უმეტეს და უმეტეს დავემტკიცებოდეთ სასოებასა ზედა, ვითარმედ მოგჳანიჭებს ჩვენ იგი სათხოველსა, ამისთვს რომელ მისსა უფლებასა შინა არს ესე, და ეკუთვნის დიდებასა მისსა.

ვით. რასა ნიშნავს ლექსი ესე: ამინ?

მიგ. ჰნიშნავს: ჭეშმარიტად, ანუ, იყავნ.

ვით. რისათვს ლექსი ესე ზედა დაერთვის დიდების მეტყუელებასა?

მიგ. ამით გამოიხატვის ესე, ვითარმედ ლოცვა შეიწირვის სარწმუნოებით და თვნიერ ყოვლისა იჭვსა, ვითარცა გვასწავებს მოციქული იაკობ. თავ. 1. 3.

## ჰსწავლისათვს ნეტარებისა.

ვით. რაჲ ჯერარს შეერთებად ლოცვისადმი, რათამცა დამტკიცებულ ვიქმნეთ სასოებასა შინა ცხოვნებისა და ნეტარებისასა?

მიგ. საკუთარი ღუაწლი მიწევნისათვს ნეტარებისა.

ამისთვს

ამისთჳს იტყჳს თჳთ უფალი : ,,რასა მეტყ-
,,ჳით მე უფალო, უფალო, და არა ჰყოფთ, რო-
,,მელსა მე გეტყჳ თქუენ. ლუკ. 4. მვ.

,,არა ყოველმან, რომელმან მრქუას მე უფა-
,,ლო, უფალო, და შევიდეს იგი სასუფეველსა
,,ცათასა; არამედ რომელმან ჰყოს ნება მამისა
,,ჩემისა ზეცათასა. მათ 7. კა.

კით. რომელსა ჰსწავლასა მალუჲს წინამძღუა-
ნუად ამას ღუაწლსა შინა?

მიგ. ჰსწავლასა უფლისა ჩუენისა იესო-
ქრისტესსა, მოკლედ წინადადებულსა მისთა გა-
მოთქმათა შინა ნეტარებისათა.

კით. რაოდენნი არიან ეგევითარნი გამო-
თქმანი?

მიგ. ცხრანი შემდგომნი ესე:

ა. ,,ნეტარ-იყვნენ გლახაკნი სულითა, რამე-
,,თუ მათი არს სასუფეველი ცათა.

ბ. ნეტარ-იყვნენ მგლოვარენი გულითა, რა-
,,მეთუ იგინი ნუგეშინისცემულ-იქმნენ.

გ. ,,ნეტარ-იყვნენ მშვიდნი, რამეთუ მათ დაი-
,,მკვიდრონ ქვეყანა.

დ. ,,ნეტარ-იყვნენ, რომელთა ჰშიოდეს და
,,სწყუროდეს სიმართლისათჳს, რამეთუ იგინი
,,განჰსძღენ.

ე. ,,ნეტარ-იყვნენ მოწყალენი, რამეთუ იგი-
,,ნი შეიწყალნენ.

ვ. ,,ნეტარ-იყვნენ წმინდანი გულითა, რამე-
,,თუ მათ ღმერთი იხილონ.

ზ. ,,ნეტარ-იყვნენ მშვიდობის-მყოფელნი,
,,რამეთუ იგინი ძედ ღმრთისად იწოდნენ.

ჱ. ,,ნეტარ-იყვნენ დევნულნი სიმართლისა-
,,თჳს, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა.

თ. ,,ნეტარ-იყვნეთ თქვენ, რაჟამს გყუედრი-
,,დნენ და გდევნიდნენ და ჰსთქუან ყოველი სიტყუა
,,ბოროტი თქვენდა მომართ სიცრუით ჩემთჳს.
,,იხარობდეთ და მხიარულ-იყვენით, რამეთუ სა-
,,სყიდელი თქვენი დიდად არს ცათა შინა.
მათე: 5. გ-იბ.

კით. რაჲ ჯერარს შენიშვნად ყოველთა ამათ
,,გამო-

„გამოთქმათა ზედა, კანონიერისა გულისხმისყო-
„ფისათჳს მათისა ?

მიგ. უფალმან წინადაგვიდვა ამათ გამოთქმა-
თა შინა მიწევნისათჳს ნეტარებისა, ვითარიცა სა-
ხელდობ იტყვის სახარება: აღაღო პირი თჳსი
ასწავებდა. არამედ ვითარცა მყუდრომან და მშვიდ-
მან გულითა წინადაგვიდვა მან ჰსწავლა თჳსი, არა
მბრძანებელმან, არამედ მნეტარებელმან მამამან, რო-
მელნიცა თავისუფლად მიიღებენ და აღასრულებენ
მას. ამისთჳს თჳთოეულსა გამოთქმასა შინა ნე-
ტარებისასა ჯერარს განხილვად, პირველად ჰსწა-
ვლისა ანუ მცნებისა; მეორედ ნეტარებისა ანუ
ჯილდოს აღთქმისა.

## პირველისა მცნებისათჳს ნეტარებისა.

კით. რომელი არს პირველი მცნება უფლისა
მიწევნისათჳს ნეტარებისა ?

მიგ. მოსურნენი ნეტარებისანი თანამდებ-არიან,
რათა იყვნენ გლახაკნი სულითა.

კით.

კით. რასა ნიშნავს გლახაკ ყოფაჲ სულითა?

მიგ. ნიშნავს, რათა გვაქუნდეს სულიერი დაჯერება, ვითარმედ არა რაჲმე გვაქუს ჩვენ თვისი; არამედ გვაქუს მხოლოდ იგი, რასაცა მოგვანიჭებს ღმერთი, და ვითარმედ არა რაჲსამე კეთილისა შემძლებელ ვართ ქმნად თვინიერ შეწევნისა და მადლისა ღმრთისა; და ესრეთითა სახითა შერაცხვა თავისა თვისისა არარად, და ყოველსა შინა მილტოლვა მოწყალებისა მიმართ ღმრთისა. მოკლედ, განმარტებისამებრ წმინდისა ოქროპირისა, სულიერი სიგლახაკე არს სიმშვიდე.

კით. ძალუძსთა სულითა გლახაკ ყოფა მდიდართაცა?

მიგ. უეჭველად ძალუძსთ, უკეთუ განიხილვენ, რომელ ხილული სიმდიდრე არს ხრწნადი და მსწრაფლ წარმავალი, და რომელ არა აღავსებს იგი ნაკლულევანებასა სულიერთა კეთილთასა.

,,რა სარგებელ ეყოს კაცსა უკეთუ სოფელი
,,ყოველი შეიძინოს და სული თვისი იზღვიოს,
,,ანუ

,,ანუ რა მისცეს კაცმან ნაცვლად სულისა თჳსისა. მათ. 16. კვ.

კით. არს მალუმსა ხორციელსა სიგლახაკესა, რათა სახმარ ეყოს სრულებასა სულიერისა სიგლახაკისასა?

მიგ. მალუმს, უკეთუ ნებსით აღირჩევს მას ქრისტიანე ღჳთისათჳს.

ამისთჳს ჰრქჳა თჳთ იესო ქრისტემან მდიდარსა: ,,უკეთუ გნებავს რათა სრულ იყო წარ-
,,ვედ და განჰყიდე მონაგები შენი და მიეც გლახაკთა
,,და გაქუნდეს საუნჯე ცათა შინა, და მოვედ და
,,შემომიდეგ მე. მათ. 19. კა.

კით. რასა აღუთქვამს უფალი სულით გლახაკთა?

მიგ. სასუფეველსა ზეცისასა.

კით. ვითარითა სახითა ევუთვნის მათ სასუფეველი ცათა?

მიგ. აწინდელსა ცხორებასა შინა შინაგანად და დაწყებით, საშუალობითა სარწმუნოებისა და სასოებისათა; ხოლო მომავალსა შინა აღსრულებით,

საშუა-

საშუალობითა მონაწილეობისათა საუკუნოსა ნე-ტარებასა შინა.

# მეორისა მცნებისათჳს ნეტარებისა.

კით. რომელი არს მეორე მცნება უფლისა ნეტარებისათჳს?

მიგ. მსურველნი ნეტარებისანი თანამდებ არიან მგლოვარე ყოფად.

კით. რაჲ ჯერარს გულისხმისყოფად მცნე-ბასა ამას შინა სახელითა მგლოვარებისათა?

მიგ. ურვა და შემუსრვილება გულისა და ჭე-შმარიტნი ცრემლნი მისთჳს, რომელ არა სრულად და არა ღირსად ვმსახურებთ ჩუენ უფალსა, ანუ კნინლა და მოვიგებთცა რისხვასა მისსა ცოდვათა ჩუენთა მიერ.

,,რამეთუ ღმრთისა მიერი იგი მწუხარება სი-
,,ნანულისა ცხოვრებისასა შეუნანებელსა შეიქმს,
,,ხოლო სოფლისა ამის მწუხარება სიკუდილსა
,,შეიქმს. ბ კორ. 7. ი.

კით. რასა აღუთქვამს უფალი განსაკუთრე-
ბით მგლოვარეთა ?

მიგ. მას, ვითარმედ ნუგეშინისცემულ-იქმნე-
ბიან იგინი.

კით. რაბამი იგულისხმების აქა ნუგეშინის-
ცემაჲ ?

მიგ. მადლითი, მდგომარე მიტევებასა შინა
ცოდვათასა და მშვიდობასა შინა სინიდისისასა.

კით. რაჲსათჳს აღთქმა ესე შეერთებულ არს
მცნებისა თანა მგლოვარებისა ?

მიგ. ამისთვის, რაითამცა მგლოვარება ცოდ-
ვათა არა განიგრძო სასოწარკვეთილებადმდე.

## მესამისა მცნებისათჳს ნეტარებისა.

კით. რომელი არს მესამე მცნება უფლისა
ნეტარებისათჳს ?

მიგ. მოსურნენი ნეტარებისანი თანამდებ არიან
მშვიდ ყოფად.

კით. რაჲ არს სიმშვიდე ?

მიგ

მიგ. დაწყნარებულება სულისა, შეერთებული სიფრთხილისათანა, რათამცა არავინ განვარისხეთ, და არა რაჲთამე განვრისხდით.

კით. ვითარნი ჯერ არიან ყოფად საკუთარნი მოქმედებანი ქრისტიანებრივისა სიმშვიდისანი?

მიგ. არა დრტვინვა არა თუ ოდენ ღმრთისა ზედა; არამედ არცა კაცთა ზედა, ოდესცა იქმნების რაჲმე წინააღმდეგი წადილთა ჩუენთა; არა მიგეცნეთ მრისხანებასა, არა ავმაღლდეთ.

კით. რასა აღუთქვამს უფალი მშვიდთა?

მიგ. ამას, ვითარმედ დაიმკვიდრებენ იგინი ქვეყანასა.

კით. ვითარ ვიგულისხმოთ აღთქმაჲ ესე?

მიგ. შესახებელად ზოგად ქრისტეს შედგომილთა იგი არს წინაუწყება, რომელიცა აღესრულა მარტივად, ვინაჲთგან უცვალებელად მშვიდთა ქრისტიანეთა, ნაცვლად მისა, რათამცა აღწყვეტილ-ყოფილ-იყვნენ გულისწყრომითა წარმართთათა, დაიმკვიდრეს ყოველი სოფელი, რომელსაცა პირველად ჰფლობდენ წარმართნი.

ხოლო

ხოლო შემდგომი მნიშვნელობა აღთქმისა ამის შესახებელი ქრისტიანეთა სახოგადოდ და განცალკეებით არს იგი, რომელ მიიღებენ იგინი დამკვიდრებასა; გამოხატვისამებრ ფსალმუნთა მგალობელისა, ქვეყანასა მას ცხოველთასა მუნ, სადაცა ჰსცხოვრებენ და არა მოკვდებიან ესე იგი, მიიღებენ საუკუნოსა ნეტარებასა.

იხილ. ფსალ. 26. იგ.

## მეოთხისა მცნებისა-თჳს ნეტარებისა.

კით. რომელი არს მეოთხე მცნება ყოვლისა ნეტარებისათჳს?

მიგ. მოსურნენი ნეტარებისანი ჯერარს, რათა იყვნენ მშიერ და მწყურვალ სიმართლისათჳს?

კით. რაჲ ჯერარს აქა გულისხმისყოფად სახელითა სიმართლისათა?

მიგ. თუმცა შესაძლებელ-არს სახელითა ამით ვიგულისხმოთ ყოველი სათნოება, რომელიცა სათანადო არს, რათა გულის-სათქმელ იყოს

ქრისტიანისა, ვითარცა საზრდელი და სასმელი; არამედ უაღრესად ჯერარს გულის-ხმისყოფად იგი სიმართლე, რომლისათჳსცა წინასწარმეტყველებასა შინა დანიილისსა თქმულარს აღმოყვანებად სიმართლესა საუკუნესა, ესე იგი კაცისა ბრალეულისა წინაშე ღმრთისა, განმართლება, საშუალობითა მადლისა და სარწმუნოებისათა იესო-ქრისტეს მიმართ. დან: 9. კდ.

ამის სიმართლისათჳს იტყჳს მოციქული პავლე: „სიმართლე ღმრთისა სარწმუნოებითა იესო-
„ქრისტესითა ყოველთა მიმართ და ყოველთა ზედა
„მორწმუნეთა; რამეთუ არა არს განწვალება, რა-
„მეთუ ყოველთავე შესცოდეს და დაკლებულ
„არიან დიდებისაგან ღმრთისა; ხოლო განმართ-
„ლდებიან უსასყიდლოდ მადლითა მისითა და გა-
„მოხსნითა მით იესო ქრისტესითა, რომელი იგი
„წინასწარგანმზადა ღმერთმან სამხილებელად სა-
„რწმუნოებითა თჳსითა მით სისხლითა გამოჩი-
„ნებად სიმართლისა მისისა მოტევებითა მით პირ-
„ველთა ცოდვათათა. რომ. გ. კბ-კე.

კით. ვინ არიან მშიერნი და მწყურვალნი სი-მართლისათჳს ?

მიგ. იგინი, რომელნიცა ჰყჭარობენ რა ქმნასა კეთილისასა, არა შერაცხვენ თავთა თვისთა მართლად, არა დასდებენ იმედსა თვისთა კეთილთა საქმეთა ზედა; არამედ შერაცხვენ თავთა თვისთა ცოდვილად, და ბრალეულად წინაშე ღმრთისა; და რომელნიცა სურვილითა და ლოცვითა სარწმუ-ნოებისათა, ვითარცა სულიერისა საზრდელისა და სასმელისათა, არიან მშიერ და მწყურვალ მადლით განმართლებისა იესო ქრისტეს მიერ.

კით. რასა აღუთქვამს უფალი მშიერთა და მწყურვალთა სიმართლისათჳს ?

მიგ. მას, ვითარმედ განძღებიან იგინი ?

კით. რასა ნიშნავს აქა განძღომა ?

მიგ. მსგავსად მისა, ვითარცა განძღომა სხეულისა მოსცემს პირველად, გრძნობისა მო-კვეთასა სიმშილისა და წყურვილისასა; მეორედ საზრდელით განმტკიცებასა სხეულისასა; გან-ძღომა სულიერი ნიშნავს, პირველად შინაგანსა და-

დამშვიდებას შეწყალებულისა ცოდვილისასა, მეორედ მომოებასა მადლისასა ქმნისათჳს კეთილისა, მოცემულისა მადლითა განმამართლებელითა. არამედ სრული განმლომა სულისა, შექმნულისა დასატკბობელად დაუსრულებელითა კეთილითა, მეუდგების საუკუნოსა ცხოვრებასა შინა, გამოთქმისამებრ ფსალმუნთა მგალობელისა: ,,განვძღე ,,გამოჩინებასა დიდებისა შენისასა. ფსალ: 16. იე.

## მეხუთისა მცნებისა-თჳს ნეტარებისა.

კით. რომელი არს მეხუთე მცნება უფლისა ნეტარებისათჳს?

მიგ. მოსურნენი ნეტარებისანი თანამდებ არიან, რათა იყვნენ მოწყალენი.

კით. ვითარ ჰჯერარს აღსრულება მცნებისა ამის?

მიგ. საშუალობითა მოწყალებისა საქმეთათა ხორციელთა და სულიერთა. რამეთუ, ვითარცა იტყვის ოქროპირი, სხუა და სხუა არს მოწყალებისა სახე, და ვრცელ მცნება ესე. მათეს. სიტ. იე.

კით. რომელნი არიან საქმენი მოწყალებისანი ხორციელნი?

მიგ. ა. მშიერისა ჭმევა.

ბ. მწყურვალისა სმევა.

გ. შემოსვა შიშვლისა, ანუ ნაკლულევანების მქონებელისა საჭიროსა და შესაფერსა სამოსელსა შინა.

დ. მისვლა საპყრობილესა შინა მყოფისადმი.

ე. ხილვა სნეულისა, მსახურება მისი და შეწევნა კურნებისა მისისა ანუთუ ქრისტიანებრივისა სიკვდილდ განმზადებისა.

ვ. უცხოჲსა შეწყნარება სახლსა შინა და განსვენება.

ზ. დაფლვა მომკვდართა სიგლახაკესა შინა.

კით. რომელნი არიან სულიერნი საქმენი მოწყალებისანი?

მიგ. ა. დარიგებით ,,მოქცევა ცოდვილისა ,,ცთომილისა გზისაგან მისისა. იაკ. 5. ვ.

ბ. უმეცარისა ჴსწავლა ჭეშმარიტებისა და კეთილისა.

გ. მიცემა მოყვსისადმი კეთილისა და ღრთ-ებითისა ჭრჩევისა გაჭირვებასა შინა; ანუ მისმიერ შეუმცნეველსა საშიშროებასა შინა.

დ. ლოცვა მისთჳს ღჳთისა მიმართ.

ე. ნუგეშინის ცემა მწუხარისა.

ვ. არა მიგება ბოროტისა წილ, რომელიცა გვიქმნეს ჩვენ სხჳათა.

ზ. გულითა მიტევება შეურაცხებათა.

კით. მოწყალებისა მცნებისა მიმართ არა წინა აღმდეგ არსა იგი, ოდესცა მართლმსაჯულებით დასჯიან ბრალეულსა?

მიგ. არა მცირედ, უკეთუ იქმონენ ამას ვა-ლისამებრ და კეთილითა განზრახვითა, ესე იგი, რათამცა განმართონ იგი, ანუთუ რათამცა წინადვე დაიცჳან უბრალონი გარდამავლობათა მისთაგან.

კით. რასა აღუთქჳამს ღმერთი მოწყალეთა?

მიგ. მას, ვითარმედ შეწყალებულ იქმნებიან იგინი.

კით. რა იგულისხმების აქა შეწყალებად?

მიგ. შეწყალებს საუკუნოჲსაგან ცოდვათა წილ დასჯისა სასჯელსა შინა ღჳთისასა.

## მეექვსისა მცნებისა- თჳს ნეტარებისა.

კით. რომელი არს მეექვსე მცნება ყოვლისა ნეტარებისათჳს ?

მიგ. მოსურნენი ნეტარებისანი თანამდებ არიან, რათა იყვნენ წმინდანი გულითა.

კით. სიწმინდე გულისა არა იგივე არსა, რაჲვეცა არს სიწრფოება გულისა ?

მიგ. გულის სიწრფოებაჲ, ანუ სიმართი-ვეჲ, რომლისა მიერ კაცი არა არჩევნებს ჰირმო-თნეობით კეთილთა მიმართ მიდრეკილებასა, არა ჰქონან რა იგინი გულსა შინა; არამედ კეთილთა მიდრეკილებათა გულისათა აღმოაჩენს კეთილთა ქცევათა შინა, არს იგი მხოლოდ მდაბალი ხარისხი გულის სიწმინდისა. ამას უკანასკნელსა მოაწევს კაცი მტკიცითა და მოუმედგრებელითა ღვაწლითა მღვიძარებისათა თავსა თჳისსა ზედა, განაგდებს რა

გულისა-

გულისაგან თჳსისა ყოველსა არა ჴსჯულიერსა სურვილსა და გულის სიტყჳსა, და ყოველსა წადიერებასა ქვეყნიერთა საგანთა მიმართ, და დაუცხრომელად იცავს რა გულსა შინა ხსოვნასა ღ̃ისა და უფლისა იესო ქრისტესსა სარწმუნოებით და სიყვარულით.

ვით. რასა აღუთქვამს ღმერთი წმინდათა გულითა?

მიგ. მას, ვითარმედ იხილვენ იგინი ღ̃ისა.

ვით. ვითარ ჯერ არს გულისხმისყოფა აღთქმა ესე?

მიგ. სიტყჳა ღ̃თისა მიამსგავსებს გულსა ჰაცისასა თუალსა, და მიაჩემებს სრულთა ქრისტიანეთა „განათლებულთა თუალთა გულისათა. ეფეს. 1. იჱ.

ვითარცა თუალი წმინდა შემძლებელ არს ხედვად ნათლისა, ეგრეთვე გული წმინდა შემძლებელ არს ხილვად ღ̃თისა. და ვინაჲთგან ჰირსა მხედველობა ღ̃თისა წყარო არს საუკუნოჲსა ნეტარებისა; ამად აღთქმაჲ ხილვისა ღ̃თისა, აღთქმაჲ

არს

არს მაღლისა ხარისხისა საუკუნოსა ნეტარებისა.

## მეშვიდისა მცნებისა-თვის ნეტარებისა.

კით. რომელი არს მეშვიდე მცნება უფლისა ნეტარებისათვის?

მიგ. მოსურნენი ნეტარებისანი თანამდებ არიან, რათა იყვნენ მშვიდობის მყოფელნი.

კით. ვითარ ჯერ არს აღსრულება მცნებისა ამის?

მიგ. ჩვენდა ჯერ არს, რათა ვიქცეოდეთ ყოველთა თანა სიყვარულით და არა მიზეზსა ვსცემდეთ უთანხმოებისადმი; შემთხვეულთა უთანხმოებათა ყოვლადვე მოვაკვეთდეთ ვიდრელა დაიმობითა სამართლისა ჩვენისათა, უკეთუ არა წინააღმდეგ არს ესე ვალისა და არა ვისდამი სავნებელ; ვმეცადინობდეთ სხვათაცა მტერობისა მქონებელთა ურთიერთისა შორის დაზავებად რაოდენცა გვაქვნდეს შეძლება; და რაჟამს ვერ შემძლებელვართ ვევედრებოდეთ ღმერთსა მშვიდობისა მათისათვის.

კით. რასა აღუთქვამს უფალი მშვიდობის მყოფელთა ?

მიგ. მას, ვითარმედ წოდებულ იქმნებიან იგინი ძედ ღ̃თისად.

კით. რასა ნიშნავს აღთქმაჲ ეს ?

მიგ. იგი ნიშნავს სიმაღლესა და ღვაწლსა მშვიდობისმყოფელთასა და განმზადებულსა მათდა ჯილდოსა. ვინაიდგან ჰბაძვენ იგინი ღვაწლითა თვისითა მხოლოდ-შობილსა ძესა ღ̃თისასა, მოსრულსა ქვეყანასა ზედა დასაგებელად შეცოდებულისა კაცისა მართლმსაჯულებისათანა ღ̃თისა ; ამისთვის აღუთქმის მათ მაღლითი სახელი ძეთა ღ̃თისათა, და უეჭველად ღირსი სახელისა ამის ხარისხი ნეტარებისა.

## მერვისა მცნებისათვის ნეტარებისა.

კით. რომელი არს მერვე მცნება უფლისა ნეტარებისათვს ?

მიგ. მოსურნეთა ნეტარებისათა თანაამსთ, რათა

განმზა-

განმზადებულ-იყვნენ თავსდებად დევნულებისა სიმართლისათვს, და არა ჰსცვალონ იგი.

კით. ვითარნი თვისებანი მოითხოვებიან მცნებითა ამით?

მიგ. სიმართლის-მოყვარება, შეურყეველობა და სიმტკიცე სათნოებასა შინა, სიმხნე და მოთმინება, ოდესცა ვინ შთავარდების უბედურებასა ანუ განსაცდელსა შინა, მისთვის, რომელ არა სწადის ცვალებაჲ ჭეშმარიტებისა და სათნოებისა.

კით. რასა აღუთქვამს ღმერთი დევნულთა სიმართლისათვის?

მიგ. სასუფეველსა ცათასა, რეცათუ ნაცვლად მისა, რასაცა მოაკლდებიან იგინი დევნულებისა მიერ, მსგავსად მისა, ვითარცა აღთქმულარს იგო გლახაკთადმი სულითა, აღსავსებელად გრძნობისა ნაკლულოვანებისა და სიგლახაკისა.

შეცხრისა

# მეცხრისა მცნებისათვის ნეტარებისა.

კით. რომელი არს მეცხრე მცნება უფლისა ნეტარებისათვის?

მიგ. მოსურნენი ნეტარებისანი თანამდებ არიან მზა ყოფად, რათა სიხარულით შეიწყნარონ ყვედრება, დევნულება, განსაცდელი და თვით სიკვდილი სახელისათვის ქრისტესისა და ჭეშმარიტისა მართლმადიდებელისა სარწმუნოებისათვის.

კით. ვითარ იწოდების ღუაწლი, მოთხოვნილი მცნებითა ამით?

მიგ. ღვაწლი მოწამეობითი.

კით. რასა აღუთქვამს უფალი ამის ღვაწლისათვის?

მიგ. დიდსა სასყიდელსა ცათა შინა, ესე იგი, უწარჩინებულესსა და მაღალსა ხარისხსა ნეტარებისასა.

# ႵႰႨႱႲႨႠႬႤႡႰႨႥႨႱႠ

## ႩႠႲႤႾႨႦႫႭႢႱႠ ႬႠႼႨႪႨ ႫႤႱႠႫႤ.

## ႱႨႷႥႠႰႳႪႨႱႠႧႣႱ.

### კავშირისათჳს შორის სარწმუნოებისა და სიყვარულისა.

კით. ვითარი მოქმედება და ნაყოფი ჭეშმარიტისა სარწმუნოებისა ჯერარს ცოცხალ ქრისტიანესა შორის?

მიგ. სიყვარული და შემსგავსებულნი მისდა კეთილნი საქმენი.

„რამეთუ ქრისტე იესოს მიერ, იტყვის მო-
„ციქული, არცა წინადაცვეთილება რას შემძლე-
„ბელ არს, არცა წინადაუცვეთილება, არამედ სარ-
„წმუნოება სიყვარულისაგან შეწევნული.
გალატ. ე. ვ.

კით

კით. არა საკმაო არსა ქრისტიანისათვს მხოლოდ სარწმუნოება თვინიერ სიყვარულისა და კეთილთა საქმეთა ?

მიგ. არა საკმაო არს. ვინაჲთგან სარწმუნოება თვინიერ სიყვარულისა და კეთილთა საქმეთა უქმ არს და მკვდარ, და ამისთჳს ვერ შემძლებელ არს მიყვანებად საუკუნოსა ცხოვრებასა.

,,რომელსა არა უყვარდეს ძმაჲ, სიკვდილსა
,,შინა დადგრომილ არს. ა იოან. 3. იდ.

,,რა სარგებელ არს ძმანო ჩემნო, უკეთუ
,,ვინმე ჰსთქვას სარწმუნოება მაქუს, და საქმენი
,,არა ჰქონდენ, ნუ ძალუძს მეა სარწმუნოებასა
,,ხოლო ცხოვნებად მისა; რამეთუ ვითარცა ხო-
,,რცნი თვინიერ სულისა მკუდარ არიან, ეგრეთვე
,,სარწმუნოება თვნიერ საქმეთასა მკუდარ არს.
იაკობ: 2. იდ, კვ.

კით. არა შესაძლო არსა ცხოვნებად სიყვარულითა და კეთილთა საქმეთა მიერ თვნიერ სარწმუნოებისა ?

მიგ. არა შესაძლო იქმნების, რათამცა კაცსა,

არა

არა მქონებელსა ღუთისა მიმართ სარწმუნოები-
სასა, ჭეშმარიტებით უყვარდეს იგი. მასთანავე
კაცი განრყვნილი ცოდვითა, ვერ შემძლებელ არს
ჭეშმარიტებით ქმნად კეთილთა საქმეთა, უკეთუ არა
მიიღებს სარწმუნოებისა მიერ იესო ქრისტესისა
სულიერსა ძალსა, ანუ მადლსა ღუთისასა.

,,ხოლო თვინიერ სარწმუნოებისა ვერ შესა-
,,ძლებელ არს სათნო-ყოფა ღუთისა, რამეთუ სარ-
,,წმუნოება უღირს რომელი მოუხდების ღმერთსა,
,,რამეთუ არს, და მეძიებელთა მისთა სასყიდლის
,,მიმცემელ იქმნების. ებრ. 11. ვ.

,,რამეთუ რავდენნი იგი საქმეთაგან ჰსჯულისა-
,,სათა არიან, წყევასა ქუეშე არიან, რამეთუ წე-
,,რილ-არს, წყეულ იყავნ ყოველი, რომელი
,,არა დაადგრეს ყოველსა წერილსა წიგნისა ამის
,,ჰსჯულისასა ყოფად მისა. გალატ. 3. ი.

,,რამეთუ ჩუენ სულითა სარწმუნოებისაგან
,,სასოებასა სიმართლისასა მოველით.
გალატ. 5. ე.

,,რამეთუ

,,რამეთუ მადლითა ხართ გამოხსნილ სარწმუ-
,,ნოებისა მიერ და ესე არა თქვენგან, არამედ
,,ღუთისა ნიჭი არს, არა საქმეთაგან, რათა არა
,,ვინ იქადოს. ეფეს. 2. ჱ, თ.

კით. რასა ვგონებდეთ ეგევითარისა სიყვარულისათჳს, რომელსაცა არა შედგომილ ექმნებიან კეთილნი საქმენი?

მიგ. ეგევითარი სიყვარული არა ჭეშმარიტი არს, ვინაჲთგან ჭეშმარიტი სიყვარული ბუნებითად გამოაჩენს თავსა თჳსსა კეთილთა საქმეთა მიერ.

იტყვის ქრისტე იესო: ,,რომელსა აქუნდეს
,,მცნებანი ჩემნი და დაიმარხნეს იგინი, იგი
,,არს რომელსა უყვარ მე: უკეთუ ვისმე უყვარ-
,,დე მე სიტყვანი ჩემნი დაიმარხნეს.
იოან. 14. კა, კგ.

მოციქული იოანე დასწერს: ,,რამეთუ ესე
,,არს სიყვარული ღუთისა, რათა მცნებათა მის-
,,თა ვიმარხვიდეთ. ა იოან. 5. გ.

,,ნუ

,,ნუ ვიყვარებით სიტყვითა, ხოლო ნუცა ,,ენითა, არამედ საქმითა და ჭეშმარიტებითა. ა იოან. 3. იჱ.

## ჰსჯულისათჳს ღჳთისა და მცნებათა.

კით. ვითარნი გვქონან ჩვენ ღონისძიებანი განრჩევად კეთილთა საქმეთა ბოროტთაგან?

მიგ. ჰსჯული ღჳთისა შინაგანი, ანუ მოწმობა სინიდისისა, და ჰსჯული ღჳთისა გარეგანი, ანუ მცნებანი ღჳთისანი.

კით. იტყვისა საღმრთო წერილი შინაგანისა ჰსჯულისათჳს?

მიგ. მოციქული პავლე იტყვის წარმართთათჳს: ,,რომელნი გამოაჩინებენ საქმესა ჰსჯული- ,,სასა დაწერილსა გულთა შინა მათთა თანამოწმე- ,,ბითა მათდა გონებისა მათისათა და შორის ურთი- ,,ერთ არს გულის სიტყვანი შესმენდენ ანუ სი- ,,ტყვასა უგებდენ. რომ. 2. იე.

კით. უკეთუ არს კაცთა შინა შინაგანი ქსჯული, მაშა რაჲსათჳსლა კუალად მოცემულ არს გარეგანი ?

მიგ. იგი მოცემულ არს ამისთჳს, რომელ ერნი არა ისმენდნენ შინაგანისა ქსჯულისასა, და განაქარვებდნენ რა ხორციელსა და ცოდვისა ცხოვრებასა, დასთრგუნვიდნენ თჳს შორის ხმასა სულიერისა ქსჯულისასა, ამისთჳსცა საჭირო იყო მათდა მოგონებად მისა გარეგან, საშუალობითა მცნებათათა.

,,აწ უკვე რა ქსჯული გარდასვლისათჳს მე
,,მოეცა ? გალ. 2. ით.

კით. ოდეს და ვითარითა სახითა მოეცა კაცთა გარეგანი ქსჯული ღმრთისა ?

მიგ. ოდესცა აბრაამისაგან წარმოებული ერი ებრაელთა საკჳრველებითა განთავისუფლებული იქმნა მონებისაგან ეგჳპტისა, მაშინ, გზასა ზედა მისდა აღთქმულისა ქვეყანისასა, უდაბნოსა შინა, მთასა ზედა სინასა ღმერთმან გამოუცხადა ერსა თჳსი

სჯულისა

ცეცხლისა და ღრუბლისა შინა, და მოსცა ჰსჯული მოსეს მიერ ისრაელთა წინამძღვარისა.

კით. ვითარნი არიან უპირველესნი და საზოგადონი მცნებანი ამის სჯულისანი?

მიგ. შემდგომნი ესე ათნი, რომელნიცა დაწერილ იყვნენ ორთა ფიცართა ზედა ქვისათა.

ა. „მე ვარ უფალი ღმერთი შენი, და არა „იყუნენ შენდა ღმერთნი სხუანი გარეშე ჩემსა.

ბ. „არა ჰქმნე თავისა შენისა კერპი, არცა „ყოველი მსგავსება, რომელნი არს ცათა შინა „ზე, და რომელნი არს ქვეყანასა ზედა ქუე, და „რომელნი არს წყალთა შინა და ქვეშე ქვეყანისა, „არა თაყვანის ჰსცე მათ, და არცა მსახურო მათ.

გ. „არა მოიღო სახელი უფლისა ღმრთისა „შენისა ამაოდ.

დ. „მოიხსენე დღე შაბათისა წმიდა ყოფად „მისა: ექვსთა დღეთა იქმოდე და ჰქმნე მათ შინა „ყოველივე საქმენი შენნი, ხოლო დღე მეშვიდე „შაბათი არს უფლისა ღმრთისა შენისა.

ე. „პატივეც მამასა შენსა და დედასა შენსა,

„რათა

,,რათა კეთილი გეყოს შენ და დღეგრძელ იყო
,,ქვეყანასა ზედა.

ვ. ,,არა კაც ჰკლა.

ზ. ,,არა იმრუშო.

ჱ. ,,არა იპარო.

თ. ,,არა ცილი ჰსწამო მოყვასსა შენსა წა-
,,მებითა ცრუითა.

ი. ,,არა გული გითქმიდეს ცოლისა მოყვასი-
,,სა შენისასა: არა გული გითქმიდეს სახლისა მო-
,,ყვსისა, შენისასა, არცა აგარაკსა მისსა, არცა
,,მონასა მისსა, არცა მხევალსა მისსა, არცა ხა-
,,რსა მისსა, არცა კარაულსა მისსა, არცა ყო-
,,ველსა პირუტყვსა მისსა, არცა ყოველსა რა-
,,ოდენი რა არს მოყუსისა შენისა.

გამოს. 20. ა-ლთა.

კით. უკეთუ მცნებანი ესე მიეცნეს ისრაელთა ერსა, მაშა ჯერ არსა ჩვენდაცა მოქცევად მათებრ?

მიგ. ჯერ-არს. ამისთჳს რომელ იგინი არსებასა შინა თჳსსა არიან იგივე ჰსჯულ რომელი სიტყვისაებრ პავლე მოციქულისა დაწერილ-არს

გულთა

გულთა შინა ყოველთა კაცთასა, რათამცა ყოვე-
ლნი იქცეოდენ მისებრ.

კით. იესო ქრისტე ასწავებდაა მოქცევად ათითა მცნებათაებრ?

მიგ. იგი ბრძანებდა მიღებისათჳს საუკუნოჲ-სა ცხოვრებისა დაცჳად მცნებათა, და ასწავებდა გულისხმისყოფად და აღსრულებად მათდა უსრულესად; ვიდრელა მას ჟამადმდე გულისხმა ჰყოფდენ მათ. იხილ. მათ, 19. იზ. და თავ. 5.

## მცნებათა განყოფისათჳს ორთა ფიცართა ზედა.

კით. რასა ნიშნავს, რომელ ათნი მცნებანი განყოფილ იყვნენ ორთა ფიცართა ზედა?

მიგ. ესე ნიშნავს, რომელ მათ შინა იპყრობებიან ორნი სახენი სიყვარულისანი, ესე იგი, სიყვარული ღმრთისა და სიყვარული მოყუსისა, და ამისთჳს წარმოგვეწერებიან ორგვარნი თანამდებობანი.

კით.

კით. არა ჰსთქუა რაჲმეა ამას ზედა იესო-ქრისტემან?

მიგ. კითხუასა ამას ზედა: რომელი მცნება უფროს არს ჰსჯულსა შინა? მან მიუგო: „შე-
„იყუარო უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გუ-
„ლითა შენითა, და ყოვლითა სულითა შენითა,
„და ყოვლითა გონებითა შენითა. ესე არს დიდი
„და პირუელი მცნება. და მეორე მსგავსი ამისი:
„შეიყუარო მოყუასი შენი ვითარცა თავი თვისი.
„ამათ ორთა მცნებათა ყოველი ჰსჯული და წინა-
„სწარმეტყუელნი დამოკიდებულ-არიან.
მატთ. 22. ლვ, მ.

კით. ყოველნი კაცნი არიანა მოყუასნი ჩუენნი?

მიგ. ყოველნი. ამისთჳს რომელ ყოველნი შექმნილ არიან ერთისა ღუთისაგან და წარმოსდგნენ ერთისაგან კაცისა. არამედ თანაზიარნი სარწმუნოებითა მრჩობლად მახლობელ ჩუენდა არიან, ვითარცა შვილნი ერთისა ზეციერისა მამისანი, სარწმუნოებისაებრ იესო ქრისტესა.

კით. და რაჲსათჳს ჭუალად არა არს მცნება სიყვარულისათჳს თავისა თჳსისა?

მიგ. ამისთჳს, რომელ თჳნიერ მცნებისაცა, ბუნებითად ,,არავინ სადა თავი თჳსი მოიძულის, ,,არამედ ჰზრდის და ჰფუფუნებს მას. ეფეს. 5. კთ.

კით. ვითარისა წესისა ჯერარს ცოფად სიყვარულსა შინა ღმრთისადმი, მოყუსისადმი და თავისა თჳსისადმი?

მიგ. სიყუარული თავისა თჳსისა ჯერარს მხოლოდ ღმრთისა თჳს, და კერძოდ მოყუასთა თჳს; სიყუარული მოყუასთა ჯერარს ღმრთისა თჳს: ხოლო სიყუარული ღმრთისა ჯერარს თჳთ მისთჳს, უმეტესცა ყოვლისა. სიყუარული თავისა თჳსისა ჯერარს მსხუერპლად შეწირვად მოყუასთა სიყუარულისა მიმართ: ხოლო სიყუარული თავისა თჳსისა და მოყუასთა ჯერარს მსხუერპლად შეწირვად სიყუარულისა მიმართ ღმრთისა.

,,უფროჲსი ამისა სიყუარული არავის აქუს, ,,რათა სული თჳსი დასდვას მეგობართა თჳსთა თჳს. იოან. 15, იგ.

,,რომელსა

,,რომელსა უყუარდეს მამა, ანუ დედა უფ-
,,როს ჩემსა, იტყვის იესო ქრისტე, ,,არა არს
,,იგი ჩემდა ღირს, და რომელსა უყუარდეს მე
,,ანუ ასული უფროს ჩემსა, იგი არა არს ჩემდა
,,ღირს. მათ. 10. ლზ,

კით. უკეთუ ყოველი ჴსჯული შეიცვის ორთა მცნებათა შინა, რაჲსათჳსღა განყოფილ არიან იგინი ათად?

მიგ. ამისთჳს, რათამცა ცხადად წარმოიდგინოს თანამდებობანი ჩვენნი ღმრთისა და მოყუსისადმი.

კით. რომელთა მცნებათა შინა წარმოგვეწერებიან თანამდებობანი ღმრთისა მიმართნი?

მიგ. პირველთა ოთხთა შინა.

კით. სახელდებით ვითარნი თანამდებობანი?

მიგ. პირველსა მცნებასა შინა წარმოგვეწერების ცნობა და პატივისცემა ჭეშმარიტისა ღ̃სა.

მეორესა შინა სივლტოლვა ტყუილისა ღ̃ს-პატივისცემისაგან.

მესამესა

მესამესა შინა, არა დარღჳევა ღჳთის-მატივისცემისა არცა თუ სიტყვითა.

მეოთხესა შინა, დაცჳა წესისა ღრთისა და საქმეთა შინა ღჳთის-მატივისცემისათა.

კით. რომელთა მცნებათა შინა წარმოგვეწერებიან თანამდებობანი მოყუასთამიმართნი?

მიგ. უკანასკნელთა ექჳსთა შინა.

კით. ვითარნი თანამდებობანი?

მიგ. მეხუთესა მცნებასა შინა წარმოგვეწერების შეყვარება და პატივისცემა მოყჳასთა განსაკუთრებით მახლობელთა ჩვენთა, მშობელთაგან დაწყებული.

მეექვსესა მცნებასა შინა, არა ვნება მოყჳასთა სიცოცხლისა.

მეშვიდესა შინა, არა ვნება ზნეთა მათთა სიწმიდისა.

მერვესა შინა, არა ვნება კუთვნილებისა მათისა.

მეცხრესა შინა, არა ვნებად მათდა სიტყვითა.

მეათესა შინა, არა სურვება ვნებად მათდა.

კით. არა შეიცვის ათითა მცნებათა შინა თანამდებობანიცა თავისა მიმართ თჳსისა ?

მიგ. ესე თანამდებობანი შეიცვიან მცნებათა შინა მოყუსისა თანამდებობათასა, ამისთჳს, რომელ მოყუსისა სიყუარული სათანადო არს ეგრეთვე, ვითარცა თავისა თჳსისა.

## პირუელისა მცნებისათჳს.

კით. რასა ნიშუნენ სიტყუანი: მე ვარ უფალი ღმერთი შენი ?

მიგ. სიტყუათა ამათ მიერ ღმერთი რეცათუ აჩვენებს თავსა თჳსსა კაცსა; და ამად სადამე უბრძანებს ცნობად უფლისა ღუთისა თვისისა.

კით. ბრძანებისაგან, ცნობისა ღუთისა, ვითარნი შესაძლო არიან გამოყუანებად საკუთარნი თანამდებობანი ?

მიგ. ა. სათანადო არს ჰსწავლა ღუთისმცნობელობისა, ვითარცა უწარჩინებულესისა ყოველთაგან ცოდნათა.

ბ. ჯერ-არს გულსმოდგინებით სმენა ჰსწავლათა

ღუთისათა

ღმრთისათა და საქმეთა მისთასა ეკკლესიასა შინა, და ამას ზედა კეთილმსახურებითთა საუბართა სახლსა შინა.

გ. საათანადო არს კითხვად ანუ სმენად წიგნთა, რომელნიცა აღწაევენ ღმრთისმეცნიერებასა, პირველად საღმრთოსა წერილისა და მეორედ წერილთა წმიდათა მამათასა.

კით. რაჲ წარმოგვეწერების სიტყუათა ამათ შინა ։ და არა იყჳნენ შენდა ღმერნი სხუანი გარეშე ჩემსა ?

მიგ. წარმოგუეწერების მოქცევა და მიყრდნობა ერთისა მიმართ ჭეშმარიტისა ღმრთისა, ანუთუ მებრვე კეთილკრძალულებით პატივისცემა მისი.

კით. ვითარნი თანამდებობანი თჳსეყვიან შინაგანსა ღმრთის-პატივისცემასა ?

მიგ. ა. რწმუნება ღმრთისა.

ბ. სლუა წინაშე ღმრთისა, ესე იგი ხსოვა ღმრთისა და ყოველსა შინა განხილვით ქცევა, ამისთჳს რომელ ხედავს იგი არათუ მხოლოდ საქმეთა, არამედ დაფარულთაცა განზრახუათა ჩუენთა.

გ.

გ. მოშიშება ღჳთისა, ანუ კეთილკრძალუ-ლება წინაშე მისა, ესე იგი, შერაცხვა რისხჳსა ზეციერისა მამისა უდიდეს უბედურებად თავისა თჳსისა, და ამისთჳს მეცადინობა, რათამცა არა განვარისხოთ იგი.

დ. სასოება ღმრთისა ზედა.

ე. შეყუარება ღჳთისა.

ვ. დამორჩილება ღჳთისა, ესე იგი დაუცა-დებელად მზა ყოფა ქმნად მისა, რასაცა ბრძანებს იგი, და არა დრტჳნვა, ოდესცა არა იქმს იგი ჩვენდა მას, რაჲსაცა ვისურვებდით ჩვენ.

ზ. თაყუანისცემა ღჳთისა, ვითარცა უზენა-ესისა არსებისა.

ჱ. დიდება ღჳთისა, ვითარცა ყოვლად უს-რულესისა.

თ. მადლობა ღჳთისა, ვითარცა შემოქმედი-სა, მზრუნველისა და მაცხოვრისა.

ი. მოწოდება ღჳთისა, ვითარცა ყოვლად სახიერისა და ყოვლად შემძლებელისა შემწისა, ყოველსა კეთილსა დაწყებასა შინა.

კით

კით. ვითარნი თანამდებობანი თჳსეყვიან გარეგანსა ღმრთისთაყვანისცემასა?

მიგ. ა. აღსარება ღმრთისა, ესე იგი შეწყნარება, ვითარმედ იგი არს ღმერთი ჩვენი, და არა უარყოფა მისი, დაღაცათუ აღსარებისა მისისათჳს ვნება და სიკუდილი ჯერ იყოს.

ბ. თანაზიარ ყოფა საზოგადოობისა ღმრთისმსახურებასა შინა, განჩინებულსა ღმრთისაგან, და დაწესებულსა მართლმადიდებელისა ეკკლესიისაგან.

კით. რათამცა უსარწმუნოესად გულისხმა ვჰყოთ და დავიცვათ პირველი მცნება, საჭირო-არს კჳალად ცნობად: ვითარნი ცოდვანი წინააღმდეგ მისა ყოფად შემძლებელ არიან

მიგ. ა. უღმრთოება, ოდესცა კაცნი, რომელთაცა ფსალმუნთა მგალობელი სამართლად უწოდს უგუნურად, წადიერებენ რა განრომასა, შიშისაგან საშჯელისა ღმრთისა, დაიტყვიან გულსა შინა თჳსსა: „არა არს ღმერთი. ფსალ: 13. ა.

ბ. მრავალღმრთიანობა, ოდესცა, ნაცვლად ერთისა

ერთისა ჭეშმარიტისა ღმრთისა, აღიარებენ მრავალთა საგონებელთა ღმრთაებათა.

გ. ურწმუნოება, ოდესცა აღიარებენ, ვითარმედ არს ღმერთი, და არა ერწმუნებიან მისსა განგებულებასა და გამოცხადებასა.

დ. მწვალებლობა, ოდესცა კაცნი სწავლისადმი სარწმუნოებისა აღურევენ ჰზრთა, წინააღმდეგთა საღმრთოსა ჭეშმარიტებისათა.

ე. რასკოლი, ესე იგი, ნებსით განდრეკა ერთობისაგან ღმრთისპატივისცემისა და მართლმადიდებელის კათოლიკე ეკკლესიისაგან ღმრთისა.

ვ. ღმრთისაგან განდგომა, ოდესცა იჯმნიან ჭეშმარიტისა სარწმუნოებისაგან, შიშისაგამო კაცობრივისა, ანუ მსოფლიოთა სარგებლობათათჳს.

ზ. სასოწარკვეთილება, ოდესცა სრულებით არა იმედოვნებენ მოღებად ღმრთისაგან მადლისა და ცხოვნებისა.

ჱ. გრძნეულება, ოდესცა დაუტევებენ სარწმუნოებას მადლსა ზედა ღმრთისასა, და ჰსწამსთ დაფარულნი და უმეტესადრე ბოროტნი ძალნი

ქმნულე-

ქმნულებათანი და განსაკუთრებით ბოროტნი სუ-ლნი და მეცადინობენ მოქმედებად მათ მიერ.

თ. ამაოდმორწმუნეობა, ოდესცა არწმუნებენ ვითარსამე ჩვეულებრივსა ნივთსა, ვითამცა აქუნ-დეს მას ღ~თაებრივი ძალი, და მას ზედა ნაცუ-ლად ღ~თისა, იმედოვნებენ, ანუ ეშინჲან მას, ვითარიგი, მაგალითებრ: ერწმუნებიან ძველსა წიგნსა და ჰგონებენ, ვითარმედ მხოლოდ მის მიერ შესაძლო არს ცხოვნებად, და არა ახლისა მიერ, თუმცა ახალი იმყოფებს მასვე ჰსწავლასა და მას-ვე ღ~თისმსახურებასა.

ი. მცონარება კეთილმსახურების ჰსწავლისა მიმართ, ლოცვისა და საზოგადოსა ღ~თის მსა-ხურებისა.

ია. სიყუარული ქმნულებისა უმეტეს ღ~ისა.

იბ. კაცთა სათნოყოფა, ოდესცა ათნებენ კაცთა ეგრეთ, რომელ არა იღუწიან მისთვს სათნოყო-ფად ღ~თისა.

იგ. კაცთა ზედა სასოება, ოდესცა ვინ სასოებს

ნიჭთა

ნაჭითა და ძალითა თჳსთა ზედა, ანუ სხჳათა კაცთასა და არა წყალობასა და შეწევნასა ზედა ღჳთისასა.

კით. რაჲსათჳს ვგონებდეთ, ვითარმედ კაცთა სათნო ყოფა და კაცთა ზედა სასოება არიან წინააღმდეგნი პირველისა მცნებისანი?

მიგ. ამისთჳს რომელ კაცი, რომელსაცა სათნო ვეყოფით ჩვენ, ანუ რომელსაცა ზედა ვსასოებთ ვიდრე დავიწყებადმდე ღჳთისა, რომლითამე სახითა არს იგი ჩვენთჳს სხჳა ღმერთი, ნაცვლად ჭეშმარიტისა ღჳთისა.

კით. ვითარ იტყჳს საღმრთო წერილი კაცთა სათნო ყოფისათჳს?

მიგ. მოციქული პავლე იტყჳს: „რამეთუ
„უკეთუმცა კაცთაღა სათნო ვეყოფოდე ქრისტეს
„მონამცა არა ვიყავ. გალატ. 1. ი,

კით. ვითარ იტყჳს საღმრთო წერილი კაცთა ზედა სასოებისათჳს?

მიგ. „ამას იტყჳს უფალი: წყეულ იყავნ
„კაცი, რომელსა სასოება აქუს კაცისა მიმართ,

და

,,და განიმტკიცოს კორცი მკლავისა თჳსისა, და ,,უფლისაგან განდგეს გული მისი. იერემ: 17. ე.

კით. რათამცა უმჯობესად წარემატოს აღსრულებასა შინა თანამდებობათა თჳსთასა ღმრთისა მიმართ, ვითარ თანამდებ არს კაცი მოქცევად თავისა თჳსისათანა ?

მიგ. თანააძს უარის ყოფა თავისა თჳსისა.

,,რომელსა უნებს შემდგომად ჩემსა მოსვლაჲ, ,,უარ ჰყავ თავი თჳსი, იტყვის იესო ქრისტე. მარკ: 8. ლდ.

კით. რაჲ არს უარყოფა თავისა თჳსისა ?

მიგ. ვასილი დიდი განმარტებს ამას ესრეთ: თავსა თჳსსა უარ ჰყოფს იგი, რომელიცა განიძრცჳს ძუელსა კაცსა საქმით მისითურთ, ხრწნილსა საცთურიანთა გულისთქმათა შინა. უარჰყოფს ყოველთა ვნებათაცა სოფლისათა, რომელნიცა შემძლებელ არიან დაჰრკოლებად განზრახვასა კეთილმსახურებისასა. სრული უარის ყოფა ჰგიეს მას შინა, რათამცა თჳთ სიცოცხლისა მიმართცა არა წადიერ იყოს და აქუნდეს საჯელი სიკუდილისა,



რათამცა

რათამცა თავსა თჳსსა ზედა არა სასოებდეს. ფრაც. კანონ. მიგ. ჩ.

კით. ვითარი ნუგეშინისცემა ექმნების კაცსა, ოდესცა უარ ჰყოფს თავსა თჳსსა, და მოაკლდე-ბის მრავალთა ბუნებითა კმაყოფილებათა?

მიგ. ნუგეშინისცემა მადლითი, ღმრთაებრივი, რომელსაცა თჳთ ვნებანი დარღვევად ვერ შემძლე-ბელ არიან.

,,რამეთუ ვითარცა იგი ჰმატნ ვნებანი ქრისტესნი ,,ჩვენდა მომართ, ეგრეცა ქრისტეს მიერ ჰმატნ ,,ნუგეშინისცემანიცა ჩვენნი. ბ კორ. 1. ე.

კით. უკეთუ პირველი მცნება წარმოგვიწერს კრძალულებით პატივისცემასა ერთისა ღმრთისასა: მაშა თანახმა არსა მცნებისა ამისთანა პატივის-ცემა ანგელოსთა და წმიდათა კაცთა?

მიგ. კანონიერი პატივისცემა მათი სრულებით თანახმა არს ამის მცნებისა თანა: ამისთჳს რომელ მათ შორის პატივვცემთ ჩვენ მადლსა ღმრთისასა, მათ შინა დამკვიდრებულსა და მოქმედსა, და შე-წევნასა მათ მიერ ვითხოვთ ღმრთისაგან.

მეორისა

# მეორისა მცნებისათჳს.

კით. რაჲ არს კერპი, რომლისათჳს თქმულ-არს მეორესა მცნებასა შინა?

მიგ. თჳთ მცნებასა ამას შინა განმარტებულ არს, რომელ კერპი არს გამოხატულება ვითარი-სამე ქმნულებისა ზეციურისა, ანუ ქვეყნიურისა, ანუ წყალთა შინა მცხოვრებთა, რომელსაცა, ნა-ცვლად ღმრთისა, თაყუანისცემენ და მსახურებენ.

კით. ამისთჳს, რასა აღკრძალავს მეორე მცნებაჲ?

მიგ. აღკრძალავს კერპთა თაყუანისცემასა, ვითარცა ცრუთა ღმრთაებათა, ანუ ვითარცა გამო-ხატულებათა ცრუთა ღმერთთასა.

კით. არა აღიკრძალვისა ამისგამო, რათა გვა-ქუნდეს ვითარნიმე საღმრთონი გამოხატულებანი?

მიგ. არა ოდეს. ესე ცხადად ჰსჩანს მისგან, რომელ მანვე მოსემ, რომლისა მიერ ღმრთისაგან მოცემულ იქმნა მცნება აღმკრძალველი კერპთა, მასვე ჟამსა მიიღო ღმრთისაგან ბრძანება დადგინებად

კარავსა

კარავსა შინა, ანუ მოძრავსა ტაძარსა ებრაელთასა, ოქროჲსა გამოხატულებანი ქერაბიმთანი, და მასთანავე შინაგანსა მას ნაწილსა შინა ტაძრისასა, რომლისა მიმართ მიიქცეოდა ერი თაყუანის საცემელად ღმრთისა.

კით. რაჲსათჳს მაგალითი ესე ღირსად შესანიშნველ არს მართლმადიდებელისა ქრისტიანებრივისა ეკკლესიისათჳს?

მიგ. ამისთჳს, რომელ ალმოაჩენს იგი კანონიერებასა ხმარებისასა მართლმადიდებელსა ეკკლესიასა შინა წმინდათა ხატთასა.

კით. რაჲ არს ხატი?

მიგ. ესე ნიშნავს გამოსახულებასა. მართლმადიდებელსა ეკკლესიასა შინა სახელითა ამით იწოდებიან წმინდანი გამოხატულებანი ღმრთისა, ხორცითა გამოჩინებულისა, უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესნი, ყოვლად წმინდისა დედისა მისისა და წმინდათა მისთანი.

კით. თანხმა არსა მეორისა მცნებისათანა ხმარება წმიდათა ხატთა?

მიგ. იგი არა თანხმა-იქმნებოდა მისთანა მხოლოდ შემთხვევასა მას შინა, უკეთუმცა ვინ იქმნა ღმერთ-მყოფელ მათდა. არამედ მცნებისა ამის არცა მცირედ წინააღმდეგ არს პატივისცემა ხატთა, ვითარცა წმინდათა გამოსახულებათა, და ხმარება მათი კეთილკრძალულებით მოხსენებისათვს საქმეთა ღმრთისათა და წმინდათა მისთასა; რამეთუ ამას შემთხვევასა შინა ხატნი არიან წიგნნი, დაწერილნი, ნაცულად ასოთა, პირითა და ნივთითა მიერ. იხილე: გრიგ. დიდ. წიგ. თ. წერილ. თ. სერენტინ, ეპისკოპოსისა მიმართ.

კით. ვითარსა მდგომარეობასა შინა სულისასა ჯერარს ყოფად ჟამსა ხატთა თაყვანისცემისასა?

მიგ. მიმხედველსა მათ ზედა თანაამს გონებით ხედვად ღმრთისა და წმინდათა მიმართ, რომელნიცა მათ ზედა გამოხატულ არიან.

კით. ზოგად ვითარ იწოდების ცოდვა წინააღმდეგი მეორისა მცნებისა?

მიგ. კერპთ-მსახურებად.

კით.

ვით. არა არიანა კუალად ცოდჳანი წინააღმდეგნი მეორისა მცნებისანი?

მიგ. გარდა ხენეშისა კერპთმსახურებისა არს კუალად დაწვლილებითი, რომელსაცა ეკუთვნიან:

ა. ანგარება.

ბ. მუცლის თნება, ანუ გემოვნება, ნაყროვნება და სიმთვრალე.

გ. ამპარტავანება, რომელსაცა ეკუთვნის ეგრეთვე ზჳაობა.

ვით. რაჲსათჳს ანგარება ეკუთვნის კერპთ-მსახურებასა?

მიგ. მოციქული პავლე სახელდებით იტყვის, ვითარმედ ,,ანგარება არს კერპთ-მსახურება. კოლ. 3. გ. ამისთჳს რომელ ანგარი კაცი უმეტეს ჰმონებს სიმდიდრესა, ჳიდრემდის ღმერთსა.

ვით. უკეთუ მეორე მცნება აღკრძალავს ანგარებასა; მაშა მით რასა გვასწავებს იგი?

მიგ. არა მონაგებთ მოყუარებასა და უხვებასა.

ვით. რაჲსათჳს მუცლის-თნება ეკუთვნის კერპთ-მსახურებასა?

მიგ.

მიგ. ამისთჳს, რომელ მუცლისა თნებელნი უფროს ყოვლისა ჰრაცხვენ გრძნობადსა გმოქმნილებასა, და ამისთჳს იტყჳს მოციქული, რომელ მათდა ღმერთი მუცელი არს, ანუ ვსთქჳათ სხჳებრ, მუცელი არს კერპი მათი. ფილ, 3. კა.

კით. უკეთუ მეორე მცნება აღკრძალავს მუცლის თნებასა: მაშა მით რასა გვასწავებს იგი?

მიგ. მოთმინებასა და მარხჳასა.

კით. რაჲსათჳს ამპარტავანება და ცუდდიდებობა ეკუთვნიან კერპთმსახურებასა?

მიგ. ამისთჳს, რომელ ამპარტავანი უმაღლეს ყოვლისა რაცხს თჳსთა შემძლებელობათა და უაღრესობათა, და ესევითარითა სახითა არიან იგინი მისთჳს კერპნი; ხოლო ცუდ მედიდებე სწადნოის, რათამცა სხჳანიცა პატივსცემდენ კერპსა ამას. ესრეთი მიდრეკილება ამპარტავანისა და ცუდმედიდებისა თითქმის გრძნობადითა სახითა აღმოჩნდა ბაბილონის მეფის ნაბუქოდონოსორის შორის, რომელმანცა აღუმართა თჳთ თავსა თჳსსა კერპი ოქროჲსა და ბრძანა თაყვანისცემად მისა. იხილ. დანიელ. თავ. გ.

კით.

კით. არა არიანა ყოვლად ცოდვანი წინააღმდეგნი მეორისა მცნებისანი?

მიგ. გარდა ხენეშისა კერპთმსახურებისა არს ყოვლად დაწვლილებითი, რომელნიცა ეკუთვნიან:

ა. ანგარება.

ბ. მუცლის თნება, ანუ გემოვნება, ნაყროვნება და სიმთვრალე.

გ. ამპარტავანება, რომელსაცა ეკუთვნის ეგრეთვე ზვაობა.

კით. რაჲსათჳს ანგარება ეკუთვნის კერპთ-მსახურებასა?

მიგ. მოციქული პავლე სახელდებით იტყჳს, ვითარმედ ,,ანგარება არს კერპთ-მსახურება. კოლ. 3. გ. ამისთჳს რომელ ანგარი კაცი უმეტეს ჰმონებს სიმდიდრესა, ვიდრემდის ღმერთსა.

კით. უკეთუ მეორე მცნება აღკრძალავს ანგარებასა; მაშა მით რასა გვასწავებს იგი?

მიგ. არა მონაგებთ მოყვარებასა და უხვებასა.

კით. რაჲსათჳს მუცლის-თნება ეკუთვნის კერპთ-მსახურებასა?

მიგ.

მიგ. ამისთჳს, რომელ მუცლისა თნებელნი უფროს ცოდვისა ჭრაცხვენ გრძნობადსა კმაქმნილებასა, და ამისთჳს იტყჳს მოციქული, რომელ მათდა ღმერთ მუცელი არს, ანუ ვსთქუათ სხვებრ, მუცელი არს კერპი მათი. ფილ, 3. კა.

კით. უკეთუ მეორე მცნება აღკრძალავს მუცლის თნებასა: მაშა მით რასა გვასწავებს იგი?

მიგ. მოთმინებასა და მარხვასა.

კით. რაჲსათჳს ამპარტავნება და ცუდდიდებობა ეკუთვნიან კერპთმსახურებასა?

მიგ. ამისთჳს, რომელ ამპარტავანი უმაღლეს ცოდვისა რაცხს თჳსთა შემძლებელობათა და უაღრესობათა; და ესევითარითა სახითა არიან იგინი მისთჳს კერპნი; ხოლო ცუდ მედიდებე სწადნის, რათამცა სხუანიცა პატივსცემდენ კერპსა ამას. ესრეთი მიდრეკილება ამპარტავნისა და ცუდმედიდებისა თითქმის გრძნობადითა სახითა აღმოჩნდა ბაბილონის მეფის ნაბუქოდონოსორის შორის, რომელმანცა აღუმართა თჳთ თავსა თჳსსა კერპი ოქროჲსა და ბრძანა თაყვანისცემად მისა. იხილ. დანიელ. თავ. გ.

კით. არა არსა კუალად ბიწი, მახლობელი კერპთმსახურებისა ?

მიგ. ეგრეთი ბიწი არს პირმოთნეობა, რომელ-ცა ვინ გარეგანთა კეთილმსახურებისა საქმეთა, ვითარიგი, მარხვასა და მკაცრისა ლოცვასა ეკკლე-სიურთა დაწესებულებათასა, იხმარებს მოსაპო-ებელად ერთაგან პატივისცემისა და არა განიზრახავს შინაგანისა განმართჳსათჳს გულისა თჳსისა.

იხილ. მათ: 6. ე-ზ.

კით. უკეთუ მეორე მცნება აღკრძალავს ამპარტავანებასა, ცუდდიდებობასა და პირმოთნეო-ბასა : მაშა მით რასა გვასწავებს იგი ?

მიგ. სიმშვიდესა და ქმნასა კეთილისასა და-ფარულად.

## მესამისა მცნებისათჳს.

კით. ვითარ იქმნების ესე, რომელ სახელი ღვთისა მოიღების ამაოსა ზედა ?

მიგ. იგი მოიღების ამაოსა ზედა, ანუ წარ-მოითქმის ტყუილად, ოდესცა წარმოითქმის

ურგებთა

ურიგებითა და ამაოითა საუბართა შინა: და მით უმე-ტეს ტყუილად, რომელსა წარმოითქმის სიცრუით ანუ დარღვევითა კეთილკრძალულებისათა.

კით. ვითარნი ცოდვანი აღიკრძალებიან მესა-მითა მცნებითა ?

მიგ. ა. ღვთის მგმობელობა, ანუ უშვერნი სიტყვანი წინაშე ღვთისა.

ბ. დრტვინვა ღმერთისა ზედა, ანუ საჩივარნი განგებულებასა ზედა მისსა.

გ. ქირდება, რომელსა საღმრთონი საგანნი გარდაიქცევიან სახუმარად ანუ საგიობელად.

დ. არა ყურადღება ლოცვისა.

ე. ცრუ ფიცი, რომელსა ამტკიცებენ ფიცით მას, რაიცა არა არს.

ვ. ფიცის გარდახდომა, რომელსა არა აღასრუ-ლებენ მართალსა და სჯულიერს ფიცსა.

ზ. დარღუევა აღთქმათა, ღვთისადმი მიცე-მულთა.

ჱ. ღ̃ს სახელის ხსენება, ანუ სუბუქ გონებით ხმარება ფიცისა ჩვეულებრივითა საუბართა შინა.

კით. არა არს საღმრთოსა წერილსა შინა გან-სხუავებითი აღკრძალვა ფიცისა საუბრობასა შინა?

მიგ. მაცხოვარი იტყვის: „ხოლო მე გე-„ტყვი თქვენ არა ფუცვად ყოვლადვე, არამედ „იყავნ სიტყუა თქვენი, ჰე, ჰე, და არა, არა: „ხოლო უმეტესი ამათსა უკეთურისაგან არს. მატთ: 5. ლდ-ლზ.

კით არა აღიკრძალვისა ამისმიერ ყოველი ფიცი საქმეთა შინა საზოგადოობითთა?

მიგ. მოციქული პავლე იტყვის, „კაცთა „უფროსისა მიმართ ჰფუციან, და ყოვლისა ცი-„ლობისა მათისა დასასრულსა, დასამტკიცებელად „ფიცი არს. რომლითა უმეტესად უნდა ღმერთსა „ჩვენებად მკვიდრთა მათ მის აღთქმისათა შეუძრ-„ველობაჲ, ზრახვისა მისისა შუამდგომელ ჰყო-ფიცი. ებრ. 6. ივ. იზ.

ამის მიერ ჯერ არს კიდურმდგმოებად, რომელ უკეთუ თჳთ ღმერთმან უცვალებელისა დარწმუ-ნებისათჳს ხმარებულ ჰყო ფიცი: მაშა რაოდენ უმეტეს ნება-დართულ არს, და ჯერ არს ჩვენდა,

ჩინებულთა

ჩინებულთა და საჭიროთა შემთხვევათა შინა, მოთხოვისა მებრ სჯულიერისა ხელმწიფობისა ხმარება ფიცისა, კეთილკრძალულებითა და მტკიცითა განზრახვითა, არა ოდესმე ცუალებად მისა.

## მეოთხისა მცნებისათჳს.

კით. რაჲსათჳს მეშჳდე და არა სხუა რომელიმე დღე გუებრძანების წმიდა ყოფად ღუთისად?

მიგ. ამისთჳს რომელ, ღმერთმან ექუსთა დღეთა შინა შექმნა სოფელი, ხოლო მეშჳდესა შინა განისუენა საქმეთა ქმნისაგან.

კით. იდღესასწაულებისა შაბათი ეკკლესიასა შინა ქრისტიანებრივსა?

მიგ. არა იდღესასწაულების, ვითარცა სრული დღესასწაული, გარნა სახსოვრად სოფლის შექმნისა და განსაგრძობელად პირველ-დაწყებითისა დღესასწაულობისა განსხუავების სხუათაგან დღეთა, შემსუბუქებითა მარხვისაგან.

კით.

კით. და ვითარ აღესრულების ქრისტიანებრი-ვსა ეკკლესიასა შინა მეოთხე მცნება ?

მიგ. იდღესასწაულების ეგრეთვე თვითოეულ-თა ექუსთა დღეთა შემდგომად მეშვიდე, გარნა არა უკანასკნელი შვიდთა დღეთაგანი, ანუ შაბათი, არამედ პირველი დღე თვითოეულისა შვიდეული-სა, ანუ კვირისა.

კით. რომლისა ჟამითგან იდღესასწაულების დღე კვირისა ანუ აღდგომისა ?

მიგ. თვით ქრისტეს აღდგომის ჟამითგან.

კით. მოიხსენებისა საღმრთოსა წერილსა შინა დღესასწაულობისათვს აღდგომის დღისა ?

მიგ. წიგნსა შინა საქმეთა მოციქულთასა მოიხსენების შეკრებისათვს მოწაფეთასა, ესე იგი ქრისტიანეთასა ერთ შაბათსა, ესე იგი პირველსა დღესა კვირიაკისა ანუ აღდგომისასა განტეხისათვს პურისა, ესე იგი აღსრულებისათვს ზიარების სა-იდუმლოჲსა. საქ. მოც: 20. თ. გამოცხადებასა შინა მოციქულისა დამახარებელისა იოანესა,

მოიხსენების

მოიხსენების ეგრეთვე დღე კვირიაკისა ანუ აღდგომისა. გამოს. 1. ი.

კით. სახელითა მეშვიდისა დღისა ანუ შაბათისათა არა ჯერარსა გულის ხმისყოფად კჳალად რაჲმე ?

მიგ. ვითარცა ძველისა აღთქმისა ეკკლესიასა შინა სახელითა შაბათისათა იგულისხმებოდენ სხჳანიცა დღენი, დაწესებულნი დღესასწაულობისათჳს, ანუ მარხვისათჳს, ვითარ იგი, მაგალითებრ: დღესასწაული პასექისა, დღე განწმედისა, ეგრეთვე ქრისტიანებრივსა ეკკლესიასა შინა ჯერ არს დაცუად გარდა აღდგომის დღისა სხჳანიცა სადღესასწაულოდ ღჳთისა და პატივის საცემელად ყოვლად-წმინდისა ღჳთის-მშობელისა და სხჳათაცა წმინდათა და წესებულნი დღესასწაულნი და მარხჳანი. იხილ. მართლ. აღს. ნაწ. 3. კით. 60. ნაწილ: 11. კით: 88.

კით. რომელნი არიან უწარჩინებულესნი დღესასწაულნი ?

მიგ.

მიგ. დღესასწაულნი, დაწესებულნი სახსენებელად უწარჩინებულესთა შემთხვევათა, რომელნიცა ეკუთვნიან საცხოვრებელსა ჩვენთვს განხორციელებასა მისა ღმრთისასა და გამოცხადებათა ღმრთაებისათა; ხოლო შემდგომად მათისა დაწესებულნი პატივად ყოვლად-წმიდისა ღმრთის-მშობელისა, ვითარცა მსახურებულისა საიდუმლოსა შინა განხორციელებისასა. ეგევითარნი შემთხვეულებანი არიან წესისაებრ შემდგომნი ესე:

ა. დღე შობისა ყოვლად-წმიდისა ღმრთის-მშობელისა.

ბ. დღე ტაძრად მიყვანებისა მისისა, შესაწირავად მისა ღმრთისადმი.

გ. დღე ხარებისა, ესე იგი ანგელოსისაგან უწყებისა ყოვლად წმიდისა ქალწულისადმი მისგან განხორციელებისათვს მისა ღმრთისა.

დ. დღე ქრისტეს შობისა.

ე. დღე ნათლისღებისა უფლისა და ერთბამად ღმრთის-განცხადებისა წმიდისა სამებისა.

ე. დღე მირქმისა უფლისა ტაძარსა შინა სვი-მეონისაგან.

ზ. დღე ფერისცვალებისა უფლისა,

ჱ. დღე შესვლისა უფლისა იერუსალემს შინა.

თ, პასექი, დღესასწაული ქრისტეს აღდგო-მისა, დღესასწაული დღესასწაულთა, წინათ და-წყობა საუკუნოჲსა დღესასწაულისა, საუკუნოსა ნეტარებისა.

ი. დღე ზეცად ამაღლებისა უფლისა.

ია. დღე მეერგასისა, სახსენებელად სულის-წმინდის მოსვლისა და ერთობამად სადიდებელად წმიდის სამებისა.

იბ. დღე ჯუარის ამაღლებისა, პოვნილისა დედოფლისა ელენეს მიერ.

იგ. დღე მიძინებისა ყოვლად-წმიდისა ღუთის-მშობელისა.

კით. რომელი არს უსაჩინოესი მარხუა?

მიგ. დიდმარხუა ანუ წმიდა ორმეოცი.

კით. რაჲსათჳს იწოდების იგი ორმეოცად?

მიგ.

მიგ. ამისთჳს რომელ განიგრძობის ორმეოცთა დღეთა გარდა ქრისტეს ვნების კჳრიაკისა.

კით. რაჲსათჳს დადებულ არს დიდსა მარხვასა განგრძობა ორმეოცთა დღეთა ?

მიგ. მაგალითისა მებრ თჳთ იესო ქრისტესა რომელმანცა იმარხა ორმეოცნი დღენი.

იხილე. მათ: 4. ბ.

კით. რაჲსათჳს დადებულ არს მარხჳა ოთხშაბათისა და პარასკევსა ?

მიგ. ოთხშაბათისა, მოსახსენებელად ვნებადმიცემისა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესა, ხოლო პარასკევსა სახსოვრად თჳთ ვნებისა და სიკვდილისა მისისა.

კით. რასათჳს დაწესებულ არიან მარხვანი შობისა, მიძინებისა და წმიდათა მოციქულთანი ?

მიგ. პირველნი ორნი ამისთჳს, რათამცა წინად განმზადებულითა ღჳაწლითა მოთმინებისათა პატივცემულ იქმნენ შემდგომნი მათ მარხჳათა დღესასწაულნი ქრისტეს შობისა და ყოვლადწმიდის ღჳთის-მშობლის მიძინებისანი; ხოლო

უკანას-

უკანასკნელი ეგრეთვე დაბამჳისათჳს მოციქულთა-სა, რომელთაცა იმარხეს, ოდეს განამზადებდენ თავთა თვისთა საქმესა ზედა სახარების ქადაგები-სასა. საქმ. მოც. 13. გ.

კით. ვითარ ჟამ არს განტარებად დღესასწა-ულთა დღეთა მცნებისაებრ?

მიგ. პირველად არა ჟამ არს დღეთა ამათ შინა მუშაკობა, ანუ ქმნა საქმეთა საეროთა და მსოფ-ლიოთა; მეორედ სათანადო არს წმიდად დაცუა მათი, ესე იგი, ხმარება წმიდათა და სულიერთა საქმეთა, ზედა სადიდებელად ღმრთისა.

კით. რაჲსათჳს აღკრძალულ არს მუშაკობა დღესასწაულთა დღეთა შინა?

მიგ. რათამცა დაუბრკოლებელად ვიხმარნეთ იგინი წმიდათა და ღმრთისა სათნოთა საქმეთა ზედა.

კით. სახელდებით რაჲ შესაბამ არს ქმნად დღესასწაულთა დღეთა შინა?

მიგ. ა. შესლუა ეკკლესიასა შინა საზოგა-დოსა ღმრთისმსახურებისათჳს და ჴსწავლისა სი-ტყვისა ღმრთისა.

ბ. ეგრეთვე სახლსაცა შინა საქმობა ლოცვი-
თა და კითხვითა, ანუ სულისა საცხოვნებელთა სა-
უბართა მიერ.

გ. შეწირვა ღუთისადმი ნაწილისა თვისისა
ქონებისაგან, და ხმარება მისი საჭიროებათა ზედა
ეკკლესიისათა და მსახურთა მისთასა, და კეთილის-
-ყოფასა ზედა უქონელთასა, ხილვა სნეულთა და
საპყრობილეთა შინა მყოფთა და ქმნა სხუათაცა
საქმეთა სიყვარულისათვს ქრისტიანობისა.

კით. განა არა ჯერ არსა ესრეთთა საქმეთა
ქმნა სამუშაკოთა დღეთაცა შინა ?

მიგ. კეთილ არს, ვინცა შეიძლებს ამისა ქმნად.
ხოლო ვისაცა დააპრკოლებენ მუშაკობანი, იგი
განაღამცა დღესასწაულთა დღეთა ესრეთთა საქმეთა
მიერ თანამდებ არს წმიდა ყოფად. ხოლო ლოცვა
მიუცილებელად სათანადო არს თვითოეულსა დღესა
დილით და მწუხრად, პირველ სადილისა და ვახ-
შმისა და შემდგომად მათსა, და, შეძლებისა მებრ,
წინათ-დაწყებისა და დასრულებისა ყოვლისა სა-
ქმისა.

კით.

კით. რასა ვგონებდეთ მათთჳს, რომელნიცა დღესასწაულთა შინა შეუნდობენ თავთა თჳსთა უწესოთა შექცევათა და სახილველთა, მსოფლიოთა სიმღერათა, უკრძალველობასა საჭმელსა და სასმელსა შინა?

მიგ. ეგევითარნი კაცნი ფრიად შეაწუხებენ სიწმიდესა დღესასწაულთასა, რამეთუ უკეთუ უბრალონი და ყამიერისა ცხოვრებისათჳს სასარგებლონი მუშაკობანი არა ეშესაბამებიან წმიდათა დღეთა: მაშა რაოდენ უმეტეს საქმენი ურგებნი, ხორციელნი და ბიწიერნი.

კით. რაჟამს იტყჳს მეოთხე მცნება ექუსთა დღეთა ქმნისათჳს, მაშა არა განიკითხავსა იგი მათ, რომელნიცა არა რასა იქმონენ?

მიგ. უეჭველად განიკითხავს მათ, რომელნიცა სადაგთა დღეთა შინა არა შურებიან საქმეთა მიერ, შესაბამთა წოდებისა მათისათა, არამედ განატარებენ დროსა უქმობასა და განზნეულებასა შინა.

# მეხუთისა მცნებისა-თჳს.

კით. ჳითართა განსაკუთრებულთა თანამდებობათა წარმოგვიწერს მეხუთე მცნება შესახვედრად მშობელთა მიმართ, ზოგადითა სახელწოდებითა პატივისცემისა მათისათა?

მიგ. ა. პატივისცემით ქცევასა მათთანა.

ბ. დამორჩილებასა მათდა.

გ. გამოზრდასა და განსვენებასა მათსა ჟამსა სნეულებისა და სიბერისასა.

დ. შემდგომ სიკუდილისა მათისა ეგრეთვე ვითარცა ჟამსა სიცოცხლისასა, ლოცვასა ცხოვნებისათჳს სულისა მათისა, და სარწმუნოდ აღსრულებასა ანდერძთა მათთასა, არა წინააღმდეგთა წ͠ს ჯულისა ღმრთისა და სამოქალაქოჲსათა. იხილ. ბ მაკკაბ. 12. მგ. მდ; იერემ. 55. იზ, ით; იოან. დამასკ. სიტ. გარდაცვალებულთათჳს.

კით.

კით. ვითარ ჯერ არს განჰსჯად სიმძიმისათვს ცოდვისა მშობელთა არა პატივისცემისა?

მიგ. რაოდენცა ადვილ და ბუნებითი არს სიყუარული და პატივისცემა მშობელთა, რომელთადმი ვალდებულ ვართ ჩვენ სიცოცხლითა, ეგოდენ მძიმე არს ცოდუა არა პატივისცემისა მათისა. ამისთვს ჰსჯულსა შინა მოსესსა ბოროტის სიტყვისათვს წინააღმდგომ მამისა ანუ დედისა დადებული იყო სასიკჳდინე პატიჟი. იხილ. გამოს. 21. ივ.

კით. რაჲსათვს უაღრესად მცნებასა მშობელთა პატივისცემისასა შეერთებულ არს აღთქმა კეთილისყოფისა და დღეგრძელობით სიცოცხლისა?

მიგ. ამისთვს, რათამცა თჳალხილულითა ჯილდოჲთა უძლიერესად აღძრას აღსრულებისადმი ეგევითარისა მცნებისა: რომელსა ზედა დაემტკიცების წესი, პირველად სახლეულობითისა, და შემდგომად ყოვლისაცა საზოგადოობითისა ცხოვრებისა.

კით.

კით. ვითარითა სახითა აღესრულების აღთქმა იგი?

მიგ. მაგალითნი მეელთა მამათმთავართა, გინა პირველთა მამათანი გვიჩვენებენ, ვითარმედ ღთი მოსცემს განსაკუთრებულსა ძალსა, კურთხევასა მშობელთასა. იხილ. შექ. თავ. 27. ,,კურთხევა ,,მამისა დაამტკიცებს სახლთა შვილთასა. ისო. სირაქ. 3. თ. ღმერთი, ყოვლად ბრძნითა და მართლითა განგებულებითა თვსითა, განსაკუთრებით სცავს ცხოვრებასა, და განუმზადებს ბედნიერებასა პატივისმცემელთა მშობელთასა ქუეყანასა ზედა, ხოლო სრულს ჯილდოდ სრულისა სათნოებისა მიანიჭებს უკვდავსა და ნეტარსა ცხოვრებასა მამულსა შინა ზეციერსა.

კით. რაისათვს მცნებათა შინა, რომელთა შინაცა წარმოგვეწერების სიყუარული მოყუასთა, პირველ ყოვლისა მოხსენებულ არს მშობელთათვს?

მიგ. ამისთვს რომელ მშობელნი ბუნებითად ჩვენდა უმახლობელეს ყოველთასა არიან.

კით. არა ჯერ არსა მეხუთესა მცნებასა შინა

სახელითა

სახელითა მშობელთათა გულისხმისყოფად კჳა-ლად ვისიმე?

მიგ. ჯერ არს გულისხმისყოფად ყოველთა, რომელთაცა სხჳა და სხჳათა შემთხვევათა შინა უპყრიესთ ჩვენთჳს ადგილი მშობელთა.

ვით. ვინ უკჳჱ უპყრიეს ჩვენთჳს ადგილი მშობელთა?

მიგ. ა. ჴელმწიფესა და მამულსა, ამისთჳს, რომელ სახელმწიფო არს დიდი სახლეულობა, რომელსა შინა ჴელმწიფე არს მამა, ხოლო ქვე-შევრდომნი, შვილნი ჴელმწიფისა და მამულისანი.

ბ. მწყემსთა და მოძღჳართა სულიერთა, ამის-თჳს რომელ იგინი სწავლითა და საიდუმლოებითა გჳშობენ ჩვენ ცხოვრებასა სულიერსა და აღგვ-ზრდიან მას შინა.

გ. უხუცესთა ჰასაკითა.

დ. კეთილის მყოფელთა.

ე. მთავართა სხჳა და სხჳათა შემთხვევათა შინა.

ვით. ვითარ იტყჳს საღმრთო წერილი პატი-ვისცემისათჳს ჴელმწიფისა?

მიგ.

მიგ. ,,ყოველნი სულნი ჴელმწიფებასა მას ,,უმთავრესისა დაემორჩილენ, რამეთუ არა არს ,,ხელმწიფებაჲ გარნა ღმრთისაგან; და რომელნი ,,იგი არიან ხელმწიფებანი, ღმრთისა მიერ განწესებულ არიან. ამიერითგან რომელი აღუდგებო- ,,დეს ჴელმწიფებასა ღმრთისა ბრძანებასა აღუდგების. რომ. 13. ა, ბ.

,,ვინაჲცა ჯერ არს დამორჩილება, არა ხოლო- ,,რისხვისათვს, არამედ გონებისათვსცა იგი ყო- ,,ველისა. რომ. 13. ე.

,,გეშინოდეს ღმრთისა და მეფისა, და ნუცა ,,ერთისა მათთა წინააღუდგები. იგავ: 24. კა.

,,მიეცით კეისრისა კეისარსა: და ღმრთისა ,,ღმერთსა. მატთ: 22. კა.

,,ღმრთისა გეშინოდენ, მეფესა პატივსცემდით. ა პეტ. 2. იზ.

კით. ვითარ შორად ჯერ არს განგრძობა სიყუარულისა ჴელმწიფისადმი და მამულისა?

მიგ. განმზადებადმდე დადებად მათ წილ ცხოვრებისა თვსისა. იხილე. იოან: 15. იგ.

კით.

კით. ვითარ იტყჳს საღმრთო წერილი პა-
ტივისცემისათჳს სულიერთა მწყემსთა და მოძღუ-
ართასა ?

მიგ. ,,დაემორჩილენით წინამძღუართა თქუენ-
,,თა და ერჩდით მათ, რამეთუ იგინი იღჳძებენ
,,სულთა თქუენთათჳს, ვითარცა იგი სიტყუა მის-
,,ცენ, რათა სიხარულით ამას ჰყოფდენ და არა
,,სულთითქმიდენ, რამეთუ არა ადვილ არს ესე
,,თქუენდა. ებრაელ: 13. იზ.

კით. არსა საღმრთოსა წერილსა შინა საკუ-
თარი წარმოწერა პატივისცემად უხუცესთა ჰასაკი-
თა, მსგავსად ვითარცა მშობელთა ?

მიგ. მოციქული პავლე ჰსწერს ტიმოთეს მო-
მართ: ,,მოხუცებულსა ნუ ჰრისხავ, არამედ ლო-
,,ცევდ ვითარცა მამასა: ჭაბუკთა, ვითარცა ძმათა,
,,მოხუცებულთა დედათა, ვითარცა დედათა.
ა ტიმ: 5. ა, ბ.

,,წინაშე პირისა მხცოვანისასა ზეადგე, და
,,პატივეც პირსა მოხუცებულისასა, და გეშინოდენ
,,უფლისა ღმრთისა შენისა. ლევიტ: 19. ლბ.



კით.

კით. რაჲთა შესაძლო არს დარწმუნებად, რომელ კეთილისმყოფელთა ჯერ არს პატივისცემად მსგავსად ვითარცა მშობელთა?

მიგ. მაგალითითა თჳთ იესო ქრისტესითა, რომელიცა „იყო დამორჩილებულ იოსებისა, დედათუ იოსებ არა იყო მშობელი მისი, არამედ მხოლოდ მზრდელი. იხილე: ლუკ: 2. ნა.

კით. რომელნი არიან კჳალად მთავრობანი, რომელთაცა ჯერარს პატივისცემად, შემდგომად მშობელთასა, მსგავსად მათსა?

მიგ. იგინი, რომელნიცა ნაცვლად მშობელთასა ცდილობენ აღზრდისა ჩვენისა თჳს, ესე იგი, მთავარნი სასწავლებელთა შინა და მოძღუარნი: იგინი, რომელნიცა გვიცვენ ჩვენ უწესოებათა და უთანხმოებათაგან საზოგადოებისა შინა, ესე იგი მთავარნი სამოქალაქონი:-იგინი, რომელნიცა გვფარვენ ჩვენ მძლავრებათაგან ძალითა ჴსჯულითათა, ესე იგი მსაჯულნი;-იგინი, რომელთაცა მიანდობს ხელმწიფე ცჳასა და ფარჳასა საზოგადოებისა უშიშროებისასა მტერთაგან, ესე

იგი

იგი მთავარნი სამხედრონი ;-უფალნი, შესახვედრითა მჳთლა, რომელნიცა მსახურებენ მათ, და რომელთაცა ჰფლობენ იგინი.

კით. რასა წარმოგვიწერს საღმრთო წერილი თანამდებობათათჳს შესახვედრითა მთავართა მიმართ სხჳა და სხვისა გვარისათა ?

მიგ. ,,მისცემდით უკუჱ ყოველთა თანანა-
,,დებსა, სახარკოსა ხარკი, საზუერესა ზუერი,
,,საშინელსა შიში, პატივსა პატივი. რომ. 15. ზ.

კით. ვითარ იტყჳს საღმრთო წერილი მორჩილებისათჳს მსახურთა და მონათა უფალთასა ?

მიგ. ,,მონანი ერჩდით ჴორციელთა უფალთა
,,თქვენთა, შიშით და ძრწოლით სიწრფოებითა
,,გულისა თქვენისათა, ვითარცა ქრისტესა: ნუ
,,თუალთა წინაშე თუალღებით მონებად ვითარცა
,,კაცთმოთნენი, არამედ ვითარცა მონანი ქრისტესნი
,,ჰყოფდით ნებასა ღმრთისასა გულითად.
ეფეს: 6. ე, ვ.

,,მონანი დაემორჩილენით ყოველითა მოში-
,,შებითა თჳსთა უფალთა, ნუ ხოლო სახიერთა

და

„და ტკბილთა, არამედ უკუღმართთაცა. ა პეტ: 2. იზ.

კით. უკეთუ საღმრთო წერილი წარმოგვიწერს თანამდებობათა მშობელთა მიმართ: მაშა არა წარმოგვიწერსა ეგრეთვე თანამდებობათა შვილთა მიმართ?

მოგ. იგი წარმოჰსწერს თანამდებობათაცა შვილთადმი, შემსგავსებულთა წოდებისათანა მშობელთასა.

„მამანო ნუ განარისხებთ შვილთა თქვენთა,
„არამედ განზარდენით იგინი ჰსწავლითა და მო-
„ძღურებითა უფლისათა. ეფეს: 6. დ.

კით. ვითარ იტყვის საღმრთო წერილი თანამდებობისათჳს მწყემსთასა სულიერისა სამწყსოსა მიმართ?

მოგ. „მწყსიდით თქვენ შორის სამწყსოსა მას
„ღმრთისასა, ილუწიდით ნუ იძულებით, არამედ
„ნებსით, ნუცა საძაგელისა შემინებით, არამედ
„გულსმოდგინედ: ნუცა ვითარცა ეუფლებოდეთ

მნეთა

,,მწეთა მათ, არამედ სახე ექმნენით სამწყსოსა მას.
ა პეტ: 5. ბ, გ.

კით. ვითარ იტყვის საღმრთო წერილი თანა-
მდებობისათვს მთავართა და მფლობელთასა ?

მიგ. ,,უფალნი ეგე, სამართალსა და სწორსა
,,მიჰსცემდით მონათა მათ, უწყოდეთ, რამეთუ
,,თქუენცა უფალი გივის ცათა შინა. კოლ: 4. ა.

კით. ვითარ ჯერარს მოქცევად, უკეთუ შე-
ემთხვეს, რომელ მშობელთა ანუ მთავართა მო-
ითხოვონ წინააღმდეგი, რაჲმე სარწმუნოებისა
ანუ ჰსჯულისა ღჳთისა ?

მიგ. მაშინ ჯერ არს თქმად მათდა, ვითარცა-
ჰრქუჱს მოციქულთა მთავართა ურიათასა: ,,უკე-
,,თუ სამართალ არს წინაშე ღჳთისა, თქუენი სმენა
,,უფროს, ანუ ღჳთისა, საჯეთ. და ჯერ არს
მოთმენად სარწმუნოებისა და ჰსჯულისათვს ღჳსა,
ყოვლისა რაჲცა რა შეუდგებოდეს. იხილ. საქ.
მოც: 4. ით.

კით. ვითარ უწოდოთ ზოგად თვსებასა ანუ სა-
თნოებასა, რომელსაცა მოითხოვს მეხუთე მცნებაჲ ?

მიგ.

მიგ. მორჩილებად.

## მ ე ე ქ უ ს ი ს ა მ ც ნ ე ბ ი ს ა- თ ჳ ს.

კით. რაჲმე აღიკრძალვის მეექუსითა მცნე- ბითა?

მიგ. მკვლელობა, ანუ სიცოცხლის მო- კლება მოყუსისა, ვითარითამე სახითა.

კით. ყოველი მოკლება სიცოცხლისა ჰსჯუ- ლისგარდამავალობითი მკვლელობა არსა?

მიგ. არა არს უსჯულოებითი მკვლელობა, ოდესცა მიხდიან სიცოცხლესა თანამდებობისა მებრ, ვითარ იგი:

ა. ოდესცა ბრალეულსა დაჰსჯიან სიკუდი- ლითა მართლმსაჯულებისა მებრ.

ბ. ოდესცა მოჰკვლენ მტერსა ბრძოლასა შინა ჴელმწიფისა და მამულისათჳს.

კით. რაჲსა ვგონებდეთ უნებლიეთისა მკუ- ლელობისათჳს; ოდესცა მოჰკვლენ უეცრად და თჳნიერ განზრახჳსა?

მიგ. უნებლიეთ მკულელი შეუძლებელ არს რათა შეირაცხოს უბრალოდ, უკეთუ არა მოუხმარებიეს სათანადონი წინათგაფთხილებანი უეცარისა მიმართ, და ყოველსა შემთხვევასა შინა საჭიროდ აქუს განწმედა სინიდისისა განჩინებისა მებრ ეკკლესიისა.

კით. ვითარნი შემთხვევანი მიერჩემებიან ჰსჯულის გარდამავალობითსა მკულელობასა?

მიგ. გარდა უსაშუალოსა მკულელობისა ვითარითამცალა თუ იყოს საჭურველითა, ამასვე გარდამავალობასა მიერჩემებიან შემდგომნიცა ესე და მსგავსნი შემთხვევანი ;

ა. ოდესცა მსაჯული დაჰსჯის სასჯელსა ქვეშე მცოდვსა, რომლისაცა უბრალოება უწყებულ-არს მისდა.

ბ. ოდესცა ვინ დაჰფარავს ანუ განათავისუფლებს მკულელსა, და მით მისცემს მას შემთხვევასა ახალთა მკულელობათა მიმართ.

გ. ოდესცა ვინ შემძლებელ არს ხსნად მოყუსისა სიკუდილისაგან, და არა იხსნის, ვითარ

ესე

ესე, მაგალითებრ: უკეთუ მდიდარი უტევებს დავრდომილსა სიყმილითა სიკვდილად.

დ. ოდესცა ვინ ძალისგარდამატებულითა სამძიმეთა და ფიცხელითა სასჯელითა მიერ მოაუძლურებს ქვეშევრდომთა, და მით მოუსწრაფებს მათ სიკუდილსა.

ე. ოდესცა ვინ უკრძალველობითა, ანუ სხუათა ბიწთა მიერ შეამოკლებს საკუთარსა სიცოცხლესა თჳსსა.

კით. ვითარ ჯერ არს განჰსჯად თავის მკვლელობისათჳს?

მიგ. იგი არს თჳთ ჰსჯულის გარდამავალობითი მკვლელობათაგანი, რამეთუ უკეთუ წინააღმდეგ არს ბუნებისა მოკჳლა სხვისა მსგავსისა ჩვენდა კაცისა, უმეტეს სადამე წინააღმდეგ არს ბუნებისა, მოკულა თავისა თჳსისა. სიცოცხლე ჩვენი არა ჩვენ გვექვის, ვითარცა საკუთრებითი, არამედ ღმრთისა, რომელმანცა მოგუცა იგი.

კით. ვითარ ჯერ არს ჰსჯა ბრძოლად მაწვეველთა თჳს გარდასწყვეტილად კერძოობითითა ცილობათა?

მიგ.

მიგ. ვინაჲთგან გარდაწყვეტა კერძოობითთა ცილობათა საქმე არს მმართებლობისა: არამედ ნაცვლად მისა ბრძოლად მაწვეველი თჳთ ნებობით მოვალს ეგევითარსა საქმესა ზედა, რომელსა შინა წინაუდგსთ ცხადი სიკუდილი მას და მოცილესაცა მისსა. ამისთჳს ბრძოლად წვევასა შინა იპყრობიან სამნი შესამრწყუნებელნი ჴსჯულის გარდამავალობანი: შფოთი მმართებლობისა მიმართ, კლვა და თავის მკულელობა.

კით. გარდა ხორციელისა მკულელობისა, არა არსა მკულელობა სულიერი?

მიგ. სახე სულიერისა მკულელობისა არს ცთუნებაჲ, ოდესცა ვინ გარდააქცევს მოყუასსა ურწმუნოებისა ანუ უსჯულოებისა მიმართ, და მით შევრდომილ ჰყოფს სულსა მისსა სიკუდილსა სულიერსა. ,,მაცხოვარი იტყვის: რომელმან ,,დააბრკოლოს ერთი მცირეთა ამათგანი ჩემდა მო- ,,მართ მორწმუნეთა, უმჯობეს არს მისდა, და- ,,მოეკიდოს წისქვილი ვირით საფქველი ქედსა ,,და დაინთქას იგი უფსკრულსა ზღვისსა. მათ. 18. ვ.



კით.

კით. არა არიანა კუალად დაწულილებითნი სახენი მკულელობისანი?

მიგ. ცოდჳასა ამას მიეჩემებიან რომლითამე ხარისხითა ყოველნი საქმენი და სიტყჳანი, წინააღმდეგნი სიყუარულისანი, და უსამართლოდ დამარღჳეველნი მოყჳსის მშჳდობისა და უშიშროებისანი, და უკანასკნელ შინაგანი სიძულილი მისა მიმართ, დაღათუ არა იჩვენებოდესცა იგი გარეშით: „ყოველსა, რომელსა ჰსძულდეს ძმაჲ თჳსი, „იგი კაცისმკულელი არს. ა იოან: 3. იე.

კით. რაჟამს აღიკრძალების ვნება მოყჳსის სიცოცხლისა: მაშა თჳთ ამით რაჲმე გვებრძანების?

მიგ. გვებრძანების, რაოდენ შესაძლო არს, ცჳა მოყჳსის სიცოცხლისა და კეთილ მდგომარეობისა.

კით. ვითარნი თანამდებობანი ჰსწარმოებენ ამის მიერ?

მიგ. ა. შეწევნა გლახაკთა.

ბ. მსახურება სნეულთა.

გ. ნუგეშინისცემა მწუხარეთა.

დ. აღმსუბუქება უბედურთა მდგომარეობისა.

ე. ცოდვილთა თანა ქცევა სიმშვიდით, სიყვა-რულით და დარიგებით.

ვ. დაზავება მრისხანეთა თანა.

ზ. მიტევება მძიმის ცოდვათა და კეთილისა ქმნა მტერთა.

## მ ე შ ვ ი დ ი ს ა მ ც ნ ე ბ ი ს ა-თ ვ ს.

კით. რაჲმე აღიკრძალვის მეშვიდითა მცნე-ბითა?

მიგ. მრუშება.

კით. ვითარნი სახენი ცოდვათანი აღიკრძალე-ბიან სახელითა მრუშებისათა?

მიგ. მოციქული პავლე გვაზრახებს, არცაღა მეტყველებად ქრისტიანეთა მიერ ამათ საძაგელე-ბათა თვს. იხილ. ეფეს: 5. გ. მხოლოდ საჭი-როებისაგამო, განსაკრძალებელად ცოდვათა ამათ-გან, ჯერ არს სახელისდებად რომელთა მე მათ-განთა. ეგევითარნი არიან:

ა. სიმყა, ანუ უწესო ხორციელებრი სიყვარული კაცთა შორის, არა მყოფთა მეუღლეობასა შინა.

ბ. მრუშება, ოდესცა მეუღლეობასა შინა მყოფნი უსჯულოდ მიაქცევენ მეუღლეობისა სიყუარულსა გარეშეთა მიმართ.

გ. სისხლის აღრევა, ოდესცა მეუღლეობის მსგავსითა კავშირითა შეერთდებიან ახლონი ნათესავნი.

კით. ვითარ გუასწავებს მაცხოვარი ჴსჯად მრუშებისათჳს?

მიგ. მან ჰსთქუა: „ყოველი რომელი ხედ„ვიდეს დედაკაცსა, გულისთქმად მის, მუნვე „იმრუშა მისთანა გულსა შინა თჳსსა. მათ: 5. კჱ.

კით. რაჲმე ჯერ არს დამარხვად, რათამცა არა შთავარდეთ ამას დაწვლილებითსა, შინაგანსა მრუშებასა შინა?

მიგ.: ჯერ არს სილტოლვა ყოველისა მისგან, რაჲცა შემძლებელ არს აღძრვად გულსა შინა არა

წმინდათა

წმინდათა გრძნობათა, ვითარ იგი: გემოთმოყუა-რებითთა სიმღერათა, როკჳათა, ბილწ-სიტყუა-ობათა, უშჳერთა შექცევათა და ხუმრობათა, უშჳე-რთა სახილველთა, წიგნთა კითხჳასა, რომელთა შინა აღწერილ არს არა წმინდებითი სიყუარული. სათანადო არს მეცადინობად, სახარებისა მებრ, არცაღა მიხედჳად მას ზედა, რაჲცა გჳაცთუნებდეს ჩვენ.

,,უკეთუ თუალი შენი მარჯუენე გაცთუნე-
,,ბდეს შენ, აღმოიღე იგი, და განაგდე შენგან:
,,რამეთუ უმჯობეს არს შენდა, რათა წარწყმდეს
,,ერთი ასოთა შენთაგანი, ვიდრე არა ყოველი
,,გუამი შენი შთავარდომად გეენიასა.
მატთ: 5. კთ.

კით. ნუთუ ნამდვილად ჴხამს აღმოღება მაც-თუნებელისა თუალისა?

მიგ. ჴხამს აღმოღება მისი არა ხელით, არამედ ნებით. ვინაცა მტკიცედ განუზრახავს არა მი-ხედვადცა მას ზედა, რაჲცა აცთუნებს; მას უკუე აღმოუღიეს მაცთუნებელი თუალი თჳსაგან.

კით. ოდესცა აღიკრძალვის ცოდჳა მრუშე-ბისა, მაშა ვითარნიღა საათნოებანი ამის მიერ წარ-მოიწერებიან?

მიგ. ამის მიერ წარმოიწერებიან მეუღლეო-ბითი სიყვარული და ერთგულება, ხოლო მათთჳს, რომელთაცა შეუძლიანთ დატევნა სრულებით სი-წმიდე და ქალწულება.

კით. ვითარ იტყჳს საღმრთო წერილი თანა-მდებობისათჳს ქმრისა და ცოლისა?

მიგ. „ქმართა გიყვარდენ ცოლნი თჳსნი, „ვითარცა ქრისტემან შეიყუარა ეკკლესია და თავი „თჳსი მისცა მისთჳს. ეფეს. 5. კე.

„ცოლნი თჳსთა ქმართა დაემორჩილენით ვი-„თარცა უფალსა. რამეთუ ქმარი არს თავი ცო-„ლისა, ვითარცა ქრისტე თავი არს ეკკლესიისა „და იგი თავადი არს მაცხოვარი გუამისა. მუხ. კბ, კგ.

კით. ვითართა განღვიძებათა შემოიღებს საღ-მრთო წერილი ამისდამი, რათამცა ვევლტოდეთ სიძჳასა და ვსცხოვრობდეთ ქალწულებით?

მიგ. იგი გვიბრძანებს ჴორცთა ჩვენთა დაცჳასა სიწმიდესა შინა, ამისთჳს რომელ იგინი არიან ასონი ქრისტესნი და ტაძარნი სულისა წმიდისანი, და რომელ წინაღმდეგ მისა რომელი ისიძვიდეს თჳსთა მიმართ ხორცთა ჴსცოდავს, ესე იგი განხრწნის მას, ვნებულ ჴყოფს სნეულებათა მიერ, და განრყვნის სულიერთა ნიჭთაცა, ესე იგი გამოხატვასა და მეხსიერებასა. იხილ. ა კორ. თავ. ვ. იე, იჱ, ით.

## მერვისა მცნებისათჳს.

კით. ზოგად რაჲ აღიკრძალვის მერვითა მცნებითა?

მიგ. პარვა, ანუ მითვისება ვითარითამე სახითა მისი, რაჲცა თჳსეყვის სხჳათა.

კით. ვითარნი საკუთრებითნი ცოდჳანი აღიკრძალვიან მცნებითა ამით?

მიგ. უპირველესნი არიან:

ა.) მპარცჳელობა, ანუ ცხადად წართმევა სხვისა ნივთისა, მძლავრებით.

ბ.)

ბ.) ქურდობა ანუ მიტაცება სხვისა ნივთისა ფარულად.

გ.) ტყუილი, ანუ მითვისება რაჲსამე სხვისა მცბიერობით, მაგალითებრ: რომელნიცა მისცემენ ტყუილსა ფულსა ნაცვლად ჭეშმარიტისა, ცუდსა საქონელსა ნაცვლად კარგისა, საშუალობითა ტყუილისა სასწორისა, ანუ საწყაოსათა არა მისცემენ განსაზღვრულსა, დაჰფარვენ თჳსსა ქონებასა, რათამცა არა მიუზღონ ვალნი, არა აღასრულებენ შეკრულებათა ებრ ანუ ანდერძთაებრ: რომელნიცა დაჰფარვენ ბრალეულსა მარვასა შინა, და მით მოაკლებენ კმაყოფილებასა შეიწრებულსა.

დ.) სიწმიდის-მპარაობა, ანუ მითვისება მისა, რაჲცა შეწირული არს ღმრთისადმი, და რაჲცა ეკუთვნის ეკკლესიასა.

ე.) სულიერი სიწმიდის-მპარაობა, რომელსაცა ერთნი მისცემენ, ხოლო მეორენი წარიტაცებენ სამღვდელოთა თანამდებობათა არა ღირსებისა მებრ, არამედ მიხედვითა შესაძინელისათა.

ვ.) ქრთამის მიღება, რომელსაცა მიიღებენ

ქრთამსა

ქრთამსა ქუჩმევრდომთაგან, ანუ სასჯელსა ქვეშე მყოფთაგან, და მიხედვითა შესამინელისათა ალამაღლებენ არა ღირსთა, განამართლებენ ბრალეულთა, შეაიწრებენ უბრალოთა.

ზ.) უქმად ჭამა, ოდესცა მიიღებენ თანამდებობისათვს სასყიდელსა, ანუ ფასსა საქმისა წილ, გარნა თანამდებობათა და საქმეთა არა აღუსრულებენ, და ეგევითარითა სახითა იპარვენ სასყიდელსა გინა ფასსა, და სარგებლობასა, რომლისაცა შემძლებელ იყვნენ შრომითა მოცემად საზოგადოობისადმი, გინა მისდამი, რომლისა თვს ჯერ იყო მათდა მუშაკობად; ეგრეთვე ოდესცა მქონებელნი მალისანი მომოებად საზრდოჲსა შრომითა, ნაცვლად მისა ჰსცხოვრებენ მოწყალებითა.

ტ.) ანგარება, ოდესცა სახითა რომლისამე სამართლისათა, გარნა თვთ საქმით დარღვევითა სიმართლისა და კაცთმოყვარებისათა, მიაქცევენ სარგებლად თვსად სხვსა საკუთრებასა ანუ სხვისა შრომასა, ანუ თვთ უბედურებათაცა მოყვასთასა, ესე იგი ოდესცა მავასხებელნი დასტკბოვენ



მოვალეთა

მოვალეთა სარგებლითა, რომელსაცა მფლობელნი მოაყმოყრებენ მათდამი მოკიდებულთა გარდამატებულთა გამოსალებთა მიერ, ანუ მუშაკობათა, რომელსაცა დროსა სიცმილისასა განჰყიდიან პურსა გარდამატებით ძვირფასად.

კით. რომელსაცა აღიკრძალებიან ცოდვანი ესე: მაშა ამის მიერ ვითარნი წარმოგვეწერებიან სათნოებანი?

მიგ. ა. არა მონაგებთ მოყვარება.

ბ. სიმართლე.

გ. მართლმსაჯულება.

დ. მოწყალება გლახაკთა.

კით. ნუ უკჱ სცოდავსა არა მოწყალე გლახაკთა წინააღმდეგ მერვისა მცნებისა?

მიგ. ნამდვილ ეგრეთ, უკეთუ აქუს მას რაი-თამცა შეეწიოს მათ. რამეთუ ყოველი, რაიცა გუაქუს ჩუენ ეკუთნის საკუთრად ღმერთსა, და ნამეტნავი მოგუეცემის ჩუენ განგებულებისაგან ღუთისა გლახაკთა შეწევნისათვს, და ამისთვს უკეთუ არა უნაწილებთ მათ ნამეტნავისაგან ჩუენისა,

მაშა

მაშა ამის მიერ წარვიტაცებით ანუ დაკუარგავთ სა-კუთრებასა მათსა და ნიჭსა ღ҃თისასა.

კით. არა არსა ყოვლად უმაღლესი საუნჯება, გარემზომი ცოდნათა წინააღდგომთა მერვისა მც-ნებისათა ?

მიგ. ეგევითარი საუნჯება, წინადადებული სახარებისა მიერ, არა ვითარ თანამდებობა ყოვე-ლთა, არამედ ვითარცა რჩევა გულსმოდგინეთა, ღვაწლთათჳს კეთილმსახურებისათა, არს სრულე-ბით უმოვარება, ანუ უარყოფა ყოველისაგან სა-კუთრებისა.

,,უკუეთუ გნებავს რათა სრულ იყო წარვედ ,,და განყიდე მონაგები შენი, და მიეც გლახაკთა ,,და გაქუნდეს საუნჯე ცათა შინა. მათ. 19: კა.

## მ ე ც ხ რ ი ს ა მ ც ნ ე ბ ი ს ა- თ ჳ ს.

კით. რაჲ აღიკრძალების მეცხრითა მცნებითა?

მიგ. ცრუ-მოწმობა მოყუასსა ზედა და ეგ-რეთვე ყოველი სიცრუე.

კით.

კით. რაჲ აღიკრძალვის საზღვრითა ცრუმოწმობისათა?

მიგ. ა.) ცრუმოწმობა სამსჯავროჲსა, რომელსცა ვისამეზედა სამსჯავროსა შინა მოწმობენ, შეასმენენ ანუ სჩივიან სიცრუით.

ბ.) ცრუმოწმობა გარდა სამსჯავროჲსა, რომელსცა ვისამე ზედა ცილსა სწამებენ უკანით, ანუ პირის პირ აბრალებენ ვისმე უსამართლოდ.

კით. და ნება დართული არს სხუათა გიობა რომელსცა ნამდვილი არიან მათ შინა ბიწნი?

მიგ. სახარება არაგჳცემს ჩუენ ნებასა განკითხვად ნამდვილთა ბიწთათჳსცა, ანუ ნაკლულევანებათა მოყჳასთასა, უკეთუ არა მიწოდებულ ვართ ჩუენ მისდამი საკუთართა თანამდებობითა, რათამცა ვამხილეთ მათ.

,,ნუ განიკითხავთ, რათა არა განიკითხნეთ. მათ. 7. ა.

კით. არა ნებართული არს ეგევითარი სიცრუე, რომლისათანა არა იყოს განზრახჳა ვნებად მოყჳსისა?

მიგ.

მიგ. არა ნებართულ არს, ამისთჳს რომელ არა თანახმა არს სიყვარულისა და პატივისცემისა მოყვსისა მიმართისა, და არა ღირს არს კაცისა, და უმეტეს ქრისტიანისა, ვითარცა ჭეშმარიტებისა და სიყვარულისათჳს დაბადებულისა.

,,ამისთჳს განიშორეთ ტყუილი, იტყოდეთ
,,ჭეშმარიტსა კაცად კაცადი მოყუსისა თჳსისა
,,თანა, რამეთუ ვართ ურთი ერთ არს ასოებ.
ეფეს. 4. კე.

კით. უადვილესისათჳს სივლტოლვისა მეცხრისა მცნებისა წინააღმდგომთა ცოდვათასა, რაჲმე ჯერ არს და მარხვად?

მიგ. ჯერ არს აღვირსხმა ენისა.

,,რამეთუ რომელსა ჰნებავს სიყუარული ცხო-
,,ვრებისა და ხილვად დღენი კეთილისანი, დააცხ-
,,რვეს ენაჲ თჳსი ბოროტისაგან და ბაგენი მისნი
,,ნუ იტყვიედ ზაკვასა. ა პეტ. 3. ი.

,,რომელსა ეგონოს თქვენ შორის ვითარ-
,,მედ ღუთის მსახურ არს, და არა აღვირსხმიდეს

ენასა

,,ცნასა თჳსსა, არამედ აცთუნებდეს გულსა თჳსსა,
,,ამისი ამაო არს მსახურება. იაკ. 1. კვ.

## მეათისა მცნებისათჳს.

კით. რაჲ აღიკრძალების მეათითა მცნებითა?

მიგ. გულისთქმანი წინააღმდეგნი მოყუსის სიყუარულისანი, და რაჲცა არა განშორებულ არიან გულისთქმათაგან გულისსიტყუანი წინააღმდეგნი ამის სიყუარულისანი.

კით. რაჲსათჳს აღიკრძალებიან არა მხოლოდ ცუდნი საქმენი, არამედ ცუდნიცა გულისთქმანი და გულისსიტყუანი?

მიგ. პირველად ამისთჳს, რომელ ოდესცა სულსა შინა არიან ცუდნი გულისთქმანი და გულისსიტყუანი: მაშინ არღარა წმიდა არს იგი წინაშე ღმრთისა, და არა ღირს არს მისა, ვითარცა იტყჳს სოლომონ: ,,საძაგელ უფლისა გულისსიტყუანი ,,ცრუნი. იგავი: 15. კვ, და ამისთჳს საჭირო არს განწმედად თავისა თჳსისა ამათ შინაგანთაცა არა წმიდებათაგან ვითარცა. გვასწავებს მოციქული:

,,განვი-

„განვიწმიდნეთ თავნი ჩუენნი ყოვლისაგან შეგი-
„ნებისა ჴორცთასა და სულისა, და აღვასრულებ-
„დეთ სიწმიდესა შიშითა ღმრთისათა. ბ კორ ზ. ა.

მეორედ ამისთჳს, რომელ წინასწრობისათჳს ცოდვითთა საქმეთა საჭირო არს დათრგუნვად ცოდვითნი გულისთქმანი და გულისსიტყუანი, რომელთაგან, ვითარცა თესლთაგან, იშვებიან საქმენი ცოდვითნი, ვითარ იგი თქმულ არს: „რამეთუ გუ-
„ლისაგან გამოვლენ გულის სიტყუანი ბოროტნი,
„კაცისკულანი, მრუშებანი, სიძუანი, პარუანი,
„ცილისწამებანი, გმობანი. მათ: 15. ით. „კაცად
„კაცადი განიცდების თჳსისაგან გულისთქმისა,
„მიიზიდვის და ჲსცთების, მერმე გულისთქმა იგი
„მიუდგის და ჲშვის ცოდუაჲ, და ცოდუაჲ იგი
„სრული იქმნის და ჲშვის სიკუდილსა.
იაკ: 1. იდ, იე.

კით. ოდესცა აღიკრძალვის გულისთქმაჲ, რომლისამცა თუ იყოს, რაჲცა აქუს მოყუასსა, მაშა ამის მიერ რომელნი ვნებანი აღიკრძალვების?

მოგ. შური.

კით. რაჲ აღიკრძალვის სიტყვითა ამით: არა გული გითქმიდეს ცოლსა მოყვსისა შენისასა?

მიგ. აღიკრძალებიან ჭაზრნი და გულისთქმანი გემოთმოყვარებითნი, ანუ შინაგანი მრუშებაჲ.

კით. რაჲ აღიკრძალვის სიტყვებითა ამით: არა გული გითქმიდეს სახლსა მოყუსისა შენისასა, არცა აგარაკსა მისსა, არცა მონასა მისსა, არცა მხევალსა მისსა, არცა ხარსა მისსა, არცა კარაულსა მისასა, არცა ყოველსა პირუტყვსა მისასა, არცა ყოველსა რაოდენი რა არს მოყვსისა შენისა?

მიგ. აღიკრძალებიან ჭაზრნი და გულისთქმანი მონაგებთმოყუარებისანი და მთავრობის მოყუარებისანი.

კით. შესაბამად აღკრძალვათა ამათ ვითარითა თანამდებობათა დაგუდებს მეათე მცნებაჲ?

მიგ. ა.) თანამდებ-ვართ, რათა ვიმარხვიდეთ სიწმინდესა გულისასა.

ბ.) თანამდებ-ვართ, რათა ვიყვნეთ კმა თვსითა ხვედრითა.

კით.

კით. რაჲ უმეტეს საჭიროჲ არს განწმედისათჳს გულისა?

მიგ. ხშირი და გულითადი მოწოდებაჲ სახელისა უფლისა ჩუჱნისა იესო ქრისტესისა.

## დ ა ბ ო ლ ო ე ბ ა.

## ხ მ ა რ ე ბ ა ჴ ს წ ა ვ ლ ი ს ა ს ა რ წ მ უ ნ ო ე ბ ი ს ა დ ა კ ე თ ი ლ მ ს ა ხ უ რ ე ბ ი ს ა თ ჳ ს.

კით. ვითარ ჱერ-არს სარგებლობაჲ ჴსწავლითა სარწმუნოებისა და კეთილმსახურებისაჲთა?

მიგ. ჱერ არს აღსრულებაჲ თჳთ საქმითა იგი, რაჲცა ცნობილ არს, შიშსა ქუეშე მძიმისა დასჯისასა არა აღსრულებისათჳს.

,,ესე თუ ჴსცნათ ნეტარ ხართ, უკეთუ ჰყო-
,,ფდეთ ამას. იოან: 13. იზ.

 ,,სოლო

,,ხოლო მონამან, რომელმან იცის ნებაჲ
,,უფლისა თჳსისა, და არა განემზადოს ნებისაებრ
,,მისისა, იტანჯოს იგი ფრიად. ლუკ: 12. მზ.

კით. რაჲმე ჯერ არს ქმნად, ოდესცა გან-
ვიცდით თავსა შორის თჳსსა ცოდჳსა?

მიგ. არათუ ოდენ ჯერ არს დაუყოვნებლად
შეწირვა სინანულისა და მტკიცედ განგულვება
ჰჳლა სილტოლვა მისგან, არამედ მეცადინობად-
ცა შემლებისა მებრ აღხოცად მისმიერ ქმნილისა
საცთურისა ანუ ვნებისა წინააღმდეგთა მისდა კე-
თილთა საქმეთა მიერ.

ესრეთ ჰყო ზაქე მეზვერემ, ოდესცა ჰრქჳა
უფალსა: ,,აჰა უფალო ზოგი ნაყოფთა ჩემთა
,,მივსცე გლახაკთა, და უკეთუ ვისმე ცილი და-
,,ვსდევ, მივაგო ოთხი წილი. ლუკ: 18. ჱ.

კით. ვითარი წინასწარი სიმკაცრეჲ საჭირო
არს შემთხვევისა მისთჳს, ოდესცა გვეჩვენების

ჩვენ

ჩვენ ვითარმედ აღვასრულეთ ჩვენ რომელიმე მცნებაჲ ?

მიგ. ჯერ არს განკარგჳა გულისა თჳსისა სიტყვისაებრ იესო ქრისტესისა: „ოდეს ჰყოთ „ბრძანებული თქჳნდა, სთქუთ, ვითარმედ მო-„ნანი ვართ უხმარნი, რომელი თანაგჳდვა ყო-„ფად, ვყავით. ლუკ: 17 ი.

| გვერდი. | ტრიქონი. | | |
|---|---|---|---|
| 38. - - - - | ივ. | ჴსწალისა | ჴსწავლისა. |
| 67. - - - - | თ. | უზანასისა | უზენაესისა. |
| 127. - - - - | იზ. | ცლოველთა | ცხოველთა. |